პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

— ესტონეთის მთავრობამ ესტონეთიდან გააძევა 5 რუსი-თეთრგვარდიელი.
— ფინეთიდან საბჭოთა კავშირში მოემგზავრება მუშათა დელეგაცია 14 კაცის შემადგენლობით.
— კილში გაიხსნა გერმანიის მენშევიკების ყრილობა.
— არჩევნებში პოლონეთში სოციალისტური პარტია დამარცხდა; კომუნისტებმა ორჯელ მეტი ხმა მიიღეს, ვიდრე წარსულ არჩევნებში.
— დაიხურა ხელოვნების კავშირის მუშაკთა საკავშირო ყრილობა.

ოთხშაბათი, 25 მაისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 116 (1861)

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
ივნისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ბრძოლა კერძო კაპიტალის წინააღმდეგ

ბრძოლა კერძო კაპიტალთან—ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში.. საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე გარკვეული ხაზი აიღო ეგრედ წოდებულ ახალ ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების საკითხში. ჩვენთვის ყოველთვის აშკარა იყო, რომ კერძო კაპიტალთან ბრძოლა მარტო ადმინისტრატიული საშუალებით სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს. ამიტომ ეკონომიურ კონკურენციის პრინციპი ერთ-ერთ მთავარ გზათ იქნა ცნობილი კერძო კაპიტალთან ბრძოლაში.

ჩვენს პირობებში, როცა სახელმწიფოს ხელშია მრეწველობა, ტრანსპორტი, კრედიტი და ადმინისტრატიული აპარატი, კერძო კაპიტალთან სამეურნეო კონკურენციის დაშვება ისე, რომ ეს კონკურენცია სოციალისტური აღმშენებლობის სასარგებლოთ მიმდინარეობდეს, სავსებით შესაძლებელი და მიზანშეწონილია.

სხვა საქმეა, რამდენათ მოხერხებით იყენებს ამ უპირატესობათ ჩვენი მწარმოებელი და სავაჭრო აპარატი. ამ მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მოგველის. წარმოების რაციონალიზაციის გატარების, მომჭირნეობის და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, სხვათა შორის, იმიტომ აყენებს ჩვენი პარტია და ხელისუფლება საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღების ცენტრში, რომ ამ საკითხების მოგვარებით გაუადვილოს ჩვენს სამეურნეო ორგანოებს ბრძოლა კერძო კაპიტალის წინააღმდეგ და ამით კიდევ უფრო ჩქარი ნაბიჯით წასწიოს წინ სოციალისტური აღმშენებლობის საქმე.

კერძო კაპიტალი ყველაზე უფრო ძლიერია ვაჭრობაში და შინამრეწველობაში. სამეურნეო მოღვაწეობის სხვა დარგში მისი მონაწილეობა გაცილებით უფრო სუსტია. ამიტომ კერძო კაპიტალთან ბრძოლის ისარი უმთავრესად კერძო ბაზრისაკენ და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია კერძო საცალო ბაზრისაკენ. სწორედ აქ, ვაჭრობის ამ დარგში კერძო კაპიტალი ყველაზე უკეთ გრძნობს თავს.

უკანასკნელი ცნობების თანახმად, კერძო კაპიტალის მონაწილეობა საბითუმო ვაჭრობაში შეადგენს ათ პროცენტს, სამაგიეროდ საცალო ვაჭრობაში კერძო კაპიტალის მონაწილეობა უდრის ორმოც პროცენტს. ამ ციფრებიდან ნათლად სჩანს, თუ რამდენათ უფრო ძლიერია ბაზარზე კერძო მეწვრიმალე. ამით აიხსნება, რომ კამპანია ფასების დაკლების შესახებ უმთავრესად ჩვენ წარმოგვიდგენია, როგორც **ბრძოლა საცალო ფასების დაკლებისათვის.**

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კერძო კაპიტალი დაბანაკებულია წვრილ წარმოებაშიც. წარმოების ასეთ სახეს ეკუთვნის, სხვათა შორის, შინამრეწველობაც, რომელიც საქართველოში, როგორც მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილ ქვეყანაში, საკმაოთ მნიშვნელოვან ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენს. შინამრეწველთა ეს მასა დაქსაქსულია, მათი ორგანიზაციულად დაკავშირების, მათი კოოპერატიულად დარაზმვის საქმე დღემდე კიდევ არ არის დაყენებული სასურველ დონეზე.

კერძო კაპიტალი გამოდის აქ უმთავრესად შინამრეწველობისათვის ნედლეულისა და სესხის მიმწოდებლის როლში და იგივე კერძო კაპიტალი ასრულებს ხელოსნურ მრეწველობის პროდუქციის გამსაღებლის როლს. ამ მხრივ ჩვენს კოოპერატიულ და საკრედიტო ორგანიზაციებს, ჩვენს მრეწველობას, რომელიც შინამრეწველობისათვის უნდა ამზადებდეს ნახევარ ფაბრიკატებს, განსაკუთრებული მუშაობის წარმოება მართებთ. უნდა მიტანილ იქნას მტკიცე და ორგანიზაციული იერიში მევახშე და ჩარჩულ კაპიტალის წინააღმდეგ, რომელიც საზრდოობს შინამრეწველების დაქსაქსულობით და მისი კოოპერატიულად შეუკავშირებლობით.

რაც შეეხება კერძო კაპიტალთან ბრძოლას საცალო ფასების დაკლების დარგში, აქ ჩვენ უკვე გაფართოებული ფრონტით ვაწარმოებთ შეტევას. ესაა ფასების დაკლების კამპანია, რომელიც, სხვათა შორის, ისახავს მიზნათ საცალო ბაზრიდან კერძო კაპიტალის განდევნას და მის ნაცვლად კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის გაძლიერებას.

ოცი მაისიდან უკვე დაიწყო ფასების დაკლების კამპანიის შედეგების შემოწმება. როგორც ამას ნაწილობრივად შეკრებილი ცნობები გვეუბნება, შეიძლება შემოწმების დასრულებამდიც გარკვევით ითქვას, რომ ფასების დაკლებას პირველ ივნისისათვის 10 პროცენტით ჩვენ ყველგან ვერ შევძლებთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ სოფელი, სადაც კამპანია მეტი დაბრკოლებებით მიმდინარეობს. ქალაქად კი ფასების დაკლების კამპანიამ გაცილებით მეტი ნაყოფი გამოიღო. ცალკე შემთხვევებში აქ ჩვენ კიდევაც შევძელით ფასების 10 პროცენტზე მეტად დაწევა.

საჭიროა ფასების დაკლების კამპანიის ახალი სიმტკიცით და ენერგიით გაგრძელება, იმის მიუხედავათ, თუ რას მოგვცემს ამ კამპანიის შედეგების შემოწმება. ეს იქნება ერთი საუკეთესო საშუალება კერძო კაპიტალის შემდეგი ეკონომიური იზოლაციისათვის და მის ხვედრითი წონის თანდათან შემცირებისათვის ჩვენს სავაჭრო ბრუნვაში.

ჩვენს ორგანოებს ამ ბოლო ხანს დასჩემდათ ერთგვარი მოდუნება და დაუდევრობა კერძო კაპიტალთან ბრძოლის საქმეში. ასეთი სულისკვეთება რაც შეიძლება მალე უნდა იქნას დაძლეული. ჩვენ გვმართებს მტკიცე პოლიტიკა ვაწარმოოთ კერძო კაპიტალის განდევნის დარგში.

ისინი მოსტყუვდებიან

ინგლისის მთავრობას აქამდის არ მოუცია ამომწურავი განმარტება საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის შესახებ. ჩვენ გვაქვს ჯერ-ჯერობით მხოლოდ თვით თავდასხმის ავტორის ხიქსის ბუნდოვანი განცხადებები და ჩემბერლენის სასაცილო ცდა დაამტკიცოს, რომ ჩვენი სავაჭრო აგენტის პრივილეგიებში შედის აგრეთვე მისი სეიფების „რევიზია" პნევმატიური საბურღების საშუალებით.

მაგრამ ყოველგვარ განმარტების გარეშე აშკარაა ერთი რამ; ჩვენს წინაშე არის 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულების უხეში დარღვევის ფაქტი. ამ ფაქტის დამალვა არ შეიძლება არავითარი მახინაციებით. სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევით კონსერვატიულმა მთავრობამ არა მარტო მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა საბჭოთა კავშირს, არამედ მთელი ქვეყნის წინაშე გამოამჟღავნა თავისი მტრული ზრახვები.

საერთაშორისო ხელშეკრულების ეს თავხედური დარღვევა არ შეიძლება უპასუხოდ დარჩეს ჩვენის მხრივ.

ბატონი შუბლმაგარი კონსერვატორები, რომელთაც თავისი საგარეო პოლიტიკის ბედი ჩააბარეს სკოტლანდ-იარდის აგენტებს, როგორც სჩანს, ანგარიშში არ უწევენ იმას, რომ ისინი საბრძოლველად იწვევენ მრავალმილიონიან ხალხს, რომელმაც ააგო თავისი სახელმწიფო და დაიცვა ის ურიცხვი მტრების გააფთრებულ იერიშებისაგან.

ბურჟუაზიის ყოყოჩა და ჭკუათხელი პოლიტიკოსები იცნობენ მხოლოდ იმ საზოგადოებრივ აზრს, რომელსაც ჰქმნიან მათი მოსყიდული გაზეთები.

დეე, მათ გამოსცადონ საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების საზოგადოებრივი აზრის ერთსულოვნების ძალა, იმ მუშების და გლეხების, რომელნიც უაღრესად აღშფოთებული არიან ინგლისის მთავრობის პროვოკაციული გამოსვლით.

ბურჟუაზიული პოლიტიკოსები ჩვენს შეურყეველ მისწრაფებას მშვიდობიანობისა და ეკონომიური კავშირის შენარჩუნებისაკენ ხსნიან ჩვენი სისუსტით. ვინაიდან მათ ვერ წარმოუდგენიათ სხვა პოლიტიკა, თუ არ პოლიტიკა „ჯავშნიანი მუშტისა", თუ არ პოლიტიკა უხეში პროვოკაციისა და ყოველი უბრალო საბაბისათვის იარაღის ჟღარუნისა.

დეე, მათ იცოდენ, რომ საბჭოთა კავშირი და მისი მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერს მრავალმილიონიანი მოსახლეობა, საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ არ დაუშვას თავხედური მოქმედება რომელიმე სახელმწიფოს მხრივ.

მუშათა კრებებისა და მიტინგების აუარებელი რეზოლიუციები უკანასკნელი კონფლიქტის გამო გვიჩვენებენ, რომ ჩვენი კავშირის მშრომელთა მოთმინების ფიალა აივსო. ისინი მოითხოვენ თავისი მთავრობისაგან, რომ ინგლისთან დამოკიდებულება სავსებით ნათლად იქნას გამორკვეული. თავაშვებულ შუბლმაგრებს ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავსცეთ ღირსეული პასუხი.

ჩვენს ხელთ არის საშუალება ვასწავლოთ ჭკუა გათავხედებულ თავდამსხმელებს—ეს არის სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტა, ეს არის—ყოველგვარ შეკვეთების განაწილების შეწყვეტა ინგლისში. ნუ ჰგონიათ ოლივერ ლოკერ-ლემპსონებს და სხვ. ყოფილ კოლჩაკოველებს, რომ ამ ურთიერთობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირისათვის იქნება რაღაც კატასტროფა. მართალია, ჩვენს მეურნეობას ეს მიაყენებს ზიანს, მაგრამ ჩვენ შევეცდებით ეს ზიანი ავანაზღაუროთ ჩვენი ძალების გაათკეცებული აქტივობით.

მაგრამ სამაგიეროდ ეს ურთიერთობის შეწყვეტა გაცილებით მეტ ზარალს მიაყენებს ინგლისის ბურჟუაზიის ჯიბეს. ეს ზარალი ინგლისის მრეწველებს აიძულებს გამოიანგარიშონ, თუ რა დაუჯდა მას შუბლმაგრების ყოფნა მთავრობაში.

ეს უჩვენებს ინგლისის ყოველ უბრალო ობივატელს, თუ რა „ბრწყინვალე" შედეგებს იწვევს პოლიტიკა, რომელსაც ხელმძღვანელობს პოლიცია.

საბჭოთა მთავრობა და მთელი ჩვენი ქვეყანა კვლავ მიისწრაფიან მშვიდობიანობისა და მშვიდობიანი აღმშენებლობისაკენ. ეს ჩვენ დავამტკიცეთ საქმით და ათასჯერ დავამტკიცებთ მომავალშიაც. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დავიხევთ მსხვერპლის წინაშე. როცა საჭირო გახდება მშვიდობიანი და ღირსეული არსებობის შესაძლებლობის დაცვა. ამ შემთხვევაში მთელი მუშათა და გლეხთა მასა, როგორც ერთი კაცი დადგება საბჭოთა მთავრობის მხარეზე და აღმოუჩენს მას დახმარებას.

ბურჟუაზიული ინგლისი, რომელსაც ხელმძღვანელობენ შუბლმაგრები, ფიქრობს, რომ ეხლა, რევოლიუციის მე-10 წლის თავზე იგი ადვილად შეასრულებს იმ ამოცანას, რომელზედაც ერთხელ უკვე ჩაიმტვრია კბილები.

საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები შეეცდებიან დაამტკიცონ, თუ რამდენად შემცდარია შუბლმაგართა იმედები.

„პრავდა".
მოსკოვი, 24 მაისი.

ჩინეთის რევოლიუციონური არმიის ახალი გამარჯვება
მუკდენის არმია გარბის პეკინ-ხანკოუს რკინისგზის ჩრდილოეთით
არჩევნები პოლონეთში პოლიციის სასტიკი ტერორის ქვეშ სწარმოებს
ჟენევაში ამერიკის წარმომადგენლებმა სურვილი განაცხადეს აწარმოონ საკრედიტო ოპერაციები საბჭ. კავშირთან

მუკდენის არმიის დამარცხება

უხანის ჯარების ბრწყინვალე გამარჯვება

ხანკოუ, 23 მაისი. ჩრდილოეთის ფრონტზე ხენანის პროვინციაში უხანის ჯარებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. მუკდენის ჯარები გარბიან-ჩრდილოეთით, პეკინ-ხანკოუსა და ლუნხაის რკინის-გზების გასწვრივ. მუკდენის თავდაცვის ხაზი სრულიად განადგურებულია ასი მილის მანძილზე. უხანის ჯარებმა წაიყვანეს დიდძალი ტყვე და ხელთ იგდეს აუარებელი სამხედრო მასალა.

უხანის ჯარები განაგრძობენ შეტევას

შანხაი, 23 მაისი. უხანის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ მუკდენელების წინააღმდეგ შანცაის, სიპინის და ხოშუს რაიონებში, რომლებიც მდებარეობენ ხანკოუსა და ჩენ-ჯოუს შუა. სამი დღის ბრძოლის შემდეგ უხანის ჯარებმა აიღეს შანცაი, საპინი და რაიონი მდინარე ხუანხეს მიდამოებში. მუკდენელების მე-17 არმია სრულიად განადგურებულია.

რეიტერის სააგენტო იუწყება: „სარკინის-გზო მიმოსვლა ხანკოუ-ჩუმადიანის ხაზზე განახლდა, რაც მოწმობს იმას, რომ ხანკოუს ჯარებმა საგრძნობლად წაიწიენ წინ ჩენ-ჯოუსაკენ.

ჟენევის კონფერენცია

მოწესრიგებული გაუგებრობა

ჟენევა, 23 მაისი. შაბათს ტენისმა რეზოლიუციას კენჭი უყარა, არა მუხლების მიხედვით, არამედ მთლიანად, რითაც აიძულა საბჭოთა დელეგაცია წინააღმდეგ მიეცა ხმა. თუმცა უკანასკნელი მზად იყო მხარი დაეჭირა რეზოლიუციის ზოგიერთ პრაქტიკული წინადადებებისათვის. კონფერენციის ხელმძღვანელებმა საბჭოთა დელეგაციის ეს ნაბიჯი ჩასთვალეს შეთანხმებული და მისაღები ფორმულის მიღების შესახებ მიღწეული შეთანხმების ჩაშლად. კონფერენციის წრეებში მიუთითებდენ საბჭოთა დელეგაციის კაპიტალთან თანამშრომლობის შეუძლებლობაზე და მის არაკეთილსინდისიერებაზე.

მაგრამ ოსინსკისა და ტენისის შეხვედრის შემდეგ **გაუგებრობა მოგვარებულია საბჭოთა დელეგაციის მიერ გამოთქმულ სურვილების თანახმად.** ორშაბათს, კონფერენციის მიერ შაბათის ფორმულის მიღების შემდეგ, რეზოლიუციისათვის საერთო კენჭის ყრის დროს, საბჭოთა დელეგაცია თავს შეიკავებს, მაგრამ წინასწარ განაცხადებს რეზოლიუციის თუ რომელ პრაქტიკულ წინადადებებს უჭერს ის მხარს.

თავდასხმის შემდეგ

რას წარმოადგენს დაკარგული „დოკუმენტი"

ლონდონი, 23 მაისი. ლიბერალური გაზეთის „დეილი ქრონიკლი"-ს პოლიტიკური კორესპონდენტი სწერს:

„ეხლა იუწყებიან, რომ დაკარგული დოკუმენტი, რომლის გულისათვის მოახდინეს ჩხრეკა „სოვეტჰაუზში", მოპარულია არა სამხედრო სამინისტროს, არამედ საჰაერო მიმოსვლის სამინისტროდან. დოკუმენტი წარმოადგენს საიდუმლო მემორანდუმს, რომელიც საიმპერიო თავდაცვის კომიტეტმა დაუგზავნა ზოგიერთ დაწესებულებებს".

ურთიერთობის ჩაშლის გარშემო

ლონდონი, 23 მაისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა ინგლისის სხვა და სხვა პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებთან საუბარის დროს ისეთი აზრი გამოიტანა, რომ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტის საფრთხე ეხლა უფრო ახლოა, ვიდრე ოდესმე და რომ ურთიერთობის შენარჩუნების საკითხი ბეწვზე ჰკიდია.

შუბლმაგართა პრესის კამპანია

ლონდონი, 23 მაისი. „დეილი ტელეგრაფ" მოწინავე წერილში სწერს: „დოკუმენტები, რომლებიც აღმოჩენილ იქნა საბჭოთა საელჩოს გაჩხრეკის დროს პეკინში, ამტკიცებენ, რომ საბჭოთა მთავრობასა და კომინტერნს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი, რომელსაც ყოველთვის უარყოფდა საბჭოთა მთავრობა. ამჟამად ყველასათვის აშკარაა, რომ წითელი ვარსკლავი შესამჩნევად დაიჩრდილა".

„დეილი მეილ" მოწინავე წერილში სწერს: „თუმცა საერთო აზრით კაბინეტმა გადასწყვიტა გადამჭრელი ზომები ბოლშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ზოგიერთები ცდილობენ ჩაშალონ ეს გადაწყვეტილება". გაზეთს, როგორც სჩანს; მრეწველობაში აქვს საქმიან წრეების ზეგავლენა, რომლებიც ცდილობენ თავიდან აიცილონ ურთიერთობის ჩაშლა. შემდეგ გაზეთი აცხადებს: „მთავრობამ უნდა გააძევოს ინგლისიდან საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობა და სავაჭრო წარმომადგენლობა. (ადს).

საფრანგეთი არ აპირობს ინგლისის გზით სიარულს

პარიზი, 24 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ჰავასის სააგენტოს დიპლომატიური რედაქტორის მიერ შემოწმებული ცნობებით, ჩიჩერინსა, პუანკარესა და ბრიანთან გამართულ საუბრიდან სჩანს, რომ **საფრანგეთის მთავრობას დღემდე არ დაუსვამს საკითხი საფრანგეთსა და რუსეთს შორის არსებულ ურთიერთობის შეცვლის შესახებ,** და არც იკისრებს რაიმე ინიციატივას ამ მიმართულებით, თუ ამას არ აიძულებენ რაიმე ახალი გარემოებანი". (ადს).

პრესის აზრი

ლონდონი, 24 მაისი. „დეილი ნიუსი" (ლიბერალური) სვამს კითხვას: „რაიმე სარგებლობას მისცემს თუ არა ინგლისს დიპლომატიური ომის გამოცხადება?".

„ასეთი სახის ომს, — სწერს გაზეთი, —შეუძლია სერიოზული ზიანის მიყენება ნაციონალური ინტერესებისათვის. ურთიერთობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირს გადააქცევს უფრო აშკარა და საშიშ მტრად".

„დეილი ჰერალდი" აცხადებს:

„ურთიერთობის შეწყვეტა — ეს იქნება უბედურება. ეს ნიშნავს ახალ ჯგუფებად დანაწილებას ევროპაში, ახალ გართულებებს, ახალ საფრთხეს და ახალი საკითხების წამოჭრას აღმოსავლეთში".

„დეილი ექსპრესი" (კონსერვატიული) სწერს: „ჩემბერლენი დათანხმდა ურთიერთობის შეწყვეტაზე საბჭოთა კავშირთან, მაგრამ მოითხოვა, რომ ურთიერთობის შეწყვეტა მოხდეს არა ჩხრეკის შედეგების, არამედ თვით საბჭოთა მთავრობის მოქმედების საფუძველზე". (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით).

ხანკოუდან მოსული 23 მაისის დეპეშები სავსებით ადასტურებენ წინადღის ცნობებს უხანის მთავრობის ჯარების ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში. მუკდენელების დამარცხება უფრო სასტიკი ყოფილა, ვიდრე ეს სჩანდა პირველად მიღებულ ცნობებიდან.

უკანასკნელ დეპეშების ცნობით, უხანის ჯარებს ჩენ-ჯოუს მიმართულებით გაუნადგურებიათ მუკდენელების მთელი მეჩვიდმეტე არმია. მუკდენელების დამარცხებული ჯარი გარბის თურმე ორი გზით—პეკინ-ხანკოუს და ლუნხაის რკინის გზების მიმართულებით. უკვე ეს ორად გაყოფა დამარცხებულ ჯარისა მოწმობს, რამდენად სასტიკი ყოფილა მისი დამარცხება. უხანის ჯარებს მრავალი ტყვე და სამხედრო მასალა ჩაუგდიათ ხელში. მუკდენელების დაცვის ხაზი, ე. ი. გამაგრებული პოზიცია, განადგურებულია თურმე ასი მილის მანძილზე. ჩვენ ვიცით, რომ ასეთივე სასტიკი დამარცხება წილად ხვდა ლოიანთან მუკდენელების ჯარების მეორე წყებას, რომელიც მოქმედებდა ფინ-იუ-სიანის ჯარის წინააღმდეგ. აქ განადგურებულ იქნა ორი კორპუსი. მუკდენელების მეჩვიდმეტე არმია შესდგებოდა აგრეთვე არა ნაკლებ ორი კორპუსისაგან. მაშასადამე, საერთოდ რევოლიუციონურ ჯარების მიერ მოსპობილია მუკდენელების ჯარის არა ნაკლებ ოთხი კორპუსისა, რაიც რიცხვით უდრის სულ მცირე 60—70 ათას კაცს.

ლოიანის და ჩენ-ჯოუს მიმართულებით წარმოებული ოპერაციები მხოლოდ დასაწყისია რევოლიუციონურ ჯარების და ჩან-ძო-ლინის ჯარების შორის გაჩაღებული ომისა. და თუ უკანასკნელი ჯარის საველე მომქმედ ნაწილების რაოდენობა უნდა ვივარაუდოთ არა უმეტეს 200 ათასისა, გამოდის, რომ დასაწყისშივე ჩან-ძო-ლინმა დაჰკარგა თითქმის მესამედი თავისი ჯარის საერთო რიცხვისა. სხვა დანარჩენ სტრატეგიულ უპირატესობას, რომელიც ამ ბრწყინვალე გამარჯვებით მოიპოვა რევოლიუციონურმა ჯარებმა, თავი რომ დავანებოთ, მოპირდაპირის ცოცხალი ძალის ესოდენი შემცირება უკვე დიდს წარმატებას წარმოადგენს. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება რევოლიუციონურ ჯარების მიერ სამაგალითოდ წარმოებულ ოპერაციების შედეგი. მაშინ, როდესაც რევოლიუციონურ ჯარების ორი წყება ცალ-ცალკე მომქმედი ეხლა მიისწრაფის და, სადაც არის, მიაღწევს ერთმანეთთან შეერთებას, დამარცხებულ მუკდენელების ჯარი, ორად გაყოფილი, მიზის სხვადასხვა მიმართულებით. ერთი სიტყვით, ეს დამარცხებული ჯარი უკვე მომქმედ შეიარაღებულ ძალას აღარ წარმოადგენს, და გზები პეკინისაკენ რევოლიუციონურ ჯარებისათვის გახსნილია.

რა ზომებს მიიღებს ჩან-ძო-ლინი საქმის გამოსასწორებლად, როგორ დაიცავს პეკინისაკენ მიმავალ გზებს და როგორ შეაჩერებს მედგრად წამოსულ ძლევამოსილ ფინ-იუ-სიანის შეერთებულ არმიას, ახლო მომავალი გვიჩვენებს. რასაკვირველია, სხვა პირობებში შანდუნის პროვინციიდან, რომელიც კაი-ფინის აღმოსავლეთით მდებარეობს, ჩან-ძო-ლინის მოკავშირე ჩან-ძუნ-ჩანს შეეძლო გამოლაშქრება კაი-ფინისაკენ, რა გზითაც იგი დაეცემოდა და კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდებდა ჩენ-ჯოუს წინააღმდეგ მომქმედ უხანის ჯარს. მაგრამ ჩან-ძუნ-ჩანს ამისათვის არა სცალია, რადგან მას სამხრეთიდან აწვება და სდევნის ჩან-კაი-შის ჯარი.

ამგვარად, საერთო სტრატეგიული მდგომარეობა მეტად ხელსაყრელია რევოლიუციონურ ჯარებისათვის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამას ეს ჯარები სათანადოთ გამოიყენებენ.

ი. გედევანიშვილი.

საბჭოთა კავშირის და ამერიკის დაახლოვება

პარიზი, 23 მაისი. პერტინაკსი „ეკო დე-პარი"-ში აცხადებს, რომ სარწმუნო ცნობების თანახმად, ჟენევაში შეერთებულ შტატების წარმომადგენლებმა გამოსთქვეს სურვილი აწარმოონ საკრედიტო ოპერაციები საბჭოთა კავშირთან. „ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის ჩაშლა, — სწერს პერტინაკსი, — არ ნიშნავს ურთიერთობის ჩაშლას მთელ მსოფლიოსთან" (ადს).

საქალაქო არჩევნები პოლონეთში

არჩევნები ვარშავაში

ვარშავა, 23 მაისი. ვარშავის მუნიციპალიტეტის არჩევა, რომელიც კვირას მოხდა, ძალიან მღელვარე ხასიათს ატარებდა. **ქუჩებში შეტაკების დროს პოლიციამ დააპატიმრა 60 კაცი.** სასწრაფო დახმარება გამოწვეულ იქნა 111 შემთხვევის გამო. 620,000 ამომრჩეველიდან ხმა მისცა 388,000 კაცმა. **66,578 ხმა გაუქმებულ იქნა. თითქმის ყველა გაუქმებული ხმა მემარცხენე ფრთამ მიიღო.** მანდატების მეტი რაოდენობა მიიღეს ნაციონალ-დემოკრატებმა (46), პეპეესოველებმა—26, პილსუდსკის მომხრეებმა—16, ებრაელების ბლოკმა—15. (ადს).

პეპეესოველების დახმარება

ვარშავა, 23 მაისი. სეიმის უკანასკნელ არჩევნებთან შედარებით პეპეესოველებმა დაჰკარგეს 11,000 ხმა, ნაციონალ-დემოკრატებმა—50,000, ებრაელთა ბურჟუაზიულმა ბლოკმა—11.000. **კომუნისტებმა თავიანთი ხმების რაოდენობა სამჯერ გაადიდეს.** პოლიტიკურ წრეების აზრით, რომ მუშათა მემარცხენე ფრთის სია არ აეკრძალათ, მისთვის მიცემულ ხმების რაოდენობის მიხედვით ის მეორე ადგილს დაიკავებდა ბურჟუაზიული ბლოკის შემდეგ. რომელსაც ნაციონალ-დემოკრატები მეთაურობდენ

ცალკე საარჩევნო კომისიების ცნობით, პეპეესოველები სასტიკად დამარცხდენ მუშათა უბნებში, სადაც მუშათა მემარცხენე ფრთის გაუქმებულ ხმების რაოდენობა ზოგჯერ ორ-სამჯერ აღემატებოდა იმ ხმებს, რომელიც პოლონელ სოციალისტების პარტიის სიამ მიიღო.

ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა პეპეესოველებს მისცა ქალაქის ცენტრალურმა ნაწილმა, ე. ი. მეშჩანობამ, რომელსაც პეპეესოველები და ბუნდოველები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ საარჩევნო აგიტაციის დროს. (ადს).

„თავისუფალი" არჩევნები

ვარშავა, 23 მაისი. გაზეთ „ნაშ პშეგლონდ"-ის ცნობით, არჩევნების დროს მებრძოლმა რაზმებმა ვარშავაში სცემეს 175 აგიტატორს. დაპატიმრებულია ასამდე კაცი. (ადს).

გერმანელ მენშევიკების ყრილობა

ძველი შეთანხმებლური გზით

კილი, 23 მაისი. კილში გაიხსნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა. ყრილობას ესწრება 500 დელეგატი.

ყრილობა გახსნა გერმან მიულერმა, რომელმაც თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა კოალიციონური პოლიტიკის გაგრძელება. პარტია მთელის ენერგიით უნდა ემზადოს რეიხსტაგის მახლობელ არჩევნებისათვის, რომლის შედეგებზე სოციალ-დემოკრატიის ბელადები ამყარებენ კოალიციონური პოლიტიკის პერსპექტივების გაუმჯობესების იმედებს. მიულერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ **სოციალ - დემოკრატები მზად არიან შევიდენ მთავრობაში და არასოდეს ნებაყოფლობით უარს არ იტყვიან იმ პოზიციებზე, რომელიც მათ უჭირავთ პრუსიის მთავრობაში.** (ადს)

„მემარცხენეების" უკან დახევა

ბერლინი, 23 მაისი. კილში გერმანიის სოციალ-დემოკრატების ყრილობის თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ ველსი და ეგერშტედტი, რაც მემარცხენე ფრთის დამარცხებას ნიშნავს. პრეზიდიუმმა აიძულა მემარცხენე ფრთა დღის წესრიგის განხილვის დროს უარი ეთქვა მემარცხენეების მიერ შემოტანილ რეზოლიუციების გარშემო კამათის გამართვაზე. ხსენებული რეზოლიუციები შეეხებოდენ იმპერიალიზმს და ომის საფრთხეს. იმ ფაქტს, რომ მემარცხენეებმა ვერ დაიცვეს თავისი წინადადებები, აფასებენ, როგორც მათ უკან დახევას. (ადს).

ველსის გამოსვლა

ბერლინი, 24 მაისი. ველსი, რომელმაც გააკეთა მოხსენება ც. კ. მუშაობის შესახებ, ამართლებდა შეთანხმებას ჰოგენცოლერნებთან, რომელიც დაადასტურა პრუსიის ლანდტაგმა. მან სასტიკად გაილაშქრა მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ და ხაზი გაუსვა „თავდაცვის ხაზის გაძლიერების" საჭიროებას კომუნისტების წინააღმდეგ. „მემარცხენეთა" გამოსვლებში გამოსჭვიოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთლიანობის დემონსტრაციის სურვილი, თუგინდ იმ ფასით, რომ ამისათვის საჭირო შექნილიყო უარის თქმა საკუთარი პოზიციის გარკვევით ჩამოყალიბებაზე.

სპარსეთის პირველი

ნავთის კომპანია

თეირანი, 23 მაისი. სპარსეთის ნავთის კომპანიის „კევირ ხურიანის" ერთი დამაარსებელთაგანი **გამჩაევი** და სპარსეთის მეჯლისის დეპუტატი **იუსაი** გაემგზავრენ ხემნამში ნავთის სასარეწაოში ნავთის კომპანიის მუშაობის დაწყებას.

პრესა ესალმება სპარსეთის პირველი ნავთის კომპანიის მუშაობის დაწყებას.

შენიშვნა: „კევირ ხურიანი" არის სპარსეთის ნავთის კომპანია, რომელშიც მონაწილეობას იღებს საბჭოთა კაპიტალი.

რემედასის ყრილობა

ბერლინი, 23 მაისი. შესდგა რემედასის გერმანიის სექციის ყრილობის მეორე სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობაზე, ბურჟუაზიულ კლასიურ იუსტიციაზე, თეთრ ტერორზე და სხვ. **სოციალ-დემოკრატი მუშები თავის სიტყვებში სასტიკად აკრიტიკებდენ სოციალ-დემოკრატიის ბელადებს, რომლებიც ებრძვიან რემედასს.**

ცენტრალური კომიტეტის არჩევის და რეზოლიუციების მიღების შემდეგ, ყრილობა დაიხურა „ინტერნაციონალის" სიმღერით (ადს).

თეთრგვარდიელების

გაძევება ესტონეთიდან

რეველი, 23 მაისი. ესტონეთის მთავრობამ გადასწყვიტა გააძევოს რესპუბლიკის საზღვრებიდან ხუთი რუსი თეთრგვარდიელი მონარქისტი. მთავრობის ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია რუს მონარქისტების გამოსვლით მილიუკოვის ლექციაზე რეველში.

ფინეთის მუშათა

დელეგაცია

ჰელსინგფორსი, 23 მაისი. საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ფინეთის მუშათა დელეგაცია 14 კაცის შემადგენლობით, უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენენ. დელეგაციის მეთაურია—ხეიკკვა, ყოფ. რკინისგზელი მუშა, ეხლა კი პროფმოძრაობის მუშაკი.

ლენინგრადი, 24 მაისი. დღეს ლენინგრადში ჩამოვიდა ფინეთის პროფკავშირთა დელეგაცია 13 კაცის შემადგენლობით.

დელეგაცია საბჭოთა კავშირში დარჩება ერთ თვეს. მას განზრახვა აქვს დაწვრილებით გაეცნოს მუშათა მდგომარეობას; პროფკავშირების მუშაობას და სხ. (ადს).

საინფორმაციო

სააგენტოების კონფერენცია

ვარშავა, 23 მაისი. 23 მაისს ვარშავაში გაიხსნა საინფორმაციო სააგენტოების საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრნენ 10 სააგენტოს წარმომადგენელნი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელია კონფერენციაზე ამხ. **სონიე.** კონფერენციის თავმჯდომარეთ არჩეულია პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს საბჭოს თავმჯდომარე **გრჟიბოვსკი** (ადს).

უკანასკნელი ცნობები

რენეგატების პარტია

ვენა, 24 მაისი. 21 და 22 მაისს ვენაში მიმდინარეობდა ავსტრიის კომპარტიიდან გამორიცხულთა „პარტიული ყრილობა". ყრილობაზე გადაწყდა დაარსებულ იქნას ცალკე პარტია „ავსტრიის კომუნისტური პარტიის" სახელწოდებით. არჩეულია ცენტრალური კომიტეტი. ახალი ორგანიზაციის წევრთა რიცხვს ვენის „როტე ფანე" განსაზღვრავს სულ 400—500 კაცით, (ადს).

პოლიციას პიონერების ეშინია

ვენა, 24 მაისი. პოლიციამ აკრძალა წითელ პიონერთა დღესასწაული იმ მიზეზით რომ თითქოს ეს დღესასწაული „დაარღვევდა საზოგადოებრივ მყუდროებას". (ადს).

სამეცნიერო აკადემიის პროტესტი

ლენინგრადი, 24 მაისი. სამეცნიერო აკადემიამ ინგლისის მეცნიერებს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც ნათქვამია: „აკადემია საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაში მომხდარი ჩხრეკის გამო თავის მოვალეობად სთვლის განაცხადოს, რომ ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენელთა მოქმედება და ინგლისის მთავრობის პოზიცია ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს ქმნის. მეცნიერებათა აკადემია მოუწოდებს ყველა ინგლისელ მეცნიერებს და მთელ მოაზროვნე კაცობრიობას გამოვიდენ მშვიდობიანობის დასაცავად". (ადს).

თურქული ანბანის გამავრცელებელი კომიტეტი

მოსკოვი, 24 მაისი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა მოისმინა ცნობა თურქული ახალი ანბანის გამავრცელებელი სრულიად საკავშირო კომიტეტის მოწყობის შესახებ ამხ. აღამალი ოღლის თავმჯდომარეობით. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებად კომიტეტში შედის აზერბეიჯანიდან 3 კაცი, სომხეთიდან, საქართველოდან და ნახიჩევანის მხარიდან თითო კაცი. ცაკის პრეზიდიუმმა კომიტეტის სამყოფ ადგილად დაამტკიცა ბაქო.

მოსკოვში იმოქმედებს კომიტეტის წარმომადგენლობა. (ადს).

მილიუკოვი ვოლდემარასთან

კოვნო, 24 მაისი. დღეს ჩამოსული მილიუკოვი მიიღო პრემიერმა ვოლდემარასმა. (ადს).

კატასტროფიული მიწის ძვრა

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ვაშინგტონის, ოტტავას, ახალ ორლეანის, სიდნეის, ლონდონის და სხვა ქალაქების სეისმოგრაფებმა 22 მაისის საღამოს და 23 მაისის დილით აღნიშნეს კატასტროფიული მიწის ძვრა.

აზნავთის საბინაო მშენებლობისათვის

მოსკოვი, 24 მაისი. საკავშირო ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა მიმართა თხოვნით ცენტრალურ კომუნალურ ბანკს, რათა აზნავთს საბინაო მშენებლობისათვის 1926—27 წ. მიეცეს 1.500.000 მან. (ადს).

ჩეხოსლოვაკიის კოოპერატორთა დელეგაცია საბჭოთა კოოპერაციის შესახებ

მოსკოვი, 24 მაისი. ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატორთა დელეგაცია მოსკოვიდან ლენინგრადში გაემგზავრა. გამგზავრების წინ დელეგაციის თავმჯდომარემ სენატორმა **ირასეკმა** მიიღო საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელი, რომელსაც განუცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აქ ჩამოსვლამდეც ვიცნობდით საბჭოთა კოოპერაციას, მაინც გაგვაოცა იმან, რაც ვნახეთ. ყველა დელეგატები დარწმუნებული არიან, რომ თქვენს კოოპერატიულ მოძრაობას ასეთი მიღწევები მხოლოდ სოციალისტური მთავრობის დროს შეეძლო მიეღო. (ადს).

სამოსწავლო ნაოსნობა

სევასტოპოლი, 24 მაისი. დღეს პირველ საზაფხულო სამოსწავლო ნაოსნობიდან დაბრუნდენ შავი ზღვის ფლოტის გემები. ერთ-ერთ ამ გემით ჩამოვიდა ამხ. **ვოროშილოვი.** მესამე ინტერნაციონალის დიდ მოედანზე შესდგა ფლოტისა და არმიის ნაწილების აღლუმი. აღლუმის შემდეგ მუშათა მასიურ მიტინგზე ამხ. ვოროშილოვმა განაცხადა, რომ ფლოტის და არმიის საინსპექტორო შემოწმებამ დაამტკიცა მათი ბრძოლის უნარიანობა (ადს).

ტრამვაის კატასტროფა

კიევი, 24 მაისი. 22 მაისს დილით ქალაქის განაპირა ხაზზე მოხდა ტრამვაის კატასტროფა. ტრამვაის რონოდა გადავარდა ლიანდაგიდან და წაიქცა. სამი მგზავრი მძიმედ არის დაჭრილი, 15 მსუბუქათ.

სისხლის სამართლის მილიციის აგენტებმა გამოარკვიეს, რომ კატასტროფა გამოიწვია პალომ, რომელიც განზრახ ჩასობილი იყო რელსებს შუა. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად. (ადს).

2.000.000 მანეთი სურათში მონაწილეობისათვის

„დეილი მეილის" ცნობით, ამერიკის ერთ-ერთ კინო-ფირმამ კინო-სურათში მონაწილეობისათვის ლინდბერგს შესთავაზა 200.00 გირვ. სტერლინგი.

ინგლისი და ამერიკა

ლონდონი, 23 მაისი. რამოდენიმე დღის წინად გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის მიღწეულია შეთანხმება, რომლის მიხედვით ინგლისმა ამერიკას უნდა გადაუხადოს 200.000 გირ. სტერლინგი იმ ზარალის ანაზღაურების სახით, რომელიც მიიღეს ამერიკელმა ვაჭრებმა ინგლისის სამხედრო მოქმედების შედეგათ მსოფლიო ომში შეერთებულ შტატების ჩარევამდე.

„მორნინგ პოსტ"-ი მოწინავე წერილში პროტესტს აცხადებს შეთანხმების წინააღმდეგ და სწერს:

„თუმცა თანხა უმნიშვნელოა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, აქ ადგილი აქვს კომპენსაციის მიცემას იმ ვაჭრებისათვის, რომლებიც ვაჭრობას აწარმოებდენ ინგლისის მტრებთან. **ამერიკა ცდილობს, —სწერს გაზეთი, — გამოიყენოს ინგლისი, როგორც საწველი ფური, ხოლო ინგლისის მთავრობა ყოველმხრივ დახმარებას უწევს ამ ტენდენციას"** (ადს).

აეროპლანის დაზიანება

ულანბატორი, 23 მაისი. ძლიერი ქარის გამო ვერხნეუდინსკიდან გამოფრენილი აეროპლანი დაეშვა ტყეში 30 ვერსის მანძილზე ულანბატორიდან. მგზავრები უვნებლად გადარჩენ. მფრინავი მსუბუქად დაიჭრა. ჰაეროპლანი საგრძნობლად დაზიანდა.

ლინდბერგის გადაფრენის

გარშემო

ზეიმი ნიუ-იორკში

ბერლინი, 23 მაისი. ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რომ ზეიმი მფრინავ ლინდბერგის გადაფრენის გამო ატლანტის ოკეანეზე გრძელდება. როგორც კი მიღებულ იქნა ცნობა გადაფრენის წარმატებით დამთავრების შესახებ, დაიწყეს სროლა ზარბაზნებიდან, ასტყდა ზარების რეკა, გემებზე და ორთქლმავლებზე კი—საყვირების განგაში. ყველა სახლები დროშებით არის მორთული.

საპატიო ლეგიონის ორდენი

პარიზი, 23 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„საფრანგეთის პრეზიდენტმა დუმერგმა მიიღო მფრინავი ლინდბერგი და გადასცა მას საპატიო ლეგიონის ორდენი (ადს).

ალან კობხემი პარიზში

ლინდბერგთან შეხვედრის მიზნით, ლონდონიდან პარიზში ჩაფრინდა ალან კობხემი. ლონდონის აეროკლუბმა ლინდბერგი ლონდონში მიიწვია.

საბჭოთა კავშირში

რ უ ს ე თ ი

ხელოვნების მუშაკთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 24 მაისი. დაიხურა ხელოვნების მუშაკთა მეექვსე სრულიად საკავშირო ყრილობა. ყრილობის დახურვის შემდეგ შესდგა ცეკას პლენუმი, რომელმაც თავმჯდომარეთ აირჩია ამხ. სლავინსკი. (ადს).

პროფჰიგიენის მუშაკთა ყრილობა

მოსკოვი, 24 მაისი. გაიხსნა სრულიად საკავშირო ყრილობა პროფჰიგიენისა და უშიშროების ტეხნიკის საკითხებზე. ყრილობაზე ჩამოვიდა 400 დელეგატი. (ადს).

კოლჩაკის გენერლების საქმე

მოსკოვი, 24 მაისი. საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს უმნიშვნელოვანეს საქმეთა გამომძიებელმა მირონოვმა დაამთავრა წინასწარი გამოძიება კოლჩაკის ცნობილ გენერლების ანენკოვის და დენისოვის საქმეზე. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატორების მოგზაურობა საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 24 მაისი. 24 მაისს ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატორთა დელეგაცია მოსკოვიდან მიდის საბჭოთა კავშირში სამოგზაუროთ ქვედა საფეხურის საბჭოთა კოოპერაციის გაცნობის მიზნით. (ადს).

ნავიგაციის დაწყება თეთრ ზღვაზე

არხანგელსკი, 24 მაისი. ნავიგაციის დაწყების შემდეგ მოვიდა უცხოეთის პირველი გემი ნორვეგიიდან. (ადს).

დიდი ელექტროსადგური გროზნოში

გროზნო, 24 მაისი. დაიწყო დიდი ელექტრო - სადგურის აგება, რომელიც ენერგიას მიაწვდის როგორც გროზნავთის ყველა წარმოებებს, ისე ქალაქს. ელექტროსადგური ამუშავდება 1927 წლის ნოემბერში. (ადს).

საკავშირთაშორისო რადიო-გამოფენა

მოსკოვი, 24 მაისი. კავშირების სახლში შესდგა მოსკოვის საკავშირთაშორისო რადიო-გამოფენის გახსნა. გამოფენაზე წარმოდგენილია 30 ექსპონატი—მრავალსანათურიანი მიმღებნი, რუპორები, საკლუბო რადიო-დადგმულობანი. მოკლეტალღიანი გადამცემნი და სხვ. ექსპონატები მოწყობილია რადიოს მოყვარულთა წრეების და აგრეთვე რადიო-მოყვარულ ცალკე პირების მიერ. (ადს).

კინო - ფაბრიკის აგება მოსკოვში

მოსკოვი, 24 მაისი. რუსეთის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა საჭიროდ აღიარა მოსკოვში ახალი კინო-ფაბრიკის აგება. ფაბრიკის აგება დაჯდება 4 ნახევარი მილიონი მანეთი. ფაბრიკას ააგებს „სოვკინო" უახლოესი სამი წლის განმავლობაში. მიმდინარე ეწელს განზრახულია წინასწარი სამუშაოების შესრულება, რისთვისაც „სოვკინოს" მიეცა უფლება დახარჯოს 825.000 მანეთი.

ხუთი მუშათა უნივერსიტეტი

ლენინგრადი, 24 მაისი. მომავალი სამოსწავლო წლიდან ლენინგრადის საბჭო ხსნის 5 ახალ მუშათა უნივერსიტეტს, რომლებშიც ისწავლის 2.000 მუშა.

უ კ რ ა ი ნ ა

საბჭოთა ტურბოგენერატორი

დნეპროპეტროვსკ, 24 მაისი. 22 მაისს პეტროვსკის სახელობის ქარხანაში საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარის ამხ. კუიბიშევის, საბჭოთა უკრაინის ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის ამხ. სუხომლინის და „იუგოსტალის" გამგეობის წევრთა თანდასწრებით ამუშავებულ იქნა ახალი ტურბოგენერატორი, რომლის ძალოვნობა უდრის 10.000 კილოვატს. ეს პირველი საბჭოთა ტურბოგენერატორია ასეთი სიძლიერის. ის დამზადებულ იქნა ლენინგრადის მანქანების სააღმშენებლო ტრესტის ქარხნებში და მოწმობს საბჭოთა ინდუსტრიის მნიშვნელოვან მიღწევებს ტურბინების მშენებლობის დარგში. (ადს).

საბჭოთა ნავთის პროდუქტები უცხოეთში

ბაქო, 22 მაისი. ნავთის სინდიკატის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ფრიდმანმა**, რომელიც ბაქოში ჩამოვიდა, პრესის წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

„საბჭოთა ნავთის პროდუქტების ექსპორტისა და მისი გავლენის ზრდა საგარეო ბაზარზე ბუნებრივად იწვევს წინააღმდეგობას მსოფლიო ნავთის კონცერნების მხრივ. ჩვენი საზოგადოება „როოპი" უკვე განმტკიცდა ინგლისის ბაზარზე და ამ ჟამად შეუძლია დაფაროს ნავთის მოთხოვნილების 10 პროცენტამდე. საზოგადოება „დერუნაფტმა" დიდი ბაზარი დაიპყრო. ამას წინედ ფირმა „მედვეისთან" დავსდეთ ხელშეკრულება ნავთისა და ბაქოს ბენზინის ჩაბარების შესახებ. ამ ხელშეკრულებით ფირმა 1928-29 წლიდან დაიწყებს 15 მილ. ფ. ნავთისა და 7 ნახ. მილ. ფ. ბაქოს ბენზინის გატანას ყოველწლიურად. ამაზე უფრო ადრე დიდი ხელშეკრულება დაიდო „სტანდარტ ოფ ნიუ იორკთან" სამი წლის ვადით 9 მილ. ფ. ნავთის გატანაზე ყოველწლიურად (ადს).

ბამბის კამპანია

მოსკოვი, 24 მაისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ 20 მაისს მოისმინა სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხსენება საბჭოთა კავშირში 1927 წელს ბამბის თესვის კამპანიის ჩატარების გეგმის შესახებ.

მომხსენებელმა ამხ. **კონდრაშევმა** განაცხადა, რომ ბამბის ნათესების სივრცეს 1927 წლისათვის მებამბეობის ორგანიზაციები პირველად განსაზღვრავდენ 868.000 გექტარით, ე. ი. შარშანდელზე 23 პროცენტით მეტით, სახელმწიფო საგეგმო კომისიას, რომელმაც გაეცნო მასალებს ამ საკითხის შესახებ, არ შეეძლო დათანხმებოდა მებამბეობის ორგანიზაციების ამ ვარაუდს; საგეგმო კომისიამ ბამბის ნათესების სივრცე მიმდინარე წლისათვის ივარაუდა 810.000 გექტარით, ე. ი. 14 პროცენტით მეტი, ვინემ შარშან იყო.

თუ განვიხილავთ ცნობებს ბამბის ნათესების სივრცის ზრდის შესახებ საბჭოთა კავშირში, შეგვიძლია დავინახოთ; რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში ეს სივრცე ძალიანი ნელი ტემპით იზრდებოდა. 1926 წელს ეს ზრდა უდრიდა 6 პროცენტს. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ვარაუდი, რომ წელს ბამბის ნათესების სივრცე 14 პროცენტით გაიზრდება, მომხსენებლის აზრით მტკიცდება იმ ცნობებით, რომელიც შეეხება შუა აზიის მომარაგებას პურით და აგრეთვე პურის ფასებს.

შუა-აზიის რესპუბლიკების გლეხობა, როცა ის უზრუნველყოფილი იქნება შედარებით იაფ და საკმაო პურით, შეეცდება გააფართოვოს ბამბის ნათესების სივრცე. აი, ამიტომ ნათესების სივრცის გამოანგარიშების დროს, წელს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შესაძლებლად ჩასთვალა ამ სივრცის გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით გაფართოება, ვინემ ეს წინა წლებში ხდებოდა.

საირიგაციო სისტემის და წყალის მარაგის მდგომარეობაც საბუთს გვაძლევს შესაძლებლად ჩავთვალოთ ბამბის ნათესების სივრცის ასეთი გაფართოება.

- რაც შეეხება ბამბის მოსავლიანობას, წრევანდელი პირობები საბუთს გვაძლევენ ველოდეთ გაცილებით უფრო მეტ მოსავალს შარშანდელთან შედარებით. წელს მთელი სივრცის 60 პროცენტი გადარჩეული თესლით არის დათესილი. შარშან კი ასეთი თესლით დათესილი იყო საერთო სივრცის მხოლოდ 25 პროცენტი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ვარაუდით თვითეულ გექტარზე მოსავალი უნდა ვიანგარიშოთ: შუა აზიაში—52 ფუთამდე, ამიერ-კავკასიაში—40 ფუთამდე. გაწმენდილი ბამბის მოსავალი უნდა ვიანგარიშოთ: შუა აზიაში—10 მილ. 800.000 ფუთით, ამიერ-კავკასიაში—1 მილიონ 600.000 ფუთით.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხსენების მოსმენის შემდეგ შრომის და თავდაცვის საბჭომ დაავალა მებამბეობის მთავარ კომიტეტს და მებამბეობის რესპუბლიკანურ ორგანიზაციებს არა უგვიანეს 1 ივლისისა წარმოადგინონ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მოხსენება ფაქტიურად ბამბით დათესილ სივრცის რაოდენობის შესახებ, აგრეთვე 15 ივლისისათვის შეადგინონ 1927-28 წლის ბამბის დამზადების კამპანიის ფინანსიური გეგმა, რაც არა უგვიანეს 1 აგვისტოსა უნდა წარუდგინონ შრომის და თავდაცვის საბჭოს.

ნედლი ბამბის შესასყიდად და გაწმენდილ ბამბის გასაცემი ფასების დაწესება შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით მოხდება 1927-28 წლის მებამბეობის კამპანიის ფინანსიური გეგმის დამტკიცების დროს. 1927-28 წლის მებამბეობის კამპანიის გეგმაშეწონილად ჩატარების მიზნით, შრომის და თავდაცვის საბჭომ საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაავალა მუდმივ იქონიოს პურის ფონდი შუა აზიისა და აგრეთვე ამიერ-კავკასიისათვის. რაოდენობით არა ნაკლებ 4 მილ. ფუთისა, მიიღოს ზომები პურის და საქონლის გამტარებელ ქსელის გასაუმჯობესებლად ადგილებზე.

შრომის და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა შუა აზიის ეკონომიურ საბჭოს და ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომსაბჭოს 3 კვირის განმავლობაში წარმოადგინონ ცნობები იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ტარდება შუა აზიის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში აგრონომდახმარების, სასელექციო საქმის გასაძლიერებლად და მებამბეების მოსამარაგებლად ინვენტარით და გასანოყიერებელ მასალებით. ამავე ორგანიზაციებს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ერთად ევალებათ მოაგვარონ მებამბეობის რაიონებში ნიადაგის გასანოყიერებელ ნივთიერებათა შეზიდვის საკითხი.

შრომის და თავდაცვის საბჭომ მებამბეობის ორგანიზაციების კაპიტალური მშენებლობა განსაზღვრა 7 მილ. მანეთით, აქედან 1.234.000 მანეთი მოხმარდება თესლეულის მეურნეობას; შრომის და თავდაცვის საბჭომ ამავე დროს უფლება მისცა მებამბეობის მთავარ კომიტეტს გაადიდოს ხარჯები სოფლის მეურნეობაზე 1.300.000 მანეთით. თუ ეს თანხები გაღებული იქნება მებამბეობის ორგანიზაციების საკუთარ საშუალებებიდან. (ადს).

თავდაცვის დღესასწაული

მოსკოვი, 24 მაისი. 22 მაისს ლეფორტის მოედანზე გაიმართა თავდაცვის დღესასწაული, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ათასმა წითელარმიელმა. დღესასწაულს დაესწრენ აგრეთვე სტუმარი-მუშები.

დღესასწაულზე სიტყვა წარმოსთქვა უნშლიხტმა, რომელმაც განაცხადა: „ომი ჩვენ არ გვინდა, მაგრამ „თუ გსურს ზავი, ემზადე ომისთვის", ამბობს ძველი თქმულებაო. ეს ჩვენ გვაიძულებს გავამაგროთ წითელი არმია".

ამხ. უნშლიხტის სიტყვა დამსწრეებმა მქუხარე ტაშით დაჰფარეს.

შემდეგ ჩატარებულ იქნა ბრძოლის იმიტაცია. დასასრულ მოედანიდან აფრინდა ქიმიურ თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოების სკოლის „კურსანტის" ჰაეროსტატი. (ადს).

მოსკოვ — თბილისს შუა სატელგრაფო ხაზის დაზიანების გამო, 24 მაისს ინფორმაცია მცირე რაოდენობით იქნა მიღებული

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს პროფკავშირების მეექვსე ყრილობა

მეორე სხდომა

გუშინ, დილის სხდომაზე, მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის წარმომადგენლის ამხ. მიკირტუმოვის მოხსენება სარევიზიო კომისიის მუშაობაზე.

სარევიზიო კომისიის მუშაობა

ამხ. მიკირტუმოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ სარევიზიო კომისიამ საანგარიშო წლის განმავლობაში მოიწვია სულ 15 სხდომა, რომელთაგან შესდგა მხოლოდ 9.

რევიზია ჩატარებულ იქნა სულ 32-ჯერ, როგორც პროფსაბჭოში, ისე პროფკავშირების სხვა ორგანიზაციებში. სარევიზიო კომისია, თუ კი შენიშნავდა რაიმე ნაკლს, იძლეოდა სათანადო მითითებებს, რის შემდეგაც ნაკლულევანებები სწორდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სარევიზიო კომისიების მუშაობა საერთოდ ვერ სწარმოებს მოწესრიგებულად, რადგან სარევიზიო კომისიების არჩევნები ხდებოდა სხვათა შორის და ირჩევდენ ისეთ პირებს, რომლებიც დატვირთულნი არიან მუშაობით. ეს გარემოება იწვევს მუშაობის შეფერხებას. ამიტომ, ჩვენ მიერ მიღებულია ზომები, რომ არჩევნები ხდებოდეს უფრო სერიოზულად და რომ არ იყოს არჩეული ისეთი ხალხი, რომელსაც არ სცალიათ სარევიზიო კომისიებში სამუშაოდ.

პროფსაბჭოს საერთო შემოსავალი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უდრიდა 112.858 მანეთს და 45 კაპ., გასავალი კი 106.990 მან. და 25 კაპ.

პროფსაბჭოსთან არსებობს სხვადასხვა ფონდები: უმუშევართა დამხმარე, მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ორგანიზაციებზე ირიცხება ვალი, რომელიც არ წარმოადგენს საფრთხეს, რადგან იგი თანდათან იფარება.

დასასრულ, ამხ. მიკირტუმოვი აღნიშნავს, რომ სარევიზიო კომისიას პროფსაბჭოს მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლად მიაჩნია.

ამხ. მიკირტუმოვის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი.

კამათი ამხ. ყურულაშვილის მოხსენების გარშემო

ამხ. ფურცელაძე
(ბათომი)

აღნიშნავს, რომ პროფსაბჭოს მუშაობა სავსებით მოწონებული უნდა იქნეს, მაგრამ ამავე დროს ორატორს საჭიროდ მიაჩნია შეჩერდეს ზოგიერთ საკითხებზე, რომლებსაც შემდეგში უნდა მიექცეს ყურადღება.

პირველი საკითხია — სამაზრო ადგილკომები. ისინი აერთიანებენ ადგილობრივ კომიტეტებს და ხდება ფონდების ერთგვარი ცენტრალიზაცია, რაც ხელს უშლის ადგილობრივი კომიტეტების მუშაობას. ამიტომ, საჭიროა ამ ფონდების დეცენტრალიზაცია.

სათანადოდ ვერ არის დაყენებული ბათომში შრომის დაცვა. იგი დაკისრებული აქვს სამ ინსპექციას (წყლოსანთა, რკინისგზელთა და ადგილობრივ შრომის ინსპექციას), მიუხედავათ ამისა შრომის დაცვა მაინც ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. საჭიროა ადგილობრივ ინსპექტორის უფლებების გაფართოვება.

შემდეგ, ორატორი ეხება საწარმოო და ეკონომიური თათბირების მუშაობას და აღნიშნავს, რომ მათ აქვთ მიღწევები, მაგრამ ამასთანავე მათ მუშაობას ახასიათებს ერთი ნაკლიც. ეს არის ის, რომ ადმინისტრაცია თუმცა იწონებს თათბირების წინადადებებს, მაგრამ არ ატარებს მათ ცხოვრებაში. პროფსაბჭომ ამის წინააღმდეგ უნდა მიიღოს სათანადო ზომები; ის ადმინისტრაცია, რომელსაც საშუალება აქვს და არ ატარებს ცხოვრებაში საწარმოო თათბირების წინადადებებს, პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული.

შემდეგ, ამხ. ფრუიძე ეხება სტატისტიკურ ანგარიშების ფორმებს და აღნიშნავს, რომ საჭიროა მათი გამარტივება და ერთიანი ფორმების შემოღება. ტრანსპორტელთა კავშირის მიერ, — აღნიშნავს ამხ. ფრუიძე — ბათომში გამოყოფილი იქნა 50-მდე შრომის გმირი. აღძრული იყო შუამდგომლობა, რომ შრომის გმირებს მისცემოდათ სათანადო ჯილდო, მაგრამ ეს საკითხი აქამდე ვერ არის მოგვარებული.

დასასრულ, ორატორი ყურადღებას აქცევს უმუშევრობის ზრდას და საჭიროდ სცნობს სამუშაოზე მხოლოდ კავშირის წევრების მიღებას. კავშირებმა პასუხი უნდა მოსთხოვონ იმ ადმინისტრატორებს, რომლებიც სამუშაოზე იღებენ კავშირის არა წევრებს.

ამხ. ჩიხლაძე
(თბილისის საქონლის სადგური)

პროფსაბჭოს ბევრი გაუკეთებია მუშების სასარგებლოდ, მაგრამ ამ მხრივ მტვირთველ მუშებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. მაგალითად, არ არის კარგად დაყენებული შრომის დაცვა. მუშებს დროზე არ ეძლევათ სპეცტანისამოსი და ხელფასი. ზოგიერთ წარმოებებში ადგილი ქონდა ხელფასის შემცირებას. რკინისგზის ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს მტვირთველ მუშებს. კავშირი თუმცა სცდილობდა მოეგვარებია ეს საკითხი, მაგრამ ბევრს ვერაფერს გახდა. ერთად ერთი გამოსავალია — ახალმა პროფსაბჭომ მიიღოს ზომები მტვირთველ მუშების „ზაკპოგრუზი“-დან რკინისგზაზე გადასარიცხავად. საჭიროა აგრეთვე მიღებული იქნეს ზომები კოლექტიური ხელშეკრულების დადების დასაჩქარებლად.

ამხ. კაშია
(შორაპანი)

აღნიშნავს, რომ შორაპნის მაზრაში ამჟამად მუშაობს 12 ათასი კაცი. ასეთ მრავალრიცხოვან მუშებზე კი გვყავს მხოლოდ ერთი შრომის ინსპექტორი, რომელსაც მუშაობით დატვირთვის გამო საშუალება არა აქვს სათანადო ყურადღება მიაქციოს შრომის დაცვის საქმეს. ის ხშირად ვერ ესწრება აგრეთვე შრომის სასამართლოს სხდომებს, სადაც ირჩევა მუშების საქმეები.

დასასრულ, ამხ. კაშია აღნიშნავს, რომ უმუშევართა რიცხვი ჭიათურაში ამჟამად უდრის 3.000 კაცს და საჭიროდ სცნობს მიღებულ იქნეს ზომები მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამხ. ხარიძე
(ბორჯომი)

აღნიშნავს, რომ ბორჯომის საკასრე ქარხნის მუშები რიცხვით 220 კაცი ცუდ მდგომარეობაში არიან. ჯამაგირები მცირეა, — 35-40 მანეთი, ამიტომ კვალიფიციური მუშები არ მიდიან ქარხანაში სამუშაოდ.

არის შემთხვევები, როდესაც ქარხნის ადმინისტრაცია არ ასრულებს კოლექტიურ ხელშეკრულებას, რის გამო ხშირია კონფლიქტები.

ამხ. ლაზარევი
(ბორჯომი)

ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ხშირად ბორჯომში თბილისიდან გზავნიან ისეთი კვალიფიკაციის მუშებს, რომლებიც ადგილობრივ მოიპოვებიან. ეს იწვევს უმუშევრობას ბორჯომის მუშებს შორის. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ახალმა პროფსაბჭომ. აღსანიშნავია ისიც, რომ ქარხნის ადმინისტრაცია სათანადოდ არ ატარებს ცხოვრებაში მუშა-ახალგაზრდათა დაწესებულ რიცხვის მიღების წესს („ჯავშანი“).

ამხ. სემერჯიევი
(აფხაზეთი)

აღნიშნავს, რომ საქართველოს პროფსაბჭო სათანადო ხელმძღვანელობას არ უწევდა ახალგაზრდათა შორის მუშაობას აფხაზეთში. იგივე ითქმის ცალკე კავშირებზედაც. მოგვარებული არ არის წერილობითი და ცოცხალი კავშირი ადგილებთან. ცხოვრებაში არ ტარდება აგრეთვე მუშა-ახალგაზრდათა „ჯავშანი“. მაგალითად, როდესაც ახალგაზრდა მუშა მიიღებს კვალიფიკაციას და გასცილდება ჯავშანის ფარგლებს მას ადმინისტრაცია სხვადასხვა მიზეზით ითხოვს სამსახურიდან. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება.

ამხ. ათაბეგოვი
(განათლების მუშაკთა კავშირი)

ეხება ხელფასის სახელმწიფოებრივ მოწესრიგებას და აღნიშნავს, რომ აუცილებელია მისი გავრცელება მასწავლებლებზედაც, რადგან ამ გზით შეიძლება მათი ხელფასის გადიდება.

უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში აუცილებელია სამუშაოზე მიღება მხოლოდ შრომის ბირჟის საშუალებით. კავშირის წევრები და არა წევრები მიღებული უნდა იქნენ მხოლოდ შრომის ბირჟიდან.

ორატორს არანორმალურად მიაჩნია ის მდგომარეობა, რომ ზოგიერთი კავშირები ადგილკომების შესანახავად იხდიან ერთ პროცენტს, სხვა კავშირები კი უფრო მეტს. საჭიროა აქ ერთნაირი სისტემის შემოღება.

ამხ. ლაბაძე
(შორაპანი)

ეხება კოლექტიურ ხელშეკრულებების დადებას საკონცესიო წარმოებებში და აღნიშნავს, რომ დაჩქარებული უნდა იქნეს ხელშეკრულების დადება. აქ აღნიშნული იყო,—ამბობს ამხ. ლაბაძე,—რომ „ზაკპოგრუზი“-ს მუშების მდგომარეობა უარესდებაო. საჭიროა საბოლოოდ გამოირკვეს „ზაკპოგრუზის“ ბედი. ის ან უნდა დაიხუროს, ანდა წინადადება მიეცეს გააუმჯობესოს თავისი მუშების მდგომარეობა.

შემდეგ, ორატორი ყურადღებას აქცევს უმუშევრობის ზრდას ჭიათურაში და აღნიშნავს რომ საჭიროა ჭიათურისთვისაც იქნეს გადადებული თანხები საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად.

დასასრულ, ამხ. ლაბაძე ეხება სასამართლოების მუშაობას და აღნიშნავს, რომ ისინი ვერ ასწრებენ საქმეების დროზე გარჩევას აპარატის სიმცირის გამო. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს ახალმა პროფსაბჭომ.

ამხ. კაკაბაძე
(თელავი)

აღნიშნავს, რომ ზოგიერთი კავშირების ცენტრალური გამგეობები სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ თავიანთ ადგილობრივ ორგანიზაციებს. პროფსაბჭომ ყველა პროფორგანიზაციებს თავის დროზე დაუგზავნა დირექტივა იმის შესახებ, რომ კოლექტიური ხელშეკრულებების დადებამდე შესწავლილი უნდა ყოფილიყო წარმოებების მდგომარეობა, მაგრამ ეს არ ტარდება ყველგან.

არ ტარდება ცხოვრებაში აგრეთვე საწარმოო და ეკონომიური თათბირების წინადადებები, რაც აბრკოლებს მუშა-მოსამსახურეთა მეტი ფენების ჩაბმას მათ მუშაობაში.

დასასრულ, ორატორი აღნიშნავს, რომ აუცილებელია სტატისტიკის ფორმების გამარტივება და თანხების გადადება კულტურული მუშაობის გასაძლიერებლად ადგილებზე, რომ მოისპოს ლოთობა მუშებს შორის.

ამხ. მატინიანი
(ახალციხე)

აღნიშნავს, რომ ვერ არის სათანადოთ მოგვარებული წერილობითი და ზეპირი კავშირი ადგილებთან. გამოკვლევები ადგილებზე არ ტარდება დროზე და სათანადოთ. მოისუსტებს კულტმუშაობაც ადგილებზე. სუსტია მუშაობა ქალთა შორის, განსაკუთრებით მოჯამაგირე-ქალთა შორის. საჭიროა მათთვის საბავშვო ბაგეების, საბავშვო ბაღების და სხვათა მოწყობა.

სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა გაგზავნას დასასვენებელ სახლებში. არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც ყოველ წელს იგზავნებია დასასვენებელ სახლებში, ზოგს კი სულ არ უნახავს ეს სახლები. პირველ რიგში უნდა გაიგზავნონ მცირე ხელფასიანი მუშა-მოსამსახურენი.

ამხ. ფოგოსაძე
(ფოთი)

აღნიშნავს, რომ პროფბიუროს განთავისუფლებული მუშაკი განთავისუფლებული უნდა იქნეს ყოველგვარ წარმომადგენლობისაგან, რომ მას შეეძლოს სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობას. საჭიროა ინსტრუქტორების ხშირად გაგზავნა მაზრებში. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე აქტივის გადამზადებას ადგილებზე. ამისათვის მაზრებში არ არიან სათანადო ხელმძღვანელები. პროფსაბჭომ უნდა იკისროს მათი გაგზავნა.

ფოთში მწვავედ სდგას საკითხი ცუდი ამინდის დროს მუშაობის შეწყვეტის შესახებ. ეს არ არის შემოღებული კანონმდებლობის წესით. ამიტომ პროფსაბჭომ უნდა მიიღოს სათანადო ზომები.

დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ საჭიროა მუშათა კლუბების განთავისუფლება სხვადასხვა გადასახადებისაგან, რომ მათ შესძლონ მუშაობის გაძლიერება და გარღმავება.

ამხ. ვაჭარაძე
(ხაშური)

ეხება დროებით მომუშავეებს და აღნიშნავს, რომ ახლად გამოცემული კანონი აუარესებს მათ მდგომარეობას. დროებითი მომუშავეები, რომლებიც იმუშავებენ ოთხ თვეს, ვერ მიიღებენ ვერც შვებულებას და ვერც კომპენსაციას. საჭიროა საკონფლიქტო მუშაობის დეცენტრალიზაცია და კულტმუშაობის დარგში ბროშიურების გამოცემის გაძლიერება ადგილობრივ ენებზე.

დასასრულ, ორატორი ეხება რადიო-აპარატების დადგმას ადგილებზე და აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის. მაგალითად, ხაშურისათვის დიდი ხანია გამოგზავნილია საჭირო მოწყობილობა, მაგრამ აქამდე ანძის დადგმის მეტი არაფერი გაკეთებულა.

ამხ. გოგორიშვილი
(ლეჩხუმი)

აღნიშნავს, რომ შრომის დაცვა ლეჩხუმის მაზრაში ძალზე მოიკოჭლებს. საჭიროა შრომის ინსპექტორის შესანახავი ხარჯები შეტანილი იქნეს სამაზრო აღმასკომის ბიუჯეტში.

ლეჩხუმის მაზრაში ცუდ მდგომარეობაში არიან სასეზონო მუშები. იყო შემთხვევა, როდესაც რამოდენიმე დაიღუპა მუშაობის დროს. ჩვენ აღვძარით შუამდგომლობა მათი ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, მაგრამ აქამდე არაფერი გაკეთებულა. ეს სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მუშებში.

ამხ. ბელიანოვისა
(მედსანშრომის კავშირი—უმუშევარი)

ეხება უმუშევრობის გაძლიერებას და საჭიროდ სცნობს ბირჟის მუშაობის მოწესრიგებას. უმუშევართა შორის,—ამბობს ამხ. ბელიანოვა,—28 პროც. ქალებია. საჭიროა ყურადღება მიექცეს მათ სამუშაოზე გაგზავნას. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე შრომის კოლექტივების მოწყობას და მათი მუშაობის გაძლიერებას.

ამხ. დოგორჯგინიძე
(აჭარისტანი)

აღნიშნავს, რომ საჭიროა მიღებული იქნეს ზომები, რომ კოლექტიური ხელშეკრულებები მტკიცედ ტარდებოდეს ცხოვრებაში. ზოგიერთ წარმოებებში მუშებს არ ეძლევათ სპეცტანისამოსი. საკონფლიქტო კომისიების დადგენილებები არ ხორციელდება, რაც გულს უტეხს მუშებს საკონფლიქტო კომისიების მუშაობაზე.

ამხ. უგულავა
(ზუგდიდი)

მაზრებში შრომის დაცვა ვერ არის მოგვარებული. ზუგდიდი შრომის დაცვის მხრივ მიწერილია სენაკზე. იქიდან შრომის ინსპექტორი ორ თვეში ერთხელ თუ ესტუმრება ზუგდიდს, რადგან მას მეტი დრო არ აქვს მუშაობით დატვირთვის გამო. ახალი ხე-ტყის სახერხი ქარხნის გახსნის შემდეგ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზუგდიდს მიეცემა დამოუკიდებელი ინსპექტორი.

ადგილებზე მოსამართლეები ვერ ერკვევიან შრომის კანონებში, რაც ხშირად იწვევს კონფლიქტების არა მუშების სასარგებლოდ გადაწყვეტას. საბინაო აღმშენებლობა უნდა გაფართოვდეს მაზრებშიაც, რადგან იქ დიდი კრიზისია ბინების მხრივ.

ამხ. ფორმანიანი
(ახალ-ქალაქი)

ეკამათება ამხანაგ მატინიანს და აღნიშნავს, რომ პროფსაბჭოს კარგად ჰქონდა დაყენებული, როგორც წერილობითი, ისე ცოცხალი კავშირი ადგილებთან, კერძოთ ახალ-ქალაქის მაზრასთან.

შემდეგ ორატორი ეხება კინო-ლენტების დაქირავებას და აღნიშნავს, რომ სახკინმრეწვი თითო სურათში იღებს 70—80 მანეთს, ასეთი ხარჯების დროს კი პროფბიუროს საშუალება არა აქვს აჩვენოს პროფკავშირების წევრებს ჩვენი სახელმწიფო კინო-მრეწველობის სურათები. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ახალმა პროფსაბჭომ.

ცუდადაა დაყენებული მაზრაში კოოპერაციის მუშაობა; კოოპერაცია კრედიტს არ აძლევს პროფკავშირების წევრებს, ამიტომ ისინი იძულებულნი არიან მიმართონ კერძო ვაჭრებს, რომლებიც ხშირად ნისიათ აძლევენ მათ საქონელს.

ამხ. მუმლაძე
(ჭიათურა)

აღნიშნავს, რომ აქამდე დადებული არ არის კოლექტიური ხელშეკრულება კონცესიონერთან. ამ უკანასკნელმა არ შეასრულა ძველი ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც ეხება საბინაო აღმშენებლობას. მას უნდა მოეთავებია სახლი 500 მუშისათვის, მაგრამ ამ სახლის აგება დღემდე არ არის დამთავრებული.

ამხ. ქველაძე.
(ჭიათურა)

აღნიშნავს, რომ მუშების ხელფასში უნდა იყოს ერთგვარი განსხვავება, მაგრამ არა ისეთი, როგორსაც ამჟამად აქვს ადგილი. ამ მხრივ ახალმა პროფსაბჭომ უნდა მიიღოს სათანადო ზომები.

დასასრულ, ორატორი ეხება ფასების დაკლების კამპანიას და აღნიშნავს, რომ ფასების დაკლება ყველგან არ არის გატარებული. ამ მიმართულებით დიდი ყურადღება მართებთ პროფკავშირებს, რომლებმაც უნდა მიუთითონ სათანადო ორგანოებს ყველა ნაკლულევანებებზე ამ დარგში.

ამხ. ბერლიძე
(აჭარისტანი)

აღნიშნავს, რომ სოც - დაზღვევის დარგში პროფსაბჭოს კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი, განსაკუთრებით მუშა - მოსამსახურეებისათვის დახმარების დროზე მიცემის საქმეში. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ დროებითი მომუშავეები, თუ ისინი პერიოდულად მუშაობენ სხვადასხვა წარმოება - დაწესებულებებში, უნდა იღებდენ დახმარებას დამზღვევ სალაროდან.

შემდეგ, ორატორი ეხება უმუშევრობის ზრდას და აღნიშნავს, რომ პროფკავშირები და ადგილობრივი პროფორგანოები ხშირად არ ატყობინებენ შრომის ბირჟას, თუ სად განთავისუფლდა ადგილი. ამიტომ არის, რომ პროტექციებს ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

შრომის ინსპექტორები მეტად დატვირთულნი არიან მუშაობით. ამიტომ ხშირად ყურადღებას ვერ აქცევენ უშიშროების ტეხნიკას. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ახალმა პროფსაბჭომ.

აუცილებელია აგრეთვე მეტი თანხები მიეცეს მაზრებს უმუშევრობასთან ბრძოლისათვის და საბინაო აღმშენებლობის გასაძლიერებლად.

მესამე სხდომა

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენების გარშემო.

ამხ. ჯავახიშვილი
(ბემო-კვების მუშაკთა კავშირი)

აღნიშნავს რომ ახალგაზრდობის დაქირავებისა და ხელფასის საკითხი ვერ არის მოწესრიგებული, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლექტიურ ხელშეკრულებების დადების დროს. საინსტრუქტორო მუშაობა მოისუსტებს. უმუშევრობის შესანელებლად საჭიროა შრომის კოლექტივების რიცხვის გადიდება. ახალგაზრდათა შორის მეტი კულტმუშაობაა საჭირო. ყურადღება უნდა მიექცეს მოზარდთა მიღებას მუშათა ფაკულტეტებზე. მოზარდები დაშვებული უნდა იქნენ ნარდ სამუშაობზე.

ამხ. ბარნაბიშვილი
(შრომის კომისარიატიდან)

აღნიშნავს, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მოზარდთა გადამზადების საკითხს. სამისოდ ფართედ უნდა იქნეს დაყენებული შინაწველობის მოწაფეობის მომზადება უმუშევრობა ახალგაზრდობის შორის უდრის უმუშევრების საერთო რიცხვის 8—10 პროცენტს. შრომის კოლექტივებში კი ჩაბმულია მხოლოდ უმუშევარ ახალგაზრდობის ოთხი პროცენტი. საჭიროა უმუშევარ ახალგაზრდა მუშების უფრო მეტად ჩაბმა შრომის კოლექტივებში.

წითელი არმია ესალმება ყრილობას

ამხ. ბარნაბიშვილის სიტყვის დროს დარბაზში შემოდის საქართველოს პროფსაბჭოს მიერ შეფობის ქვეშ აყვანილი სამხედრო ნაწილი დროშით და ჯავშნიან მატარებლის მოდელით. ყრილობას მოხსენებით მიმართა ნაწილის უფროსმა და მიართვა ყრილობას საჩუქრად წითელ-არმიელების მიერ გაკეთებული ჯავშნიანი მატარებლის მოდელი.

ამხ. სტრაგოჟინსკის სიტყვა

საშეფო ნაწილის სახელით ყრილობას ესალმება ნაწილის სამხედრო კომისარი ამხ. სტრაგოჟინსკი.

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ გადმოგცეთ გულწრფელი ამხანაკური სალამი იმ წითელ-არმიელების სახელით, რომლებიც შეფობის ქვეშ ყავს აყვანილი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს.

ჩვენ ვესალმებით საქართველოს მუშათა კლასის ყრილობას. თქვენი ყრილობა მუშაობს იმ დროს, როდესაც იმპერიალისტები ომისათვის ემზადებიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ცდილობენ ჩაახშონ ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობა. ისინი შეთანხმებულად მოქმედობენ და ერთად გამოსვლას აპირებენ აღმოსავლეთში დაწყებულ რევოლიუციონურ მოძრაობის ჩასახშობათ.

ამხანაგებო, მე მინდა გადმოგცეთ, რომ ჩვენ, წითელ-არმიელები, მათ შორის თქვენი საშეფო ნაწილი, მუდამ მზათ ვიქნებით დავიცვათ საქართველოს და საბჭოთა კავშირის მშრომელები საერთაშორისო ბურჟუაზიის თავდასხმისაგან.

ჩვენ ფიცს ვაძლევთ საქართველოს პროლეტარიატს, რომ ვერავითარი იმპერიალისტური ძალა, ვერავითარი მოღალატე ჩან-კაი-ში ვერ შესძლებს უკან დაგვახევინოს ჩვენი პოზიციებიდან და უარი გვათქმევინოს ოქტომბრის მონაპოვარზე.

მომავალი ომი დიდ მსხვერპლს შეიწირავს. განსაკუთრებით საჭირო იქნება ცოცხალი ძალა, ამიტომ ჩვენ ვატარებთ მოსახლეობის გასამხედროებას, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელები მუდამ მზათ იყონ იმპერიალისტებისათვის ღირსეული წინააღმდეგობის გასაწევად.

დასასრულ, ნება მიბოძეთ ვუსურვო თქვენს ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს საქართველოს მუშათა კლასს (მქუხარე ტაში).

ამხ. ეგოროვის სიტყვა

შემდეგ მისალმებით გამოდის, საშეფო ნაწილის წითელარმიელი ამხ. ეგოროვი.

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ ჩვენი ნაწილის წითელ-არმიელების სახელით მივესალმო საქართველოს პროფკავშირების მეექვსე ყრილობას და მისი სახით საქართველოს პროლეტარიატს.

უკანასკნელი ამბები ამტკიცებენ, რომ იმპერიალისტები ომის საფრთხეს უმზადებენ საბჭოთა კავშირს. ამის მომასწავებელია თავდასხმა საბჭოთა წარმომადგენლობებზე პეკინსა და ლონდონში. მაგრამ ჩვენ ვერ შეგვაშინებს იმპერიალისტების ვერავითარი ზრახვები. ჩვენ ველით ბრძანებას საბჭოთა მთავრობისაგან და კომუნისტური პარტიისაგან, რომ გამოვიდეთ, როგორც ერთი კაცი და ღირსეული პასუხი გავსცეთ იმპერიალისტებს, რომლებიც ლამობენ საბჭოთა კავშირის განადგურებას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს., გაუმარჯოს პროფინტერნს—საერთაშორისო რევოლიუციონურ პროლეტარიატის გაერთიანებას!

საპასუხო სიტყვით გამოდის ამხ. გ. ყურულაშვილი.

ამხ. გ. ყურულაშვილის სიტყვა

ამხანაგებო, დღეს ჩვენ გვესალმებიან ჩვენ მიერ შეფობის ქვეშ აყვანილი ნაწილის წითელ არმიელები.

ნება მიბოძეთ, საქართველოს პროლეტარიატის სახელით მივესალმო საშეფო ნაწილს და მისი სახით მთელ წითელარმიას.

დღეს მათ შემოგვფიცეს, რომ ყოველთვის მტკიცედ იქნებიან საბჭოთა ხელისუფლების და მუშათა კლასის სადარაჯოზე. ჩვენ შეგვიძლია ვენდოთ მათ, რადგან მათი წარსული საქმეები მჭერმეტყველურად ღაღადებენ მათ თავდადებაზე და გმირობაზე.

ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ წითელი-არმია, თუ საჭირო იქნება, სათავეში მოექცევა მებრძოლებს და თავისი ჯავშნიანი მუშტით შუბლს გაუპობს ინგლისის კონსერვატორებს და საერთოდ ბურჟუაზიის ყველა ლაქიებს.

გაუმარჯოს სახელოვან გმირულ წითელ-არმიას. გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

კამათის გაგრძელება

ამხ. ყურულაშვილის სიტყვის შემდეგ ისევ გრძელდება კამათი.

ამხ. აბრამოვი
(ბათომი)

ეხება საბიუჯეტო მუშაობას და აღნიშნავს, რომ პროფსაბჭო სათანადო მონაწილეობას არ იღებდა საბიუჯეტო მუშაობაში. არის საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ბიუჯეტში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა საბინაო მშენებლობის განვითარებას ადგილებზე. კულტმუშაობას ხელს უშლის ის გარემოება, რომ კომუნალური მეურნეობის განყოფილებები მეტად ბევრს ახდევინებენ კულტურულ დაწესებულებებს სინათლეში, შენობების დაქირავებაში და სხვა. ფიზკულტურა აჭარისტანში კარგადაა დაყენებული, მაგრამ წყლის სპორტი ვერ არის განვითარებული. საჭიროა ამ მხრივ სათანადო ზომების მიღება.

ამხ. კოჭლამაზაშვილი
(აჭარისტანი)

ეხება ახალგაზრდობის სექციის მუშაობას მუშათა კლუბებთან და აღნიშნავს, რომ საჭიროა მუშაობის გაძლიერება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს.

კლუბებში წარმოებული სალექციო მუშაობა ვერ აკმაყოფილებს ახალგაზრდობას. ლექციები ჯეროვნად არ ესმის ახალგაზრდა მუშებს. ამას გარდა, ხშირად გაუგებარია მათთვის ის წარმოდგენებიც, რომლებიც მუშათა კლუბებში იდგმება. ახალგაზრდებს არ აძლევენ ახსნა-განმარტებას ამ წარმოდგენების შესახებ. ყურადღება არ ექცევა ახალგაზრდების კრებებს, საჭიროა მათი მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა.

სასოფლო-სამეურნეო ინსპექცია სუსტად მუშაობს განსაკუთრებით აჭარისტანში. ინსპექტორი არ მიდის ადგილებზე გამოკვლევების ჩასატარებლად.

დასასრულ, ორატორი აღნიშნავს, რომ სუსტია ცოცხალი კავშირი ადგილებთან.

ამხ. კირკასაშვილი
(მბეჭდავთა კავშირი)

ეხება კოოპერაციის მუშაობას და ამბობს, რომ მუშკოოპის მაღაზიებში ხშირად არ იშოვება პირველი მოთხოვნილების საქონელი, ამიტომ მუშები იძულებული არიან მიმართონ კერძო ვაჭრებს.

ამხ. მასხარაშვილი
(გორი)

აღნიშნავს, რომ ადგილებს მრავალი ცირკულიარები ეგზავნება, მაგრამ სუსტია ცოცხალი კავშირი ადგილობრივ ორგანიზაციებთან. ხელმძღვანელობის გაწევა მარტო ცირკულიარებით არ შეიძლება, აუცილებელია მეტი ცოცხალი კავშირის დამყარება.

ამხ. ცაბაძე
(გორი)

აღნიშნავს, რომ ადგილებს მრავალი ცირკულიარები ეგზავნება, მაგრამ სუსტია ცოცხალი კავშირი ადგილობრივ ორგანიზაციებთან. ხელმძღვანელობის გაწევა მარტო ცირკულიარებით არ შეიძლება, აუცილებელია მეტი ცოცხალი კავშირის დამყარება.

ამხ. პანაციდისი
(ბორჩალოს მაზრა)

საჭიროდ სცნობს, რომ საურთიერთო დამხმარე სალაროების მუშაობისათვის შემოღებული იქნეს ერთიანი სისტემა, გაადვილებული უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო მუშების მიღება მიწა-ტყის მუშაკთა კავშირში. ვინაიდან ბორჩალოს მაზრაში ცოტაა კავშირების წევრები და ცალკე კავშირებს არა აქვთ თავიანთი კლუბები (არის მხოლოდ კავშირთაშორისო კლუბები), ამიტომ საჭიროა გატარებული იქნეს კულტურულ-განმანათლებელი ფონდების ცენტრალიზაცია.

ინჟ. კაკაბაძე
(თბილისი)

როდესაც ორი წლის წინედ დასმული იყო საკითხი ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციის დაარსების შესახებ, პროფკავშირებთან, მაშინ გამოითქვა ორი აზრი. ზოგიერთები ფიქრობდენ, რომ სექციის დაარსება გამოიწვევდა ინჟინერ-ტეხნიკოსთა მოწყვეტას მუშათა მასებისაგან. მეორენი კი ფიქრობდენ, რომ ინჟინერებს საერთოდ არაფერი კავშირი არა აქვთ მუშათა კლასთან, ამიტომ სექციების მაგივრად უნდა დაარსდეს ცალკე კავშირიო.

მაგრამ ცხოვრებამ არ გაამართლა არც ერთი ეს შეხედულება. დღეს ინჟენრები ჩაბმული არიან მუშებთან ერთად საერთო სოციალისტურ აღმშენებლობაში.

ამჟამად მთელი ტეხნიკური აღმშენებლობა დაკისრებული აქვს ინჟინერ-ტეხნიკოსთა ძალებს. ისინი მეტად დატვირთულნი არიან მუშაობით. მათ ხშირად მუშაობა უხდებათ 10—12 საათის განმავლობაში, ეს კი დაუშვებელია; საჭიროა მათთვისაც გატარებულ იქნეს რვა საათის სამუშაო დღე.

ამას გარდა, ინჟენრებს დაკისრებული აქვთ სხვადასხვა ანგარიშების შედგენა, როდესაც ეს მათ პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს. ასეთივე მდგომარეობაა, ზოგიერთ წარმოებებში მუშების მიმართაც. კვალიფიკაციური მუშები შავ-მუშების მოვალეობას ასრულებენ, ესეც დაუშვებელია. საჭიროა ამ საკითხის მოწესრიგება.

დასასრულ, ორატორი აღნიშნავს, რომ აუცილებელია ინჟენერ-ტეხნიკოსთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრა.

ამხ. ჯიქია
(შავი ზღვის რკინისგზა)

ეხება სამაღარიო რაიონებში შვებულების ვადის შემცირების საკითხს და აღნიშნავს, რომ ამ.-კავ. რკინისგზის მუშა-მოსამსახურეებს ამ რაიონებში დარჩათ ერთი თვის შვებულება, შავი ზღვის რკინისგზის მუშებს კი შვებულება შეუმცირეს ორ კვირამდე. ეს სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მუშებში. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ახალმა პროფსაბჭომ.

ამხ. ჯიჯაძე
(მედსანშრომის კავშირი)

აღნიშნავს, რომ პროფსაბჭო ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ყველა საკითხებს მედსანშრომის კავშირის მუშაობაში. კერძოთ აღსანიშნავია პროფსაბჭოს დადგენილება ექიმების შეურაცყოფის წინააღმდეგ. მაგრამ ამასთან ერთად იყო შემთხვევები, როდესაც პროფსაბჭო არ ამტკიცებდა კავშირის ცენტრალური გამგეობის დადგენილებებს. მაგალითად, ზოგიერთი ექიმები იმ მიზნით, რომ არ წავიდენ სამუშაოდ მაზრებში და ადგილი იშოვონ აქვე თბილისში, მიდიან ფერშლების თანამდებობაზე. სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო ამის წინააღმდეგია, რადგან ფერშლის თანამდებობა ხელს არ უწყობს ექიმების კვალიფიკაციის ამაღლებას. ამას გარდა, ეს გარემოება სამუშაოს ართმევს საშუალო-საექიმო პერსონალს. ჩვენმა კავშირმაც ასეთივე დადგენილება მიიღო, მაგრამ პროფსაბჭომ ის არ დაამტკიცა.

ამხ. შავლაშვილი
(სიღნაღი)

ეხება მოჯამაგირე მწყემსების მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ მათი შრომის დაცვა მეტად ცუდადაა დაყენებული, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს. [illegible] უნდა იქნეს აგრეთვე მათი [illegible].

მიღებულ უნდა იქნეს ზომები [illegible] და [illegible], რადგან მათი ხელფასი მეტად მცირეა.

დასასრულ, ორატორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ კახეთის გლეხებმა კახეთიდან განდევნეს ყოფილი თავადები, რომლებიც მათ ტყავს აძრობდენ წინეთ. ეხლა ზოგიერთი მათგანი ჩაწერილა კავშირში და მიდის კახეთში სხვადასხვა თანამდებობებზე წყალთა მეურნეობის სამმართველოს და სახალხო მამულების ტრესტის ხაზით. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

ამხ. კაკაბაძე
(ტყიბული)

ტყიბულის მაღაროებში ზოგიერთი სამუშაოები გაცემულია იჯარით. ამ სამუშაოებზე ზომები არ არის მიღებული მუშების შრომის დასაცავად. ყურადღება არ ექცევა აგრეთვე უშიშროების ტეხნიკას, რის გამო მოსალოდნელია უბედური შემთხვევები. საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები ამ სამუშაოების ჩამოსართმევად, რადგან ეხლა აღარ არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც აუცილებელი იყო ზოგიერთი სამუშაოების იჯარით გაცემა. იჯარა გამოწვეული იყო იმით, რომ იმ ხანებში ტყიბულში არ იშოვებოდა მუშა ხელი. მოიჯარადრე კი მიდიოდა სოფელში და იქიდან მოყავდა მუშები. ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა. ტყიბულში მუშები ბევრია, ასე რომ შეიძლება ამ სამუშაოების გაძღოლაც.

ამხ. არაქელოვი
(ხელოვნების მუშაკთა კავშირი)

აღნიშნავს, რომ აქამდი მოწესრიგებული არ არის ხელოვნების მუშაკების დაქირავება შრომის ბირჟის საშუალებით. პროფსაბჭომ უნდა გამოსცეს დადგენილება, რომ ეს დაქირავება ხდებოდეს მხოლოდ ბირჟების საშუალებით, ამით მოისპობა ის ხალტურა, რომელსაც ამჟამად აქვს ადგილი. მოწესრიგებულ უნდა იქნეს აგრეთვე მუსიკოსების და მუსიკოს-მასწავლებლების დაზღვევა.

ამხ. ბელენკის სიტყვა

შემდეგ ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვით გამოდის სრულიად საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ამხ. ბელენკი.

ამხანაგებო, ნება მომეცით საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს სახელით მივესალმო საქართველოს პროფესიონალურ კავშირების მეექვსე ყრილობას.

ის მუშაობა, რომელსაც ჩვენ აქამდი ვაწარმოებდით, არ გავს დღევანდელ მუშაობას. ახლო წარსულში იყო ერთგვარი შესვენება, როდესაც ჩვენ შევუდექით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას. საერთაშორისო განწყობილება ეხლა შეიცვალა. დღეს საერთაშორისო ბურჟუაზია ცდილობს ჩაშალოს ჩვენი მშვიდობიანი მუშაობა. საბჭოთა წარმომადგენლობებზე თავდასხმა პეკინსა და ლონდონში ამის დამამტკიცებელია. ყოველგვარი თავდასხმა, ყოველგვარი პროვოკაცია არის ღონისძიება, რომელიც მიმართულია ჩვენი მუშაობის ჩაშლისაკენ.

აქამდი ჩვენ ვმუშაობდით იმ მეურნეობის და მრეწველობის აღსადგენად, რომელიც მემკვიდრეობით მივიღეთ ბურჟუაზიისაგან. ეხლანდელი ამოცანები სულ სხვაა. ძველი მეურნეობა ჩვენ უკვე აღვადგინეთ. ეხლა უნდა შევუდგეთ მუშაობას ამ მეურნეობის ახალ საფუძველზე გარდასაქმნელად. ეს არის დღევანდელი დღის უდიდესი ამოცანა.

აქ იბადება საკითხი, რამდენად მომზადებული არიან პროფკავშირები ახალ პირობებში სამუშაოდ. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს პროფესიონალურ ორგანიზაციებს დიდი მიღწევები აქვთ. ჩვენ ეხლა გვაქვს ისეთი ქსელი, როდესაც პროფკავშირის 15 წევრზე მოდის ერთი აქტიური მუშაკი. ასეთი მდგომარეობა არ არის არც ერთ სხვა ქვეყანაში.

ამჟამად პროფკავშირების წინაშე სდგას ამოცანა გაძლიერებულ იქნეს საზოგადოებრივი მუშაობა პროფკავშირებში. წევრები უნდა დაუახლოვდენ თავის პროფესიონალურ ორგანიზაციებს, ეს უკანასკნელები უნდა გახდენ მათ მშობლიურ ორგანიზაციებად. ამის გარეშე შეუძლებელია მუშაობის ახალ სტადიაში გადასვლა. ამის გარეშე შეუძლებელია სოციალიზმის აშენება კაპიტალისტურ გარემოცვაში.

ჩვენი მუშების მატერიალური და კულტურული მდგომარეობა გაუმჯობესდა. ჩვენ გავუსწორდით იმ დონეს, რომელიც იყო 1913 წელში, მაგრამ ეს არ არის საკმარისი; რადგან ამ 14 წლის განმავლობაში მუშების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებები გაიზარდა. ამ ზრდას ხელი შეუწყო უდიდესმა რევოლიუციამ. ამიტომ კავშირებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები ამ გაძლიერებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

მუშების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებულია საწარმოო ძალების განვითარებაზე. აქედან—კავშირებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საერთო-სამეურნეო პოლიტიკაში, რომ ამით შეიქმნეს აუცილებელი პირობები მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობას. მე მაქვს ერთი ცხრილი, სადაც ნათქვამია; რომ თათბირების წინადადებების 70—80 პროცენტი ტარდება ცხოვრებაში, მაგრამ ეს არ არის მართალი; რადგან ეს რომ ასე იყოს, მაშინ ჩვენი მრეწველობა გაცილებით უფრო განვითარებული იქნებოდა. საჭიროა ამ მხრივ მუშაობის გაძლიერება, პროფკავშირების მუშაობა მიმართული უნდა იქნეს ჩვენი მეურნეობის განვითარების გაძლიერებისაკენ. ამ საკითხის გარშემო უნდა იქნეს დარაზმული საბჭოთა კავშირის პროფკავშირების ათ მილიონიან არმიის ყურადღება. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება ბაზისის შექმნა მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ჩვენი მუშაობის ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხია—უმუშევრობა. რაშია მისი მიზეზი? მრეწველობა და მეურნეობა ხომ იზრდება, მაშ რა იწვევს უმუშევრობას? საბჭოთა კავშირში ჩვენ გვაქვს ორი პარალელური პროცესი: მრეწველობის ზრდა და უმუშევრობის გაძლიერება. ამით განსხვავდება ჩვენი უმუშევრობა ბურჟუაზიული ქვეყნების უმუშევრობისაგან. უმუშევრობა ჩვენს ქვეყანაში იზრდება იმ ახალი მუშა ხელის ხარჯზე, რომელიც მოდის სოფლიდან ქალაქში. ამიტომ საჭიროა ახალი ღონისძიებების გამომუშავება უმუშევრობასთან საბრძოლველად. ფულადი დახმარების და შრომის კოლექტივების გარდა გამონახულ უნდა იქნეს სხვა საშუალება.

უმუშევრობა იკვებება უმთავრესად სამი წყაროდან. მუშა ხელის ლტოლვა სოფლიდან ქალაქში, მუშების ახალი კადრების ზრდა ქალაქებში და წვრილი ხელოსნების და ვაჭრების გაპროლეტარება. ამის და მიხედვით უმუშევრობასთან საბრძოლველად საჭიროა შემდეგი ღონისძიებები: სოფლის მეურნეობის განვითარება, რომ სოფლის ზედმეტი მუშა ხელი ადგილობრივ ჩაებას საქმეში, და შინა-მრეწველობის განვითარება, რომელშიაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოზარდი მუშები და გაპროლეტარებული ელემენტები. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც არის საქართველო. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ შინამრეწველობა ჩვენი მტერი კი არაა; არამედ იგი ზედმეტი საფეხურია საფაბრიკო მრეწველობაზე გადასასვლელად.

საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი კულტურული კუთხეა. აქედან მიდის გზა საბჭოთა ნავთისაკენ. ამიტომ საქართველოს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ყველა იმპერიალისტური სახელმწიფოები. ეხლა, როდესაც ომის საფრთხე გვევლინება, საქართველოს პროფკავშირებს ეკისრებათ უდიდესი სამსახური გაუწიონ თავის წევრებს და გააძლიერონ მუშაობა მრეწველობის განსავითარებლად.

ნება მიბოძეთ გამოვსთქვა იმედი, რომ დღევანდელი ყრილობა ნათლად გაითვალისწინებს ჩვენი ცხოვრების დღის წესრიგში დასმულ ამოცანებს და ახალ საერთაშორისო პირობებში პირნათლად შეასრულებს თავის პროლეტარულ მოვალეობას.

ერთხელ კიდევ იმედს გამოვსთქვამ, რომ საქართველოს პროფკავშირები საპატიო ადგილს დაიკავებენ საბჭოთა კავშირის პროფორგანიზაციებს შორის. (ტაში).

ამხ. ბელენკის სიტყვის შემდეგ ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და პროფინტერნს.

უკრაინაში

I.

დიდი ხანია მქონდა სურვილი გავმგზავრებულიყავი ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში და ახლოს გავცნობოდი მათ. და აი; ამხ. გ. სტურუასთან ერთად, მომიხდა უკრაინაში ყოფნა. ამ გამგზავრებამ მე გაცილებით უფრო ბევრი რამ მომცა, ვიდრე წინასწარ ვფიქრობდი. მე განვიზრახე ჩამომევლო უკრაინის ზოგიერთი დიდი პუნქტები. მე არ მქონდა დრო და ამიტომ არ შემეძლო ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით გავცნობოდი მუშაობას უკრაინაში, მაგრამ, უკრაინელი ამხანაგების სტუმართმოყვარეობის და დახმარების მეოხებით როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ; მომეცა საშუალება არა მარტო იმისა, რომ შემომევლო უკრაინის მთავარი პუნქტები, არამედ საშუალებაც იმისა, რომ ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანად გავცნობოდი საბჭოთა აღმშენებლობის მიღწევებს, და აგრეთვე პარტიულ მუშაობას. ამხანაგებმა ყოველ მხრივ შემიწყვეს ხელი და შექმნეს ყოველგვარი პირობები ჩემ მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის. უდიდესი მნიშვნელობა ჩვენთვის ჰქონდა იმ გარემოებას, რომ უკრაინაში ჩვენი მოგზაურობის დროს ყოველთვის ჩვენთან იმყოფებოდა უკრაინის ცაკის მდივანი ამხ. ბუცენკო, რომელიც ყველაფერში გვეხმარებოდა.

მე ჩავედი სწორედ პირველი მაისის დღესასწაულის დღეს. დავესწარი ხარკოვის პროლეტარიატის საზეიმო დემონსტრაციას; შემდეგ ვიყავი დონბასის ცენტრში: **სტალინოში და მაკიევკაში, დნეპრო-პეტროვსკში, კიევში; ოდესაში**;—გარდა ამისა, ვიყავი რამოდენიმე სოფელში. ჩემი გამგზავრების მთავარი მიზანი იყო გავცნობოდი უკრაინის მრეწველობას, რომელსაც მთავარი მნიშვნელობა აქვს არა მარტო უკრაინისათვის, არამედ მთელი კავშირისათვის.

ჩვენს საბჭოთა კავშირში უკრაინა რ. ს. ფ. ს. რ. შემდეგ პირველი დიდი რესპუბლიკაა როგორც ტერიტორიით, ისე მოსახლეობის რაოდენობით. კავშირის სახალხო მეურნეობაში უკრაინა დიდ როლს თამაშობს. უკრაინის სიმდიდრეს უმთავრესად შეადგენს: **პური, ქვა-ნახშირი, რკინა, შაქარი**. ამ პროდუქტების მომხმარებელია თითქმის მთელი კავშირი, ამ პროდუქტების ნაწილი აგრეთვე საზღვარ-გარეთაც გააქვთ.

სანამ შეუდგებოდე უკრაინის ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობის დახასიათებას, არ შეიძლება არ მოვიგონოთ ის, თუ როგორ მდგომარეობაში იყო ეს ქვეყანა 7 წლის წინედ—პირველ მაისს სამოქალაქო ომის გათავების დღიდან.

შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო ომის განმავლობაში უკრაინა ყველაზე უფრო დაზარალდა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. 18 წლის დასაწყისში უკრაინას შეესიენ გერმანიის ჯარები, შემდეგ იქ ხანგამოშვებით თარეშობდენ ხან გეტმანი, ხან პეტლიურა, ხან დენიკინი, ხან გრიგორიევი და აგრეთვე სხვა ბანდები. ყველა ისინი უკრაინის ტერიტორიას ინაწილებდენ, ანადგურებდენ, სწვავდენ, არბევდენ, ძარცვავდენ, ანგრევდენ. უკრაინის ხალხის მთელი ცხოვრება რამოდენიმე წლის განმავლობაში თითქოს ჩაკვდა, და ვის შეეძლო ეფიქრა, რომ რაღაც 5-6 წლის შემდეგ უკრაინაში კვლავ გაჩაღდებოდა ცხოვრება, ამუშავდებოდენ ფაბრიკები და ქარხნები და გლეხებს მიეცემოდათ თავის მეურნეობის განვითარების საშუალება.

როცა ეხლანდელ მდგომარეობას ვადარებთ იმას, რაც იყო წინედ, ეს ცვლილებები უცებ გვეცემა თვალში, ჩვენ ეხლა ვხედავთ, რომ მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა ვითარდება და მიდის წინ სწრაფი ტემპით.

II.

უკრაინას უჭირავს 451.580 კვადრ. კილომეტრი. მის მცხოვრებთა რიცხვი 1927 წლის აღწერით უდრის 28.872.000 კაცს. აქედან—ქალაქებში ცხოვრობს 5.247.000 კაცი, ანუ 18,2 პროც.; ხოლო სოფლებში 23.625.000 კაცი, ანუ 81,8 პროც., უკრაინაში არის 5 ქალაქი, რომლებშიაც მოსახლეობის რიცხვი 100.000-ზე მეტია, სახელდობრ: ხარკოვი (407.578 კაცი); კიევი—უფრო მეტი (491.338 კაცი); ოდესა (411.111 კაცი), დნეპრო-პეტროვსკი (ყოფილი ეკატერინოსლავი)—230.195 კაცი და ნიკოლაევი (100.699 კაცი). უკრაინის ეროვნული შემადგენლობა მრავალფეროვანია, მაგრამ უკრაინელები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 78,8 პროც. რუსები შეადგენენ 9,5 პროც., ებრაელები—6,4 პროც., პოლონელები—1,5 პროც.; გერმანელები—6.4 პროც.; მოლდაველები—0,7 პროც., დანარჩენები—1,7 პროც.

უკრაინის დამახასიათებელია ის, რომ უკრაინელი მოსახლეობა უმთავრესად თავმოყრილია სოფლებში. ქალაქებში ისინი უმეტეს შემთხვევაში უმცირესობას შეადგენენ. ეს გარემოება ართულებს სახელმწიფო აპარატის უკრაინიზაციის გატარების საკითხს. მაგრამ უკანასკნელ ხანებში საგრძნობი ტემპით ხდება უკრაინიზაცია.

უკრაინა სასოფლო სამეურნეო ქვეყანა იყო. მრეწველობამ, განსაკუთრებით მსხვილმა მრეწველობამ, განვითარება იწყო უმთავრესად წარსული საუკუნის მე-80 წლებში, როცა მსხვილი კაპიტალი შეიჭრა მაშინდელ რუსეთის იმპერიაში. იმ დროს უკრაინაში, უმთავრესად დონბასში დიდი მასშტაბით იწყება ქვა-ნახშირის ამოღება, შენდება ლითონის მწარმოებელი ქარხნები უდიდესი ღუმელებით. მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდება მუშათა კლასიც, რომელმაც შემდეგ უდიდესი როლი ითამაშა რევოლიუციონურ მოძრაობაში. მრეწველობა ამერიკული ტემპით ვითარდებოდა. რაღაც 2—3 ათეული წლის განმავლობაში დონბასი სავსებით შეიცვალა. მთელი დონბასი დაისერა რკინის გზების მჭიდრო ქსელით, გაიზარდა მრავალი ქალაქები მუშათა მოსახლეობით. მრეწველობა მოითხოვდა კვალიფიციურ მუშაკებს ინჟენერებს, ტეხნიკოსებს და სხ. სახით, წარმოიშვა უმაღლესი და საშუალო ტეხნიკური სასწავლებლები.

სამთამადნო და მეტალურგიულ მრეწველობასთან ერთად უკრაინაში ვითარდება აგრეთვე შაქრის მრეწველობა, რომელიც ძალიან იზრდება.

ყოველივე ამის გამო უკრაინას სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მეფის რუსეთის ეკონომიკაში. მსხვილი კაპიტალი ტყავს აძრობდა მუშებს და მოგების უდიდესი ნაწილი გაჰქონდა საზღვარგარედ, ვინაიდან უმთავრესად უცხოელი კაპიტალისტები (ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის) იყვენ წარმოების სათავეში. ეს ქვეყანა არსებითად ხდებოდა უცხოეთის კაპიტალის კოლონიად, რასაც ხელს უწყობდა მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ აქ მრეწველობა სწრაფად ვითარდებოდა და კაპიტალისტებს უდიდესი მოგება რჩებოდა, მუშათა მდგომარეობა არა თუ უმჯობესდებოდა, არამედ სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. კაპიტალისტები არ ზრუნავდენ მუშათა მუშაობის პირობების გაუმჯობესებაზე, მუშები, გარდა იმისა, რომ დაბალ ხელფასს იღებდნენ, საშინელ პირობებში მუშაობდნენ. ამით აიხსნება ის, რომ დონბასის მუშებს შორის მალე იწყება რევოლიუციონური მოძრაობა.

როგორც ზემოთ ვსთქვით, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ უკრაინაში, განსაკუთრებით დონბასში, სამოქალაქო ომი მწვავე ხასიათს იღებს, რის გამოც მთელი სამრეწველო ცხოვრება ჩაკვდა, მუშათა კლასზე ახდენენ ძალადობას კონტრრევოლიუციონური ბანდები. უკრაინაში ჩვენ ვხედავთ სრულ განადგურების სურათს. მაგრამ წითელი არმიის გმირული ბრძოლით და მუშათა კლასის ძალ-ღონით უკრაინის ტერიტორიაზე თანდათან მოისპო კონტრრევოლიუციონური ბანდები. საბჭოთა ხელისუფლება კომუნისტური პარტიის მეთაურობით შეუდგა ამ ქვეყნის დამშვიდებას, დანგრეული მეურნეობის აღდგენას.

თანდათანობით, ნელ-ნელა, შეუდრეკელი შრომით სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის, რომლის შედეგების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ცნობები. თუ უკრაინის მრეწველობის პროდუქციას მივიღებთ 100-ად, ჩვენ გვექნება შემდეგი სურათი:[1]

უკრაინის სახალხო მეურნეობის ძირითადი მაჩვენებლები 1923 წელთან შედარებით (პროცენტებში 1913 წელთან შედარებით).

	1923—4	1924—5	1925—6	1926—7.
მთელი სახალხო მეურნეობის პროდუქცია	60	67	91	99,5
მათ რიცხვში:				
სასოფ. მეურნეობის	81	81	99	100.5
მრეწველობის	38	51	82	98
მათ რიცხვში:				
ა) მსხვილი	32	47	81	99
ბ) წვრილი	70	75	87	96

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ 1925—26 წლის მიწურულში პროდუქციის ღირებულებამ თითქმის ომის წინადროინდელ დონეს მიაღწია, ამასთან მრეწველობის ზრდა განსაკუთრებით ინტენსიურია უკანასკნელ ორ წელში.

უკრაინის სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქცია ომის წინადროინდელ ფასებში იზრდებოდა შემდეგნაირად: 1923—24 წ.—468 მილ. მან.; 1924—25 წ.—710 მილ; მან.; 1925—26 წ.—1,222 მილ. მან.; ხოლო 1926—27 წ. საერთო პროდუქციის ღირებულება განზრახულია აყვანილ იქნას 1.504 მილიონ მანეთამდე. (პროდუქციის ღირებულება ნაანგარიშევია უაქციზოდ).

თუ მთლიანად ავიღებთ უკრაინის სახალხო მეურნეობას, როგორც მრეწველობას, ისე სასოფლო მეურნეობას, მაშინ სახელმწიფო და კოოპერატიული მეურნეობის წილად მოდის:

სახელმწიფო და კოოპერატიული მეურნეობის წილი (პროცენტებში).

	1923—24	1924—25	1925—26	1926—27
უკრაინის მთელი სახალხო მეურნეობის პროდუქციაში	25.0	31.5	38.0	43.0
აქედან:				
სასოფ. მეურნეობაში	6.7	5.6	4.9	5,5
მრეწველობაში	69,0	76,5	82.0	84.0
მშენებლობაში; სასოფლო მშენებლობის ჩართვით	30.0	47.0	52,5	55.0
ვაჭრობაში	52,0	69.0	73.0	76.0

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ თანდათან, წლიდან წლამდე; იზრდებოდა სახელმწიფო და კოოპერატიული წარმოების როლი უკრაინის მეურნეობაში. თუ ავიღებთ უკრაინის მრეწველობის მნიშვნელოვან დარგებს, როგორც; მაგალითად; საქვანახშირო, ლითონის; მანქანათმშენებლობის და შაქრის წარმოების დარგებს; დავინახავთ შემდეგს:

ავიღოთ ჯერ ქვანახშირის მრეწველობა.

საბჭოთა კავშირში სწარმოებდა ქვანახშირის ამოღება მილიონ ფუთებში:

წელიწადი	მთელს საბჭოთა კავშირში	აქედან უკრაინაში
1912 წ.	1.994	1.738
1920 წ.	446	273
1921—22 წ.	621	488
1924—25 წ.	980	760
1925—26 წ.	1.489	1.194

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ მთელს საბჭოთა კავშირში ამოღებული ქვანახშირიდან უკრაინაზე მოდიოდა ომის წინა დროს 88.0 პროცენტი, ხოლო ეხლა მოდის 80,0 პროც.

ლითონის მრეწველობის დარგში, თუჯის გამომუშავების მხრივ, უკრაინის როლი სჩანს შემდეგ ცხრილიდან:

გამომუშავებულია თუჯი მილიონ ფუთებში*)

წელიწადი	მთელს საბჭოთა კავშირში	აქედან უკრაინაში	[illegible]
1913 წ.	257	189	74
1921—22 წ.	10	5	46
1924—25 წ.	79	54	67
1925—26 წ.	135	102	76

მაშასადამე, ამჟამად უკრაინა უფრო მეტ თუჯს იძლევა; ვიდრე ომის წინ.

ფოლადის წარმოების ასეთი სურათი გვაქვს ((მილიონ ფუთ.)

წელიწადი	მთელს საბჭოთა კავშირში	აქედან უკრაინაში	[illegible]
1913 წ.	264	167	63
1921—22 წ.	19	8	42
1924—25 წ.	113	53	47
1925—26 წ.	176	94	54

ამნაირად, ფოლადის გამომუშავების მხრივ უკრაინას ჯერ-ჯერობით არ მიუღწევია ომის წინადროინდელ დონემდე.

მანქანათმშენებლობის დარგში უკრაინას აქვს ქარხნები, რომლებიც ამზადებენ ორთქლმავლებს, ვაგონებს და რკ. გზ. ტრანსპორტის სხვა დასხვა მოწყობილობას, სასოფლო სამეურნეო მანქანებს და იარაღებს, ელექტრო მანქანებს და სხ. გარდა ამისა, უკრაინას აქვს გემთსაამშენებლო ქარხნები. პირველ რიგში სდგას სასოფლო სამეურნეო მანქანების წარმოება. ამჟამად მუშაობს 32 მანქანათსაამშენებლო ქარხანა; სადაც მუშაობს 20.000 მეტი მუშა.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამზადებამ გადააჭარბა ომის წინადროინდელ ნორმას. უკანასკნელ დროს ამ ქარხნებში დაიწყეს რთული კონსტრუქციის ტრაქტორების დამზადებაც.

ტრაქტორების დამზადება უკრაინაში წარმოებს ორ ქარხანაში: ხარკოვის ორთქლმავლების საამშენებლო ქარხანასა და მელიტოპოლის ოლქში. 1925-26 წელს დამზადებულ იქნა 664 ტრაქტორი.

მანქანათსაამშენებლო ქარხნებიდან უნდა აღინიშნოს ხარკოვის ელექტროსაამშენებლო ქარხანა, რომელიც ამზადებს ძრავებს, ტურბინებს, გენერატორებს და ელექტრო სადგურების სხვა მოწყობილობას. ეს ქარხანა მთელს საბჭოთა კავშირს აწვდის ელექტრო მოწყობილობის საგნებს და თავისი მოწყობის მხრივ ითვლება ერთ-ერთ პირველ ქარხნად მთელს საბჭოთა კავშირში. ამ ქარხანამ ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე როგორც თავისი სიძლავრით, ისე ახალი ტეხნიკური მოწყობილობით. ქარხანაში მუშაობს 5.500 მუშა და 400 ინჟენერი და ტეხნიკოსი.

საბჭოთა კავშირის შაქრის მრეწველობაშიც დიდია უკრაინის მონაწილეობა. მისი მონაწილეობა გამოიხატება შაქრის მთელი წარმოების 80, 90 პროცენტით, ხოლო ომის წინადროინდელ წარმოებას სჭარბობს 60 პროცენტით, ამასთან ეს ზრდა განსაკუთრებით ინტენსიური იყო უკანასკნელ ხანში.

შევჩერდები კიდევ სამ წარმოებაზე, რომლების დათვალიერებაც მოვასწარი. ხარკოვის ელექტრო საამშენებლო ქარხნის გარდა, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკე, მე დავათვალიერე სტალინის (ყოფ. იუზოვის), მაკიევის და დნეპროპეტროვსკის (ყოფ. კამენსკოე) ამხ. ძერჟინსკის სახელობის ლითონის მწარმოებელი ქარხნები. ამ ქარხნების ადმინისტრაციისაგან მიღებული მასალებიდან სჩანს შემდეგი: სტალინის ქარხნის წარმოება 1926-27 წლის პირველ ნახევარში, თუჯის გამომუშავების მხრივ ღუმელების სამქროში, უდრის 11.154.603 ფუთს. ამ ქარხანას დაუმზადებია რელსები: პირველი ხარისხის—1.583.642 ფ., მეორე ხარისხის—490.775 ფ. და თუჯის დანარჩენი ნაწარმოები—1.526.328 ფ., რაც რელსების დამამზადებელ საამქროს საწარმოო პროგრამას სჭარბობს 7,1 პროცენტით. მარტენის საამქროში (ფოლადის წარმოება) გამომუშავებულია 7.092.000 ფ., რაც სჭარბობს საწარმოო პროგრამას 6,6 პროცენტით, ხოლო 1913 წელთან შედარებით უკვე შეადგენს 100,8 პროცენტს. რკინის ჩამომსხმელ საამქროში 1926-27 წლის პირველ ნახევარში ჩამოსხმულია პირველი ხარისხის რკინა 1.620.815 ფუთი, რაც შეადგენს საწარმოო პროგრამის 109 პროცენტს, ფოთლოვან რკინის საამქროს დაუმზადებია 975,225 ფ. ფოთლოვანი რკინა, რაც საწარმოო პროგრამის 108,4 პროც. შეადგენს, კოქსის გადამდნობ ღუმელებში 1926-27 წლის პირველ ნახევარში გამომუშავებულია 15.523.492 ფ. კოქსი, რაც 1913 წელთან შედარებით შეადგენს 115,3 პროცენტს.

მაკიევის ქარხანა თავისი მოწყობილობით და წარმოების დაყენებით სტალინის სახელობის ქარხანაზე მაღლა სდგას. ქარხნის მუშაობის ნაყოფიერების შესახებ მე ვერ მოვახერხე ცნობების მიღება. ეს ქარხანაც იმავე საგნებს ამზადებს, რასაც სტალინის სახელობის ქარხანა. მაგრამ გარდა მარტენის ღუმელებისა, აქ არის ბესემერის ღუმელებიც. ამ ქარხნების გადაკეთება სწარმოებს ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ამ ქარხნების ნაყოფიერებამ უკვე მიაღწია ომის წინანდელ ნორმას და მათი შემდეგომი ზრდა უზრუნველყოფილია. არ შეიძლება არ აღინიშნოს განსაკუთრებული გულმოდგინეობა საქმისადმი, რასაც იჩენს ამ ქარხნების ადმინისტრაცია, როგორც პარტიულ ხელმძღვანელების, ისე უპარტიო სპეცების სახით, რომ არ ვილაპარაკოთ მუშებზე, რომელთაც კიდევ ძალიან მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა.

სანამ გადავიდოდე დნეპრო-პეტროვსკის ქარხანაზე,—შევჩერდები დნეპრო - პეტროვსკის ოლქის ეკონომიკის საერთო დახასიათებაზე. ამ ოლქის ტერიტორიაზე არსებობს 282 სახელმწიფო სამრეწველო წარმოება, რომელთა ძირითადი კაპიტალი 66,764,000 მანეთს უდრის. ყველა ამ წარმოებებში მუშაობს 55,863 მუშა. რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ამ მრეწველობის ხვედრ. წონაზე, რასაც მნიშვნელობა აქვს არა მარტო დნეპრო-პეტროვსკისათვის, არამედ მთელი რესპუბლიკისათვის, საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ციფრები. მაგალითად—1926-27 წელს მთელი სასოფლო-სამეურნეო ოლქის საერთო პროდუქციის ღირებულება განისაზღვრება 74,3 მილ. მანეთით, მაშინ, როცა დნეპრო-პეტროვსკის ოლქის მრეწველობის საერთო პროდუქცია 1925-26 წელს უკვე უდრიდა 184,000.000 მანეთს, ე. ი. ორ ნახევარჯერ აღემატებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციას.

დნეპრო-პეტროვსკის ამხ. ძერჟინსკის სახელობის ქარხნის მუშაობას ახასიათებენ ქვემოდ მოყვანილი ციფრები, რომელიც უშუალოდ ქარხანაში მივიღე:

	1913 წ.	1925—26 სოპერ. წ.	პროც. შეფარდება 1913 წელთან
თუჯის ჩამოსხმა (ტონობით)	414509,3	297995,2	71,9
ჩამოსხმულია მარტენის მორები, „ბოლვანკები“ (ტონობით)	250028,0	195015,0	77,9
ჩამოსხმულია ბესემერის მორები (ტონობით)	136260,0	128921,6	97,1
რელსები და რკინის ძვირები	94994,6	85912,6	90,5
სარკინიგზო რელსები 1 ხ.	48846,5	54856,7	112,1
„ „ 2 ხ.	—	12863,6	—
ტრამვაის რელსები 1 ხ.	8740,1	6336,5	72,5
„ „ 2 ხ.	—	1172,4	—
რკინის ძვირები და შველერები	42408,0	10683,4	25,2
დახარისხებული რკინა	81188,4	86244,9	106,2
მავთული	667992,7	58343,5	8,7
ბანდაჟები	24594,4	1422,1	5,8
ღერძები	14205,8	4341,3	30,5
სქელი ფურცლები	35215,1	11791,2	33,4
თხელი ფურცლები	11698,7	6918,0	59,2

ეს ქარხანა თავისი მოწყობილობით ერთ-ერთი საუკეთესო ქარხანაა არა მარტო უკრაინაში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში. მიუხედავად იმისა, რომ ქარხანამ სულ ამ ორი წლის წინად განაახლა მუშაობა, ჩვენ აქ დიდი მიღწევები გვაქვს. ზოგიერთ ცეხების მუშაობის ნაყოფიერებამ ომის წინანდელ ნორმებს გადააჭარბა, თუმცა ზოგიერთ ნაწარმოებთა დამზადება კიდევ ვერ აღწევს ომის წინანდელ დონეს. ომამდე ამ ქარხანაში მუშაობდა 9871 კაცი, ხოლო 1925-26 წელს კი მუშაობდა უკვე 11.049 მუშა, ე. ი. 1,178 კაცით, ანუ 12 პროცენტით მეტი; თვითეულ მუშის სამუშაო ხელფასი უდრიდა 1913 წელს 1 მ. 46 კაპ., ხოლო 1925-26 წელს 1 მ. 63 კაპ.

ქარხნების დათვალიერების დროს ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია გასაქირავებელ ცეხის, მავთულის ცეხის მუშაობამ, სარკინიგზო ბანდაჟების დამზადებამ და სხვ. აქ არსებობენ გიგანტიური ღუმელები, რომლებიც 7-8 ათას ფუთ თუჯს ამზადებენ დღე და ღამეში. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ეხლა შენდება ახალი ღუმელი ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, რომელიც დღე და ღამეში დაამზადებს 40 ათას ფუთ თუჯს. ქარხანაში სამაგალითო წესრიგი და სისუფთავეა. ყოველგან სჩანს მზრუნველი ხელი.

ეს გიგანტიური ქარხნები წარმოადგენენ საბჭოთა უკრაინის სიამაყეს და მოწმობენ საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს მიღწევებს. მათ დიდი მომავალი აქვთ.

III

შემდეგში მე აღარ შევჩერდები საბჭოთა უკრაინის მსხვილ მრეწველობაზე. ვფიქრობ, რაც უკვე ვსთქვი, საკმარისია იმისთვის, რომ ასე თუ ისე ვიქონიოთ სწორი წარმოდგენა. მე არა მაქვს საშუალება აღვნიშნო აქ ის სახელმწიფო სამრეწველო წარმოებები, რომლების დათვალიერებაც მომიხდა როგორც ხარკოვში, ისე დნეპრო-პეტროვსკისა, კიევსა და ოდესაში, რომ აღარ ვილაპარაკოთ იმ ფაბრიკა-ქარხნებზე, რომლების დათვალიერებაც მე არ შემეძლო. თავის თავად იგულისხმება, რომ უკრაინაში, მსხვილ მრეწველობასთან ერთად, არსებობს, ისე როგორც ყველგან, წვრილი და შინახელოსნური მრეწველობაც, რომლის სიდიდეზედაც შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ თუნდაც იქიდან, რომ ჯერ კიდევ 1924-25 წელში მასში ჩაბმული იყო 522,685 მუშა, მაშინ, როდესაც მსხვილ (ცენზიან) მრეწველობაში ჩაბმული იყო 457,496 კაცი. ძალიან უმნიშვნელოა სახელმწიფოს და კოოპერაციის მონაწილეობა წვრილ და შინა-ხელოსნურ მრეწველობაში, ხოლო მისი პროდუქცია, მსხვილ მრეწველობასთან შედარებით მეტად მცირეა. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მრეწველობის დარგში ამჟამად უკრაინა ასრულებს უდიდეს სამუშაოს როგორც არსებულ ფაბრიკების, ქარხნების, მაღაროების და სხ. გადაკეთებისა და უფრო მაღალ ტეხნიკურ ბაზაზე დაყენების მხრივ, ისე ახალი მაღაროების, ქარხნების და ფაბრიკების აშენების მხრივაც. ყველგან შეიძლება ამ შემოქმედებითი მუშაობის შემჩნევა, რომელიც მიმართულია არსებული წარმოების გაუმჯობესებისაკენ და ახლის შექმნისაკენ. სამწუხაროდ, მხოლოდ თანხების ნაკლებობა აფერხებს ამ მუშაობას. მიუხედავათ ამისა, უკრაინაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მე ვფიქრობ უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებში. უკრაინის ახალი მშენებლობიდან მე აქ უნდა აღვნიშნო მექანიკური პურის საცხობი ქარხანა კიევში, უდიდესი კინოფაბრიკა და მძლავრი ელექტროსადგური, ლინოლეუმის ფაბრიკა ოდესაში, რომელიც, მგონია, ჯერ-ჯერობით პირველია მთელს საბჭოთა კავშირში და, აგრეთვე, რაიონული ელექტროსადგური, რომელიც ხარკოვში შენდება.

მაგრამ მთელ ამ ახალ მშენებლობიდან ყველაზე გრანდიოზულია „დნეპროსტროი“ (დნეპრის ჰიდროელსადგური), რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს მთელს საბჭოთა კავშირში. ამჟამად არც კი შეიძლება ზედმიწევნით შეფასებულ იქნას „დნეპროსტროის“ მნიშვნელობა უკრაინის ეკონომიკისათვის. „დნეპროსტროის“ მნიშვნელობა აგრეთვე არ ამოიწურება იმ უამრავი ენერგიით, რომელსაც ის იძლევა. საქმე იმაშია, რომ „დნეპროსტროიმ“ უზარმაზარი მდინარე დნეპრი მთელ მის სიგრძეზე უნდა გადააქციოს ნაოსნობისათვის გამოსადეგ მდინარეთ, რასაც დღემდე უშლიდენ უზარმაზარი ქვები, რომლებიც გაჭიმულან რამოდენიმე ათი კილომეტრის მანძილზე დნეპროპეტროვსკსა და ზაპოროჟიეს შუა. სწორედ ამ ადგილზე დნეპროსტროი რამოდენიმე საჟენით აამაღლებს წყალის დონეს და დნეპრს, მთელ მის სიგრძეზე, გახდის ნაოსნობისათვის გამოსადეგს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ეხლა იწყება უკრაინაში წყალის ენერგიის გამოყენება. პირველი ჰიდროელსადგური უკრაინაში ამ რამოდენიმე ხნის წინად (ამა წლის 9 მაისს) გაიხსნა მდინარე ბუგზე, სოფ. ალექსანდროვსკში. ჯერ-ჯერობით დადგმულია 640 ცხენის ძალიანი ორი ტურბინა. წლის მიწურულში ამ სადგურის სიმძლავრე აყვანილი იქნება 1.280 ცხ. ძალამდე. სადგური დაჯდა 1,5 მილ. მანეთი. საყურადღებოა ის, რომ სადგურის ასაშენებლად ფულის შეწოდებაში 2.500 გლეხმა მიიღო მონაწილეობა. დაიწყო 6 ახლო მდებარე სოფლის ელექტროფიკაცია. ნიკოლაევისა და პირველი მაისის ოლქების საზღვარზე განზრახულია 30.000 ცხ. ძალიანი ჰიდროელსადგურის აგება. გარდა ამისა, აღძრულია შუამდგომლობა 1.500 კილოვატიანი ჰიდროსადგურის აგებაზე მელიტოპოლის ოლქში, ნოგაისკის მახლობლად. ამით არ ამოიწურება უკრაინის ელექტრო მშენებლობა, მაგრამ ამ უკანასკნელის დასახასიათებლად ესეც საკმარისია. მარტო დონის საქვანახშირო რაიონში კაპიტალურ მშენებლობაზე განზრახულია დაიხარჯოს 40 მილ. მანეთი, რაც გაცილებით ბევრად სჭარბობს შარშან ჩატარებულ მუშაობას, მაგრამ მთელი ეს თანხა სავსებით ვერ აკმაყოფილებს დონის საქვანახშირო აუზის მთელ მოთხოვნილებას.

საჭიროა აქ, რამდენიმე სიტყვით მაინც, აღინიშნოს **ადგილობრივი მრეწველობა**, რომელმაც უკრაინაში თავისი განვითარების მხრივ გაუსწრო კიდეც მსხვილ მრეწველობას და პროდუქციის მხრივ მიაღწია ომის წინადროინდელ დონის მთელი 100 პროცენტით. ადგილობრივ მრეწველობის განვითარების ხუთწლიური გეგმა, შედგენილი უკრაინის სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს მიერ ითვალისწინებს ამ მრეწველობის შემდეგ ზრდას: 1927-28 წ. მან უნდა გამოიღოს 209,307 ათასი მან. პროდუქცია, ე. ი. 18 პროც. მეტი წინა წელზე, 1928-29 წ. საერთო პროდუქციის ღირებულება უნდა შეადგენდეს 247,071 ათას მანეთს, 1929-30 წ. 298,653 ათას მან., 1930-31—355,337 ათას მან., 1931-32 წ.—387,285 ათას მან.. ეს ციფრები საკმაოდ ახასიათებენ უკრაინის ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას და როლს.

ეხლა ორიოდე სიტყვას ვიტყვი **საბინაო მშენებლობის** შესახებ უკრაინის ქალაქებში. ხარკოვში ამას წინად გამართულ სრულიად საკავშირო სანიტარულ-ტეხნიკურ ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებიდან სჩანს, რომ უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში უკრაინაში აშენებულ იქნა 235.154 კვ. საჟენი საცხოვრებელი მოედანი, რაზედაც დაიხარჯა 103 მილიონი მანეთი. მიმდინარე საამშენებლო სეზონში განზრახულია 200.000 კვ. საჟ. საცხოვრებელი მოედნის აშენება. საბინაო მშენებლობა მთელ უკრაინაში წარმოებს, მაგრამ განსაკუთრებული ძლიერი ტემპით ის მიმდინარეობს დონის საქვანახშირო რაიონსა და ნაწილობრივ ქალაქ ხარკოვში. ამ ქალაქში თვალში გეცემათ მრავალი, უკანასკნელად აშენებული ახალი სახლი. ეს იმით აიხსნება, რომ ხარკოვი გადაიქცა საბჭოთა უკრაინის დედაქალაქად და, მაშასადამე, მთავარ ცენტრად. ამ უკანასკნელ გარემოებამ არ შეიძლებოდა არ გამოეწვია აქ საბინაო კრიზისი,

---

[1] В. Чубарь. Очередные задачи хозяйственного строительства. Харьков, 1927 г.

*) ქვემო მოყვანილი ცნობები ამოღებულია 1927 წლის კალენდარ-ცნობარიდან.

პარტიული ცხოვრება

სიღნაღის მაზრის ორგანიზაცია ჩინეთის რევოლიუციის შესახებ

ხ. ქ. პ. (ბ) ქალაქ სიღნაღის პარტორგანიზაციის კომკავშირის აქტივთან გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა რა ამხ. შუშანიას მოხსენება ჩინეთის ამბების შესახებ, კრება ერთსულოვნათ უერთდება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას თეზისებს ჩინეთის მდგომარეობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ჩინეთის რევოლიუციის ღრმა და სწორ ანალიზს.

ჯერ კიდევ 1926 წლის აპრილში სკ. კომპარტიის ცეკას პლენუმმა კატეგორიულად დასვა საკითხი გომინდანში მემარჯვენე ელემენტების ყოფნის შესახებ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მემარჯვენეები გაეძევებინათ გომინდანიდან სავსებით სწორი იყო ცეკას ხაზი, როდესაც ის ამბობდა კომპარტიამ არ უნდა დაფაროს მემარჯვენე გომინდანელ. მოღალატური და რეაქციონური პოლიტიკა, არამედ მემარჯვენეთა გამასამჟღავნებლად უნდა დარაზმოს მშრომელი მასები მემარცხენე გომინდანის და ჩინეთის კომპარტიის გარშემო.

მეორეს მხრივ კრება აღიარებს, რომ ევროპის და ამერიკის მილიტარისტების თავხედობა ჩინეთში იმის მაჩვენებელია, რომ კაპიტალისტები აქტიურ თავდასხმაზე გადადიან მშრომელ მასების წინააღმდეგ და სურთ საბჭოთა კავშირიც ჩაითრიონ ძალა-უნებურ სისხლის ღვრაში. საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობის გართულების მიზნით იქმნა დარბეული და აწიოკებული საბჭოთა საკონსულო ჩინეთში ამ მიზნითვე სწარმოებდა საშინელი რეპრესიები კომუნისტებზე და ყველა საბჭოთა მოქალაქეებზე შანხაიში, ნანკინში და სხვაგან. მიუხედავათ ამისა, საბჭოთა კავშირი მტკიცეთ სდგას საერთაშორისო მშვიდობიანობის სადარაჯოზე და ის არასოდეს არ წამოეგება იმპერიალისტების ანკესზე.

ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ჩინეთის ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც თავისი გამოხატულობა ჰპოვა ჩინეთის მიმდინარე რევოლიუციაში, გომინდანს გასწმენდს ნაციონალურ ბურჟუაზიის მემარჯვენე ელემენტებისაგან, რომელნიც წარმოადგენენ ჩან-კაი-ში, ღალატის ბუდეს და რეაქციონ. მილიტარისტების დასაყრდნობს ჩინეთში. ჩვენ გვწამს, რომ კომპარტია და მემარცხენე გომინდანი, რომელთაც გადაჭრილი კურსი აქვთ აღებული მასიური მოძრაობის განვითარებისაკენ. საბოლოოთ გაანადგურებენ ჩინეთის შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლიუციონურ ბანდებს. ამას ნათლათ ამტკიცებს გლეხკაცობის უკანასკნელი მასიური რევოლიუციონური მოძრაობა ჩან-კაი-შის და მილიტარისტების წინააღმდეგ.

ოპოზიცია მოითხოვს ჩინეთის კომპარტიის გომინდანიდან გამოსვლას, რაც ნიშნავს ბრძოლის ველიდან გაქცევას, მაშინ, როდესაც ჩინეთის რევოლიუციას, გომინდანს, წალეკავს უქადის ბურჟუაზიული ინტერვენციის და შინაური ღალატის სტიქია.

კომპარტია არასოდეს არ გაჰყვება ამ გზას და ის გომინდანში დარჩენით ხელს შეუწყობს, როგორც გომინდანის, ისე მთელი ჩინეთის რევ. მოძრაობის განმტკიცებას.

გაუმარჯოს ძლევამოსილ ჩინეთის მშრომელთა განმათავისუფლებელ მოძრაობას, ჩინეთის კომპარტიისა და რევოლიუციონურ გომინდანის ხელმძღვანელობით.

ჩვენი უჯრედის ავ-კარგი

(ამხ. მ. კახიანის სახელობის მუშფაკი)

თბილისის სახელ. უნივ. ამხ. მიხა კახიანის სახელობის ქართული მუშფაკის ა. ლ. კ. კ-ს ორგანიზაცია აერთიანებს 340 წევრს, ამათში 52 ქალია. ეროვნების მიხედვით ქართველი 327 კაცი, სომეხი 10 და სხვა 3. მუშფაკის ა. ლ. კ. კ-ს ბიურო კოლექტივი აერთიანებს შვიდ უჯრედს. ბიურო კოლექტივის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულია სხვადასხვა კომისია. კომკავშირელები ჩაბმული არიან სხვადასხვა წრეების მუშაობაში, როგორიცაა ლიტერატურული წრე, ფიზიკური წრე, კულტ-წრე, მომღერალთა წრე, მუსიკოსთა წრე, დრამწრე და სხვა. ხშირად იდგმება წარმოდგენები.

პარტიის ხელმძღვანელობა ჩვენს უჯრედზე კარგია. ამის შედეგი არის ის, რომ კომკავშირი პოლიტიკურად ჯანსაღი აღმოჩნდა და ჩვენს ორგანიზაციაში არავითარ გადახრას ადგილი არ ქონია. ნებაყოფლობითი ორგანიზაციებში როგორიცაა: ავიაქიმი, რემედასი და სხვა. კომკავშირის მნიშვნელოვანი პრ. გაერთიანებული. ჩვენს ორგანიზაციას აქვს კავშ. სხვადასხვა უჯრედებთან როგორიცაა: სახ. უნივერსიტეტი და მთავარი სახელოსნო. ჩვენმა ორგანიზაციამ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ჩვენ კავშირი დავიკავეთ მოძმე რესპუბლიკების მუშფაკის ახალგაზრდობასთან.

პოლიტგანათლების დარგში მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ჩამოყალიბებულია საამისო წრეები. წრეებს აქვს ერთი ნაკლი-დისციპლინის სისუსტე.

ორგანიზაცია იზრდება როგორც რიცხობრივად, ისე თვისობრივად. საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება უჯრედის კრებებზე წესრიგის დაცვას. ამ მხრივ საქმე საგრძნობლად მოიკოჭლებს.

შ. კვინტრაძე.

მუშაობა გამოცოცხლდა

(ცაიშის - კახათი, ზუგდ. მ.)

ს ცაიშის - კახათის თემში არსებობს კომუჯრედი, რომელიც ამჟამათ აერთიანებს 12—15 წევრ-კანდიდატებს. უჯრედის მუშაობა ბოლო ხანებამდე მოდუნებული იყო. წევრები არ იცნობდენ თავიანთ მოვალეობას, პარტიის წესდებას. კრებას იწვევდენ მაშინ, თუ ვინმე მოვიდოდა უჯრედის მუშაობის გასაცნობათ. სხვა შემთხვევებში სრული სიჩუმე სუფევდა. ეს მდგომარეობა ნათელს ყოფს იმას, რომ ხელმძღვანელობა სამპარტკომის მიერ სუსტი იყო.

მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ხსენებულ კომუჯრედზე მიმაგრებული იქნა მოსკოვის კომუნისტურ უნივერსიტეტის სტუდენტი ამხ. გ. გეთია. ეს ამხანაგი კარგ ხელმძღვანელობას უწევს უჯრედს მან მთავარი ყურადღება მიაქცია პარტიის წესდების გაცნობას, რისთვისაც შექმნა წრე. მეცადინეობა ხდება კვირაში ერთხელ. მოდუნებული მუშაობა გამოცოცხლდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს ჩვენმა სამაზრო პარტკომმა ის, რომ ასეთ უჯრედს ხელმძღვანელობა სჭირია.

ა.—ლი.

კომკავშირში

საგარეჯოს კომკავშირის მტკივნეული მხარეები.

საგარეჯოს ორგანიზაციის ერთ-ერთ უჯრედის მორიგ სხდომაზე იყო წამოყენებული საკითხი უჯრედის პასუხისმგებელ მდივნის არჩევის შესახებ. სხვათა შორის, თემის კომიტეტს ჰყოლია თავისი კანდიდატი. ამის შესახებ სიტყვას იღებს ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკი და მტკიცეთ იცავს თავის მიერ წამოყენებულ კანდიდატის გაყვანას უჯრედის მდივნათ. ეს ამხანაგი სხვა კანდიდატის დასახელების უფლებას არც კი აძლევდა უჯრედის წევრებს. ბოლოს საქმე იქამდინაც კი მივიდა, რომ მან ყვირილი და ჩხუბი ასტეხა, რადგან მთელი უჯრედის სურვილი იყო მდივნის დემოკრატიული წესით არჩევა. მაგრამ მან „მუქარის პოლიტიკით“ თავისი გაიტანა. ამის შემდეგ სხდომა უკმაყოფილოდ დაიხურა.

ასეთი მაგალითები სოფლად მრავალია, რაც ძირშივე უკლავს უჯრედს მოქმედების ინიციატივას.

გარდა ამისა, ამ უკანასკნელ ხანებში კავშირის მასებში გავრცელდა სხვადასხვა ავადმყოფობა, როგორიცაა: ლოთობა, ხულიგნობა, არანორმალური სქესობრივი ცხოვრება და სხვ. ამ შემთხვევაში ბრძოლა საკავშირო მოვალეობისადმი და კავშირის პრესტიჟის დამცემ მოვლენათა წინააღმდეგ ჩვენი მორიგი და გადაუდებელი ამოცანაა. აქ გამოსავალი წყარო კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში მდგომარეობს. ამ მიზნით საჭიროა როგორც კომკავშირელი, ისე უპარტიო ახალგაზრდობის მასიურათ ჩაბმა კულტსაგანმანათლებელო მუშაობაში.

აგრეთვე ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდობის ჯანმრთელობის საქმეს. საჭიროა ენერგიული ნაბიჯების გადადგმა ფიზკულტურის მუშაობის დარგში. ყველა კომკავშირელი აქტიურად უნდა ჩაებას სხვადასხვა ნებაყოფლობით საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში.

გ. ძ—ლი.

ისე როგორც ყველა თანამედროვე ქალაქებში. წელს ხარკოვში განზრახულია დიდი საამშენებლო მუშაობის ჩატარება. ყველაზე გრანდიოზული იქნება **სახელმწიფო მრეწველობის სახლი**, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა სახელმწიფო ტრესტები და სავაჭრო წარმოებები. უზარმაზარი შენობას, მაგალითად რკინა-ბეტონისაგან აგებულს, თავისი სიდიდით ჯერჯერობით ერთად ერთს მთელს საბჭოთა კავშირში ექნება რამდენიმე კორპუსი, ერთი მეორეზე მაღალი, ყველაზე მაღალ კორპუსს ექნება 14 სართული, ამასთან ამ სახლის ქვეშ გაივლის სამი ქუჩა. სახლი დაჯდება 6-7 მილ. მანეთი.

გარდა ამისა, საბინაო-საამშენებლო კოოპერატივები, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა წარმოების მუშა-მოსამსახურეებს, ააგებენ 55 ახალ სახლს. მთელ ამ მშენებლობაზე და საამშენებლო მასალის დამამზადებელ წარმოებებში იმუშავებს 27.000 მუშა.

საბინაო მშენებლობასთან ერთად ყველგან წარმოებს ახალ კომუნალურ წარმოებათა მშენებლობა. ამას წინად ქალაქ არტემოვსკში აგებულ იქნა ახალი წყალსადენი. იწყება წყალსადენების აგება სტალინისა, კრივოი როგსა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში. უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინაში წყალსადენი მხოლოდ 35 ქალაქში არსებობს და ისიც მთელ მოსახლეობას არ ჰყოფნის. რაც შეეხება კანალიზაციას, ის ჯერ-ჯერობით უკრაინის ოთხ ქალაქშია: ხარკოვში, კიევში, ოდესაში და დნეპრო-პეტროვსკში. მაშასადამე, ამ მხრივ უკრაინაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

აღმშენებლობის საკმაო დიდი გეგმაა დასახული უახლოესი ხუთი წლისათვის უკრაინის **სასოფლო მეურნეობაში**. ამ გეგმით განზრახულია, რომ ხუთი წლის შემდეგ, ე. ი. 1931 წლისათვის სასოფლო მეურნეობის პროდუქციის რაოდენობა მნიშვნელოვნად იქნას გადიდებული; ასე, მაგალითად, ხორბლეულის კულტურების პროდუქცია 21 პროცენტით უნდა იქნას გადიდებული 1926 წელთან შედარებით, ტეხნიკური კულტურების—43 პროცენტით, სპეციალური კულტურების—33 პროცენტით და მესაქონლეობის პროდუქცია—3 პროცენტით.

ამ გეგმის შესრულება მოითხოვს მნიშვნელოვანი თანხების დაბანდებას სასოფლო მეურნეობაში. პირველ რიგში დიდ ხარჯებს მოითხოვს **მიწადმოწყობა**. გეგმის მიხედვით, ხუთი წლის შემდეგ მოწყობილ უნდა იქნას 22 მილ. ჰექტარი დასამუშავებელი მიწა, რისთვისაც საჭირო იქნება დაახლოვებით 37 მილ. მან. მიწადმოწყობასთან დაკავშირებით გეგმა ითვალისწინებს 250.000 კომლის (გლეხთა) დასახლებას, რისთვისაც საჭირო იქნება 55 მილიონამდე მან. გარდა ამისა, გადასახლებისათვის საჭირო იქნება 19 მილიონამდე მან., მელიორაციაზე 16 მილ. მანეთამდე.

შემდეგ, მიწადმოწყობის განვითარებისათვის განზრახულია დაიხარჯოს 167.000.000 მან. შრომის ორგანიზაციისათვის სასოფლო მეურნეობაში—112.000.000 მან., სპეციალური კულტურების განვითარებისთვის—20.000.000 მან., მესაქონლეობისათვის—52.000.000 მან., საბეითლო საქმისათვის—17.000.000 მან., აგრონომიული ქსელის გადიდებისათვის—1.500.000 მან. და სხვ. ამგვარად, სასოფლო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს უდიდეს ხარჯებს, რომელიც უეჭველია დიდ შედეგებს მოგვცემს.

როცა ვლაპარაკობთ უკრაინის სასოფლო მეურნეობაზე, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ლატაკ **გლეხთა კომიტეტები**. ეს კომიტეტები წარმოიშვენ 1920 წელში, ე. ი. სწორედ გამწვავებული სამოქალაქო ომის დროს. ცნობები ამ კომიტეტების წევრთა რიცხვის შესახებ გვაქვს მხოლოდ 1923 წლიდან. ასე, ამ წლის ივლისში უმიწაწყლო გლეხთა კომიტეტებში ირიცხებოდა 516.000 წევრი; 1924 წ. მაისში ეს რიცხვი გაიზარდა 671.918-მდე. 1925 წლის 1 იანვრისათვის ეს რიცხვი უდრიდა 946.648, ხოლო იმავე წლის პირველ სექტემბრისათვის მიაღწია 1.297.748-მდე. ეს იყო უმაღლესი წერტილი. ამის შემდეგ ლატაკ გლეხთა კომიტეტების წევრთა რაოდენობა უცებ დაეცა, ასე რომ 1926 წლის 1 მაისისათვის 10.088 კომიტეტში ირიცხებოდა სულ მხოლოდ 585.360 წევრი, ანუ 46 პროცენტი იმისა, რაც იყო 1925 წლის 1 სექტემბრისათვის. უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვხედავთ, რომ ლატაკ გლეხთა კომიტეტების წევრთა რიცხვი უცებ გაიზარდა 703.308-მდე.

ლატაკ გლეხთა კომიტეტების წევრთა რაოდენობის შემცირების მიზეზი 1925 წლის დასასრულში იყო მათი რეორგანიზაცია. საქმე იმაშია, რომ პირველად ლატაკ გლეხთა კომიტეტები იყვნენ უღარიბესი გლეხობის ერთგვარი მებრძოლი პოლიტიკური ორგანიზაცია; მაგრამ თუ სამოქალაქო ომის პერიოდში ამ კომიტეტების ასეთ როლს ქონდა გამართლება, სამაგიეროდ სამოქალაქო ომის გათავების შემდეგ სრულიად მიზანშეუწონელი იქნებოდა ამ როლის მათთვის დატოვება. ამიტომ, პარტიის მე-13 ყრილობის დადგენილების თანახმად, ლატაკ გლეხთა კომიტეტები პოლიტიკური ხასიათის ორგანიზაციიდან უნდა გადაქცეულიყვნენ სამეურნეო ტიპის ორგანიზაციად. უკრაინის მთავრობის დეკრეტის თანხმად, რომელიც 1925 წლის დასასრულში გამოიცა, ლატაკ გლეხთა კომიტეტები შემდეგ საფუძველზე მოეწყო: 1) ყოველმხრივი ხელის შეწყობა ღარიბ გლეხობის მეურნეობის განვითარებისათვის, მათი კოლექტივებში და კოოპერატივებში ჩაბმის საშუალებით, სასოფლო-სამეურნეო, შინამრეწველობის და სარეწაო არტელების შექმნა და სხ. და 2) სოფლის ღარიბი ფენების ჩაბმა საბჭ. აღმშენებ., მონაწილეობა სასოფლო საბჭოების არჩევნებში, ურთიერთდამხმარე კომიტეტებში, კოოპერატივებში და სხ. ამ დებულებათა მიხედვით გამომუშავებულ იქნა წესდება ლატაკ გლეხთა კომიტეტებისათვის—სახელდობრ ვის შეუძლია იყოს კომიტეტის წევრი და ვის არა. ამასთან ერთად, ამ კომიტეტების მუშაობა უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ შეიქნას კავშირი ღარიბ და საშუალო გლეხობას შორის კულაკების წინააღმდეგ. ინტერესს არ იქნება მოკლებული, რომ მოვიყვანოთ ცნობები ლატაკ გლეხთა კომიტეტების პარტიული შემადგენლობის შესახებ. ასე, მაგ., წევრთა საერთო რიცხვიდან (708.308) პარტიულებია: უკრაინის კომპარტიის (ბ) წევრები—7.012, ე. ი. 1.0 პროც.; კანდიდატები—10.282; 1.6 პროც., ახალგ. კომკავშირის წევრნი 38.759 5,4 პროც.; უპარტიონი კი 644.305 92.0 პროც.

მაშასადამე, ლატაკ გლეხთა კომიტეტების უდიდესი უმრავლესობა უპარტიოებისაგან შესდგება, მაგრამ ამ ორგანიზაციაში ჩვენ მაინც გვაქვს საგრძნობი ლტოლვა კომპარტიისაკენ.

შემდეგ ლატაკი გლეხები აქტიურ მონაწილეობას იღებენ კოოპერაციაში და სხვა ორგანიზაციებში. ასე, მაგალითად; მათი (ლატაკ გლეხთა კომიტეტების წევრთა) მონაწილეობა გამოიხატება: ურთიერთდამხმარე კომიტეტებში 249.432, სას.-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობებში--163.427, სამომხმარებლო კოოპერატივებში--226.508; რემედასში--71.644; ავიაქიმში—28.;800.

1926 წლის 1 იანვრისათვის ლატაკ გლეხთა კომიტეტების წევრთა 45.9 პროცენტი იყო შეკავშირებული კოოპერაციაში, ხოლო იმავე წლის 1 სექტემბრისათვის 21 ოლქში კოოპერაციაში შეკავშირებულ იქნა ლატაკ გლეხთა საერთო რაოდენობის 61.4 პროც.

სხვათა შორის, საინტერესოა მოვიყვანოთ ცნობები **სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის** ქსელის შესახებ უკრაინაში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დაბალი საფეხურის ქსელი უკრაინაში:

	კოოპერატივების რიცხვი			ირიცხებოდა წევრ. ათასობ.		
	1924 წ.	1925 წ.	1926 წ.	1924 წ.	1925 წ.	1926 წ.
უნივერსალური	4.697	4.761	4.412	639	1.158	1.336
სპეციალური	401	2.212	5.766	24	107	202
სასოფლო კოლექტივები:						
კომუნები	329	362	302	11	12	11
არტელები	4.483	4.576	2.686	87	89	51
მიწის საზოგ. დამუშ. საზოგადოებანი	127	362	1.556	3,5	10	24
სულ	10.037	12.273	14.722	764,5	1.376	1.624

მე დაწვრილებით არ შეუდგები ზემოდ მოყვანილი ცნობების განხილვას, ვიტყვი მხოლოდ შემდეგს: ყველა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების საერთო რიცხვი, ისე როგორც მათი წევრების საერთო რიცხვი, თანდათან იზრდება; ამასთან, კოოპერატივების რიცხვის მხრივ ეს ზრდა უმთავრესად ხდება გლეხთა სპეციალური გაერთიანებების ხარჯზე.

ზრდის იმავე სურათს ვხედავთ სამომხმარებლო კოოპერაციაშიაც, სახელდობრ:

სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი დაბალი საფეხურის ქსელი უკრაინაში უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ასეთია:

წლები	კოოპ. რიც.	წევ. რიც. ათას.
1924	6.146	1.492
1925	6.683	1.775
1926	7.961	2.384

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ დაბალი საფეხურის სამომხმარებლო კოოპერაცია განუწყვეტლივ იზრდება, იზრდება როგორც კოოპერატივების, ისე მათი წევრების რიცხვი; ასე; მაგალითად, უკანასკნელი 2—3 წლის განმავლობაში კოოპერატივების რიცხვი გაიზარდა 1.815-ით, ანუ 30 პროცენტით ;ხოლო კოოპერატივების წევრთა რიცხვი გაიზარდა 892 ათასით, ე. ი. თითქმის 60 პროცენ. ცხადია, რომ ამ დარგში ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო, ვინაიდან მიღწეული შედეგები ვერ დაგვაკმაყოფილებს, თუმცა ეს მიღწევები უდიდესია.

(დასასრული იქნება)

ფ. მახარაძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მოძრავი კინო

თელავი, 24 მაისი. მიწა-ტყის კავშირმა მოჯამაგირეებისათვის მოაწყო მოძრავი კინო. სურათების პირველი ჩვენება მოხდა სოფ. ყვარელში, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო, მათ შორის 150 მწყემსი. სურათმა დიდი ინტერესი გამოიწვია (ადს).

კურსები მეაბრეშუმეთათვის

თელავი, 24 მაისი. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ინსტრუქტორებმა სოფ. ენისელში და ფშაველში მოაწყო პრაქტიკული კურსები მეაბრეშუმეთათვის. ქალთა განყოფილების უჯრედები ადგილობრივ აქტიურ მონაწილეობას იღებენ (ადს).

სას.-სამ. ამხანაგობათა გამოკვლევა

გორი, 24 მაისი. სამაზრო კომიტეტმა გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელიც დეტალურად იკვლევს და შეისწავლის სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს. კომისია მუშაობს სპეციალური კითხვარის მიხედვით. გამოკვლევა დამთავრდება 25 მაისისათვის (ადს).

მეხი

გორი, 24 მაისი. 17 მაისს სოფ. დირბში და წვერში ჩამოვარდა მეხი. მეხმა დირბში დაანგრია ერთი გლეხის სახლი, ხოლო წვერში მოჰკლა ორი ხარი (ადს).

პირველი საექიმო დახმარება

გორი, 24 მაისი. წითელი ჯვრის სამაზრო კომიტეტი ხსნის კურსებს პირველი საექიმო დახმარების აღმოსაჩენად, რისთვისაც აღრიცხვაზეა აყვანილი მუშები და მოსამსახურენი 17-დან 45 წლამდე.

ასეთივე კურსები გაიხსნება მთელ რიგ ქალაქებში და გორის მაზრის სოფლებში (ადს).

მევენახეობის საცდელი სადგური

გორი, 24 მაისი. ტირიფონის ველზე შეუდგენ მევენახეობის საცდელ - სამეცნიერო სადგურის მოწყობას. ამ მიზნით გამოყოფილია 300 დეს. მიწა (ადს).

ბარიტი

ქუთაისი, 24 მაისი. სამთო-ქიმიურმა ტრესტმა ამოიღო და გადაამუშავა დეკემბერში, იანვარში და თებერვალში თვეში 10.000 ფ. ბარიტი, მარტსა და აპრილში თვეში 5000 ფ., ხოლო მაისში ბარიტის ამოღება და გადამუშავება სჭარბობს დღეში 1000 ფუთს. ამჟამად მუშაობა სწარმოებს 6 მაღაროში, მემაღაროეთა რიცხვი უდრის 60. კერძო პირთა მიერ ბარიტის მტაცებლური ექსპლოატაციის გამო, გამოტანილია დადგენილება, რომლითაც სასტიკად არის აკრძალული ბარიტის ექსპლოატაცია. რაც შეეხება გლეხების მიერ დამზადებულ 25.000 ფ. ბარიტს, სამთო ქიმიურმა ტრესტმა დაადგინა შეისყიდოს ის გლეხებისაგან (ადს).

აწყურის ელექტროფიკაცია

ახალციხე, 24 მაისი. მუშაობა აწყურის ელექტრო - სადგურის მოსაწყობად წარმატებით მიმდინარეობს. შენობის აგება მალე დამთავრდება. თბილისიდან მოელიან დინამოს და ელექტრონის მოწყობილობებს. გლეხები მთელ დღეებს ატარებენ სადგურის ირგვლივ, ეხმარებიან მუშაობაში და მოუთმენლად მოელიან ელექტრონის სინათლეს სოფლებში (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

არქეოლოგიური გათხრა

ცხინვალი, 24 მაისი. მხარეთ მცოდნეობის სამხრეთ - ოსეთის საზოგადოებას მიმდინარე წელში განზრახვა აქვს, რომ მთიან ოსეთში ფართო მასშტაბით მოახდინოს არქეოლოგიური გათხრა. ამ მიზნით მოწვეულია მოსკოვის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი პჩელინა (ადს).

ამორჩევითი გამოკვლევა

ცხინვალი, 24 მაისი. ოსეთის სტატისტიკური ორგანოები 1-ლ ივლისიდან დაიწყებენ სამხრეთ-ოსეთის საგლეხო მეურნეობათა საგაზაფხულო ამორჩევით გამოკვლევას. გამოკვლეული იქნება სოფლის ყოველი მეათე მეურნეობა (ადს).

წერილები

ექიმბაშების „მუშაობა“

(შორაპნის მაზრა)

ჩვენ მაზრაში ექიმბაშები ყოველი სოფელში სოკოებივით არიან გამრავლებულნი. ზოგ მათგანს სამაზრო მთავრობამ ხელწერილიც ჩამოართვა, მაგრამ, რა გამოვიდა, ხელწერილი დაიწერა, საქმეში ჩაეკერა; ხოლო ექიმბაშები თავისუფლად მუშაობენ და სწამლავენ ჩამორჩენილ ავადმყოფ გლეხებს. არის შემთხვევა, ექიმბაშის „წამალს“ ექიმის გამოწერილ წამლებში ურევენ და ისე აძლევენ ავადმყოფს, ასეთმა ავადმყოფმა თუ გადიტანა ავადმყოფობა ექიმბაშს მიაწერენ მის მორჩენას და თუ გამოემშვიდობა სიცოცხლეს და ექიმს დაუწყებენ ლანძღვა-გინებას.

მაგალითად შორაპნის მაზრის კაცხის თემში იმყოფება მღვდელი საყვარელიძე, რომელიც შორის დაყავთ საექიმოთ, ეს მღვდელი წაიყვანეს ამას წინედ თავისს თემში სიმონ და ტერენტი მაგრაქველიძეებთან, კარგა რიგიანად გაბრუშდა ღვინით, აიღო გასამრჯელო და გზას გაუდგა ბარბაცით, იქვე ცინაძეს ცოლი ყავდა ავად, რომელმაც მოიწვია „საექიმოდ“ მღვდელი, დაუსველა ტილო, რაღაც მღვრია წყალში და დააფარა ფერდზედ, აქაც აიღო ქანქარი და გზას გაუდგა. კაცხის თემში კიდევ არის ექიმბაში მღვდელი კაპანაძე, ამ „ღვთის მოციქულს, ეშმაკის მოციქულობაც“ შეძლებია ჰურჭელში რაღაც მწვანე წყალი აქვს ჩასხმული, შიგ ჩაგდებულია, რაღაც მახინჯი სახე, მღვდელი ექიმობს „ეშმაკეულობით დაუძლურებულ“ ავადმყოფებს; მღვდელის სიტყვით ის რაღაცა არის ჩაგდებ. წყალში ვითომ „ეშმაკია“. ჯერ ილოცავს, შემდეგ სამჯერ დაჰკრავს ხელს და ჩააყვინთიებს წყალში „ეშმაკს“ მერმეთ ამოიღებს წყალს და ყიდის. ასე რომ ამ სულიერ მამას სრული საშუალება აქვს ერთ და იმავე დროს ღმერთსაც ევედროს და ეშმაკსაც ოღონდ ქანქარი აიღოს.

პლ. ცინაძე.

ხიდს ვაგებთ

(ბაღდათი, ქუთ. მ.).

ქუთაის-აბასთუმნის გზატკეცილზე მოძრაობას ძლიერ აფერხებს მდ. ყვირილაზე უხიდობა. 30 წლის განმავლობაში აქ ორჯერ იყო ხიდი გაკეთებული და ორივე გაანადგურა აზვირთებულმა მდინარემ. კარგა ხანია ბაღდათის მხარის მოწინავე გლეხობა სცდილობს აქ ხიდის დაწყებას. მაგრამ ადგილობრივი ძალებით ხიდი, რომელიც მილიონ ნახევარზე მეტი ჯდება, ვერ გაკეთდება. იაფი და ხრასიმედო ხიდის აგებას კი სჯობია, რომ სულ არ იყვეს. მიუხედავათ იმისა, რომ ბაღდათის მხარეს იმერეთის მეტყევეობაში პირველი ადგილი უჭირავს და ამ ხიდით უნდა ისარგებლოს აგრეთვე ამ კუთხეში მდებარე სამმა სახალხო მამულმა, ცენტრის დაუხმარებლათ ეს საქმე ვერ მოგვარდება. ბაღდათის მხარე მდიდარია ხე-ტყით. მინერალური წყლებით და საგარაკო ადგილებით, ყველა ამით სარგებლობას აბრკოლებს უმთავრესად ხსენებული ხიდის უქონლობა. ეს მიიღო მხედველობაში ცენტრალურმა მთავრობამ, რომლისგანაც ინიციატორებმა უკვე მიიღეს დაპირება. რომ ხიდის ხარჯების ორი მესამედი შეტანილი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტში მომავალი წლიდან. ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებს ათამდე თემი.

ა. თვარაძე.

წერილებიდან

მისაბაძი მაგალითი. (სოფ. ნოღო-ხაში, სენაკის მაზ.). 3 აპრილს სოფ. ნოღას და ხაშის გლეხებმა საერთო კრებაზე დაადგინეს არ იდღესასწაულონ ამიერიდან საეკლესიო დღესასწაული ამაღლება. ამ სოფლის გლეხები მოუწოდებენ დანარჩენ სოფლებს მიბაძონ მათ მაგალითს.

ა. ლ—ვა

რისი ბრალია (ს. ხნო, დუშეთის მაზ.). ყველა სოფელმა გაინთავისუფლა თავი სარწმუნოების კლანჭებიდან, ყველას ეღირსა გამოფხიზლება. ჩვენ სოფელში კი სარწმუნოება ძველებურად არის გამეფებული. კომკავშირის მუშაობამ ჯერ დიდი ნაყოფი ვერ გამოიღო. საჭიროა ამ სოფელში მეტი ყურადღება მიექცეს სწავლა-განათლებას.

შვილდ-ისარი.

საჭიროა ერთობა. (ყაზბეგი, დუშეთის მაზ.). ოთხწლედი შრომის სკოლის შემოღობვა განვიზრახეთ, საჭირო იყო ქვა. გამოწვეული იყო გლეხობა, თითო კომლს ორ დღეს უნდა ემუშავნა, მაგრამ ზოგიერთებმა არ გამოვიდნენ სამუშაოთ. საქმე შეჩერდა, მთელი სოფელი ერთად უნდა გამოვიდეს და დაწყებული საქმე დაამთავროს. საჭიროა ერთობა.

ვ. შ.

ფ. მახარაძის სახელობის სახ. სახლი. (შუასურების თემში, ოზურგეთის მაზრა). ამ თემში აგეს სახალხო სახლი, რომელიც თავისი სიდიდით და სილამაზით პირველია სურების რაიონში, ადგილობრივი გლეხების დადგენილებით ამ სახალხო სახლს უწოდეს ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის სახალხო სახლი.

ი. ტ.

წელს ყველაფერი რიგზეა. (სოფ. ბაგები, თბილისის მაზ.). შარშან ამ სოფელში სამეურნეო აღწერის დროს ბევრ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი: მდიდარი გლეხები მალავდენ ქონებას და სწორად არ ეუბნებოდენ აღმწერებს ყველაფერს თავის ქონების შესახებ. წელს აღმწერები რომ მოვიდენ, ჩვენ ახალგაზრდა გლეხების თაოსნობით, მთელი სოფელი შეიკრიბა. და ჩვენი დასწრებით ყველა გლეხი იქნა გამოკითხული, თუ რა ქონება ჰქონდა. ვერავინ ვერ გაბედა სიმართლის დამალვა. ეს აღწერა სამართლიანად ჩატარდა.

ვ. ელიზბარაშვილი.

ეს საქმე მალე მოეწყობა. (ს. კაკაბეთი, სიღნაღის მაზ.). გასული წლის სექტემბრიდან ამ სოფელში სამი მიწისმზომელი მუშაობს. გლეხობა გახარებულია; გვირევიან ისეთი კულაკები, რომლებსაც წინად ქრთამებით დაუკავებიათ საუკეთესო მიწები. ახლა აზომვის დროს ეს ყველაფერი ირკვევა და ძველი შეცდომები გამოსწორდება. ჩვენს თემში შემოდის სოფ. ჩილერი. პირველად აქაც ზომავდენ მიწებს, მაგრამ გაზაფხულიდან მიწის-მზომელები აღარ მოსულან. ხალხი მოითხოვს კაკაბეთის შემდეგ ჩილერში გადმოვიდენ მიწის-მზომელები.

ქურდობა. ამ ბოლო დროს კაკაბეთში გახშირდა ჩაყრილი ვაზების მოპარვა. გლეხები ტყავს იძრობენ, ყიდულობენ ნამყენ ვაზს და ქურდები იმასაც აცლიან ხელიდან. საჭიროა სასტიკი ზომები.

ხ. ქიჩიყურაშე.

აბრეშუმის კამპანია

თესლის დარიგება

ეკონომიურმა საბჭომ მოისმინა „საქართველოს აბრეშუმი“-ს მმართველობის მოხსენება მიმდინარე 1927 წელში აბრეშუმის თესლის დარიგების კამპანიის ჩატარებისა და ამავ წლის მოსავლის აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმის შესახებ. ტრესტს 1927 წ. დამზადებული აქვს 114.500 კოლოფი თესლი. აქედან: 46.000 კოლოფი დამზადებულია „საქართველოს აბრეშუმი“-ს აპარატის მიერ 7.000 კ. მიწსახკომის მიერ, 6.000 კ. შემოზიდულია საზღვარგარეთიდან. შემოზიდული თესლი ყვითელია, აქ დამზადებული კი თეთრი—ბაღდადის.

საქართველოში დარიგებულია 101.000 კოლოფი, აფხაზეთში—5.500 კ., აჭარისტანში კი 800. სულ 108.500 კოლოფი,—უმთავრესად საინდუსტრიო თესლი (თეთრი ბაღდადის). დაურიგებელი დარჩა 5;500 კოლოფი—თეთრი ბაღდადის თესლი. 1926 წ. დარიგებული იყო, გარდა აფხაზეთისა 90.000 კოლოფი, მარტო აღმ. საქართველოში დარიგდა 8.800 კ. მიმდინარე წელს კი დარიგდა—4.500 კ. თესლის დარიგება სწარმოებდა „სოფლის კავშირი“-ს მომხმარებელი კოოპერაციისა და „საქართველოს აბრეშუმი“-ს მეშვეობით.

მოსავალი

1926 წ. საქართველოში შეგროვილი იყო 132.000 ფ. ნედლი პარკი, რომლის გადამუშავების შემდეგ გამოვიდა 41.000 ფ. მშრალი პარკი, აქედან ჩვენმა მრეწველობამ მოიხმარა 8.000 ფ. დანარჩენი კი გაიყიდა.

მიმდინარე წლის მოსავალი ნავარაუდევია 140.000 ფ. რომლისგანაც გადამუშ. შემდეგ გამოვა 4.4000 ფ. მშრალი პარკი, აქედან ჩვენი მრეწველობისათვის საჭირო იქნება 27.000 ფ., თესლის დამზადებას დასჭირდება 1.000 ფ.; სარეალიზაციოთ დარჩება 16.000 ფ.

ტონაჟი

1926 წელს „აბრეშუმს“ ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო 100.000 ფ. ნედლი პარკი, რომლისთვისაც მოეპოებოდა მას შესაფერი ტონაჟი, მოსავალმა კი გადააჭარბა (132.000 ფ.) ტონაჟის უქონლობის გამო მოსავლის ნაწილი დაზიანდა. ზარალი დაახლოვებით უდრის 350.000 მანეთს. ასეთ გარემოების თავიდან ასაცილებლად „საქართველოს აბრეშუმი“ იძულებული იყო გაედიდებია მიმდინარე წელში ტონაჟი 50.000 ფ. რაოდენობით,—ახალი ფარდულების საწყობების და პარკის მექანიკური საშრალებლების მოწყობით, 1926 წ. მოქმედებდა 3 პარკის მექანიკური საშრალებელი მიმდინარე წელში კი მოეწყო კიდევ 8; ამრიგად 1927 წ. სეზონში იმუშავებს 11 პარკის მექანიკური საშრალებელი.

ფინანსიური მხარე

ა. კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ დაწესებულია საშუალოდ ფუთზე 24 მან. ფუთი ნედლი პარკის მშრალად გადამუშავება დაჯდება ხუთი მან., ამრიგად ფუთი ნედლი პარკი დაჯდება 29 მან. როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, მოსავალი ნავარაუდევია 140.000 ფ. მაშასადამე მთელი მოსავლის ღირებულება გამოიხატება 29×140.000=4.060.000 მან. აბრეშუმის ტრესტის განკარგულებაშია 3.150.000 მან. მას კი ესაჭიროება 4.000.000-მდე. ამ საკითხის მოგვარების მიზნით ეკონომიურმა საბჭომ დაავალა ტრესტს შეუთანხმდეს ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობას 1.000.000 მან. კრედიტის მიღების პირობებისა და წესის შესახებ.

გეოგრაფიულ საზოგადოებაში

დუგლას ფრეშფილდის არჩევა საზ-გის საპატიო წევრათ

გუშინ საღამოს, საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში შესდგა საზოგადოების წევრთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე პროფ. ალ. ჯავახიშვილი.

პროფ. ჯავახიშვილმა გააკეთა მოკლე მოხსენება ცნობილი ინგლისელი მკვლევარის და განთქმული ტურისტი დუგლას ფრეშფილდის მოღვაწეობის შესახებ.

1868 წელს, 23 წლის ახალგაზრდა ტურისტი ფრეშფილდი ჩამოვიდა საქართველოში კავკასიონის მყინვარებზე ასასვლელათ. მან პირველათ მიაღწია იალბუზისა და ყაზბეგის მწვერვალებს და შემდეგ წლებში კავკასიონის სხვა მწვერვალსაც. სულ დუგლას ფრეშფილდი სამჯერ ჩამოსულა კავკასიაში და 11-ჯერ გადაულახავს კავკასიონის ქედი. გარდა ამისა, მას შემოვლილი და შესწავლილი აქვს სპარსეთის, პალესტინის და ინდოეთის მთები და ველები.

კავკასიონის ქედისა და საქართველოს მწვერვალების შესახებ დუგლას ფრეშფილდმა გამოაქვეყნა თავისი დიდი და კარგათ დასურათებული შრომა, რომელიც დაიბეჭდა ორ ტომათ ინგლისურ ენაზე.

დუგლას ფრეშფილდი ამჟამად 84 წლისაა, სცხოვრობს ლონდონის მახლობლათ ერთ სოფელში.

საქ. გეოგრაფიულმა საზოგადოებამ, ამას წინათ მიიღო მისი წერილი, რომელშიაც იგი აღტაცებას გამოსთქვამს საქართველოში მთასვლა-მგზავრობის დარგში მიღებულ შედეგების გამო.

მოხსენების დასრულების შემდეგ კრებაზე შემოტანილ იქნა წინადადება დ. ფრეშფილდის საქ. გეოგრაფ. საზოგადოების საპატიო წევრათ არჩევის შესახებ. საზოგადო კრება ტაშით შეხვდა წინადადებას და დაავალა პრეზიდიუმს შეადგინოს ფრეშფილდისთვის გასაგზავნი წერილი, რომლითაც მას შეატყობინებენ საზოგადოების საპატიო წევრათ არჩევას.

შემდეგ ნაჩვენები იქნა კავკასიონის მყინვარების სურათები,

დუგლას ვილიამ ფრეშფილდი
ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, კავკასიის მკვლევარი, არჩეული საქ. გეოგრაფიული საზ-ბის საპატიო წევრათ

კრებაზე მოკლე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე პროფ. ალ. თვალჭრელიძე, რომელმაც დაახასიათა კავკასიონის მთების და მყინვარების გეოლოგიური მდგომარეობა.

მოსმენილ იქნა აგრეთვე პროფ. ალ. თვალჭრელიძის მოხსენება მინეროლოგთა პირველი ყრილობის შესახებ, რომელიც მოწვეული იყო ლენინგრადში.

ჯანსახკომების საკავშირო თათბირის შედეგები

(საუბარი ამხ. გ. კუჭაიძესთან)

ამ დღეებში მოსკოვიდან დაბრუნდა ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. გ. კუჭაიძე, რომელიც დაესწრო ჯანმრთელობის სახ. კომისართა საკავშირო თათბირს. თათბირის მუშაობის შედეგების შესახებ ამხ. კუჭაიძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— თათბირზე დასმულ საკითხთა შორის პირველი ადგილი ჰქონდა დათმობილი შემდეგ საკითხებს: სანიტარულ-ეპიდემიური ღონისძიებანი და საერთაშორისო საკონვენციო საკითხები. საერთაშორისო სანიტარულ კონვენციაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გამო, სავალდებულოთ ხდება შემდეგ ღონისძიებათა მიღება: ა) ფართო ინფორმაციის გამოქვეყნება გადამდებ სნეულებათა მოძრაობის შესახებ, ბ) ბრძოლა ამ სნეულებებთან, გ) სპეციალური ხასიათის ბრძოლის წარმოება ხოლერასთან, ჭირთან და ყვავილთან და დ) სათანადო პირობების დაცვა საზღვაო ურთიერთობის დროს სხვა ქვეყნებთან.

თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკებმა სისტემატიური ცნობები მიაწოდონ ერთმანეთს ეპიდემიების მოძრაობის შესახებ. ეს საკითხები ყველა რესპუბლიკებისათვის მოგვარებულ უნდა იქნეს საკანონმდებლო წესით. საზღვრების სანიტარული დაცვა მოწყობილ უნდა იქნეს ერთი წესით ყველა რესპუბლიკებისათვის, საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნილებების თანახმად. საზღვაო სანაპიროების სანიტარული დაცვის მიზნით, თათბირმა სავალდებულოთ აღიარა 1912 წ. და 1926 წლის საერთაშორისო სანიტარული კონვენციების მოთხოვნილებათა შესრულება.

საკურორტო მშენებლობის შესახებ დადგენილ იქნა რომ მთელი საკურორტო-სასანატორიო საქმე გადაეცეს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს. რ. ს. ფ. ს. რ. საგეგმო კომისიის დადგენილება, საკურორტო-სასანატორო საქმის, და დასასვენებელ სახლების ჯან. სახ. კომისარიატის ორგანოების განკარგულებაში გადაცემის შესახებ, თათბირის გადაწყვეტილებით უნდა გავრცელდეს დანარჩენ რესპუბლიკებზედაც.

რესპუბლიკანური მნიშვნელობის კურორტები უნდა გადავიდეს ჯანსახკომისარიატის უშუალო უწყებაში, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები დარჩებიან ჯანმრთელობის განყოფილებათა გამგებლობაში.

სამკურნალო დახმარება, თათბირის დადგენილებების თანახმად, დაზღვეულებს უნდა აღმოეჩინოთ პირველ რიგში. გლეხები გათანაბრებულ არიან დაზღვეულებთან უფლებებში საუბნო და სამაზრო ქალაქების საავადმყოფოებში მკურნალობის დროს.

გარდა ამისა, თათბირმა საჭიროდ აღიარა გატარდეს მთელ საბჭოთა კავშირში მედპერსონალის მომზადების უნიფიკაცია. მომავალი შემოდგომისათვის განზრახულია მოწვეულ იქნას ჯანსახკომების, განათ. სახ. კომისარების, მედსანშრომის მუშაკთა და ყველა სამკურნ. სასწავლებლების წარმომადგენელთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელზედაც გამომუშავებულ იქნება მედპერსონალის მომზადების ერთი მთლიანი სისტემა.

საფერშლო პუნქტების შესახებ თათბირმა მიიღო დადგენილება, რომ ისინი თანდათანობით გადაკეთდეს საექიმო პუნქტებათ, ხოლო თვით ფერშლებს უნდა მიეცეთ საშუალება სწავლის გასაგრძელებლათ (კურსებზე მივლინება, სტიპენდიებით უზრუნველყოფა და სხვა).

თათბირის დანარჩენ დადგენილებათა შორის აღსანიშნავია შემდეგი: გამოცემულ უნდა იქნეს კანონი ბინებში სანიტარული მოთხოვნილებების დაცვის შესახებ, საბინაო აღმშენებლობაში სანიტარული ორგანოების ზედამხედველობის შესახებ და სხვა.

საბჭოთა კავშირის საზღვრების სანიტარული დაცვის დებულების თანახმად რ. ს. ფ. ს. რ. ჯანსახკომთან ეწყობა უცხოეთის სანიტარული ინფორმაციის საკავშირო ბიურო, რომელსაც ევალება: საბჭოთა კავშირის სანიტარული მდგომარეობის შესახებ ცნობების შეკრება, დამუშავება და გამოქვეყნება; ხოლერის, ჭირის და სხვა ეპიდემიების გაჩენისთანავე საჩქარო ცნობის მიწოდება ყველა მოკავშირე რესპუბლიკების ჯანსახკომებისათვის და უცხო ქვეყნების მთავრობებისათვის და სხვა.

ბიუროს მუშაობას უშუალო ხელმძღვანელობას უწევს ჯანსახკომების საკავშირო თათბირი, რომელიც იკრიბება ორჯერ წელიწადში.

სამეურნეო მოწყობილობათა და მედიკამენტების იმპორტის საკითხების მოსაწესრიგებლათ თათბირმა მიზანშეწონილად სცნო, რომ სათანადო კონტინგენტების შემოსაზიდი ლიცენზიები გადაეცეს მოკავშირე რესპუბლიკების ჯანსახკომებს.

თათბირი დაიხურა 14 მაისს, 4 დღის მუშაობის შემდეგ.

ტყის დღე

კრებული ტყის დღეზე

მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ გამოსცა კრებული „ტყის დღე“, რომელშიაც მოთავსებულია მიხა ცხაკაიას, ბ. გეგეჭკორის, ს. თოდრიას, მ. ძამანაშვილის; ქ. ხომერიკის; ტალახაძის და სხ. წერილები. კრებულში აგრეთვე მოთავსებულია სპეციალისტების წერილები: პროფ. ქურდიანის, სატყეო განყოფილების გამგის ს. ბაქრაძის, ნ. ფირცხალაიშვილის, ერისთავის და სხ.

კრებულში წერილების გარდა მოთავსებულია ა. შანშიაშვილის, ტ. ტაბიძის; ვ. გაფრინდაშვილის; შიო მღვიმელის და სხ. ლექსები.

ამ დღეებში სატყეო განყოფილებამ აგრეთვე გამოუშვა პროფ. ს. ქურდიანის ბროშურა: „ტყის მოვლა და გაშენება“.

ტყის მოწყობა

მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატმა 23 მაისს ოზურგეთის მაზრაში სურების ტყის აგარაკის და დანარჩენ სატყეოების მოსაწყობათ მიავლინა სპეციალისტ ტაქსატორების სამი ჯგუფი, ხოლო ერთი ჯგუფი გაგზავნა სენაკის სატყეო მოსაწყობად, ტაქსატორთა ჯგუფებში მიწვეულნი არიან საპრაქტიკოდ სახ. უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტის სტუდენტები.

ა.-კ. მეაბრეშუმეობის

რაიონების გამოკვლევა

თბილისში ჩამოვიდა შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისია, რომელიც გამოიკვლევს ა.-კ. მეაბრეშუმეობის რაიონებს. კომისიაში შედის პროფ. ვასილიევი, ეკონომისტი პრედტეჩენსკი, გეოლოგი სავარენსკი, ნოჟინი და სხ.

კომისიის ჩამოსვლის მიზანია, შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ შემუშავებული სამუშაო გეგმის შეთანხმება ა.-კ. სახ. საგეგმო კომისიასა და ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან.

ამიერ-კავკასიის რუკა

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ ა.-კ. და მასში შემავალ ცალკე რესპუბლიკების დოკუმენტალური რუკების შესადგენად საჭირო ხარჯები გაღებული უნდა იქნეს საერთო - ფედერატიულ თანხებიდან. ამიტომ მან წინადადება მისცა აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ერთი თვის განმავლობაში წარმოადგინონ ა.-კ. ცაკში დაწვრილებითი დასაბუთებული ხარჯთაღრიცხვა აღნიშნული რუკების შესადგენად ამისათვის საჭირო ხარჯები შეტანილი უნდა იქნეს 1927—28 წლის ბიუჯეტში.

წითელ ჯარში

მშრომელ ახალგაზრდობის მიღება სამხედრო სასწავლებლებში

„აუცილებელი ორგანიზაციული კავშირი და სიმტკიცე შეიძლება მიენიჭოს ახალგაზრდა რევოლიუციონურ ჯარს მხოლოდ შეგნებულ მუშებისა და გლეხების წრიდან გამოსულ შემდგენლობის დახმარებით. უფრო ნიჭიერ, ენერგიულ და სოციალიზმისათვის თავდადებულ ჯარისკაცთა მეთაურთა თანამდებობებისათვის წარმოადგენს ამისათვის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ჯარის შექმნის საქმეში“—ასეთ ნათქვამი საკავშირო კომპარტიის პროგრამაში მუშურ-გლეხური წითელი არმიისათვის მეთაურთა მომზადების და მნიშვნელობის შესახებ.

მეთაური არის წითელი არმიის ორგანიზატორი და მშენებელი. იგი ასწავლის ახალგაზრდობას სამხედრო საქმეს, ამზადებს საბჭოთა კავშირის შეგნებულ დამცველებს და ხელმძღვანელობს ქვეყნის მომზადების საქმეს თავდაცვისათვის.

მეთაური ერთი და იმავე დროს წარმოადგენს თავისი ნაწილის პოლიტიკურ აღმზრდელს და ხელმძღვანელს და საზოგადოების აქტიურ წევრს, ჩაბმულს საერთო აღმშენებლობით მუშაობაში.

ამისათვის საბჭოთა ხელისუფლება აქცევს დიდ ყურადღებას სამხედრო სასწავლებლებს, სადაც იზრდებიან წითელი არმიის მომავალი ხელმძღვანელნი—მეთაურნი. საბჭოთა ხელისუფლების მიერ სამხედრო სასწავლებლების კურსანტები ჩაყენებული არიან საუკეთესო პირობებში. ამჟამად დროს კურსანტები დაკმაყოფილებული არიან ყოველმხრივ, სამხედრო სკოლებისათვის შერჩეულია ლექტორთა საუკეთესო ძალები.

ცხადია, რომ კანდიდატთა შერჩევას სამხედრო სკოლებში შესასვლელად უნდა მიქცეული ჰქონდეს სათანადო ყურადღება.

მოკლე ხანში დაიწყება კანდიდატების შერჩევა მშრომელ ახალგაზრდობიდან სამხედრო სკოლებისათვის. ადგილებზე, როგორც პარტიულ, ისე პროფესიონალურ ორგანიზაციებს, დაეგზავნება საჭირო ინსტრუქცია და დირექტივები კანდიდატების შერჩევის შესახებ. ქალაქის აღმასკომებთან შექმნილ იქნებიან კომისიები, რომელნიც ჩაატარებენ სათანადო კამპანიას. ეს კომისიები აწარმოებენ აგრეთვე განცხადებების მიღებას სკოლებში შესვლის მსურველთაგან. კომისიები შეადგენენ ჯგუფებს, სადაც იწარმოებს სკოლებისათვის მომზადება და მისცემენ მივლინებას იმ კანდიდატებს, რომელნიც ცნობილ იქნებიან კარგათ მომზადებულათ გამოცდებისათვის.

ყოველ ახალგაზრდობას, რომელიც მოისურვებს სამხედრო სასწავლებელში შესვლას, უნდა ახსოვდეს, რომ იგი ემზადება ფრიად საპასუხისმგებლო მუშაობისათვის. ამისათვის საჭიროა, რომ მან კარგად გაითვალისწინოს მომავალი მუშაობა, მისი სიძნელე და თუ სცნობს თავის სავსებით კარგად მეთაურის თანამდებობის., მხოლოდ მაშინ გადასდგას ნაბიჯი სკოლაში შესვლისათვის.

ახალგაზრდებს უნდა ახსოვდეთ, რომ მომავალი მუშაობა მოითხოვს თავდადებას, ბევრ დაბრკოლებების გადალახვას, გაჭირვების ატანას, შეუდრეკლობას და სამხედრო მეცნიერების კარგად შეთვისებას, რომ მომავალმა მეთაურმა გაამართლოს ყველა ეს, საჭიროა უყვარდეს მას სამხედრო საქმე.

სამხედრო საქმე მრავალფეროვანია, რთული და თავისი მხრივ იყოფა რამოდენიმე სპეციალურ დარგათ. ვისაც სურს შესვლა სამხედრო სასწავლებელში, მან წინდაწინვე უნდა აამორჩიოს ის დარგი, რომელშიაც იგი იმუშავებს წარმატებით და რომელიც მას უფრო აინტერესებს. აქაც საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ სამხედრო სასწავლებლები ამზადებენ არა ინჟინრებს, ან ელექტრო ტეხნიკებს. არამედ მეთაურებს ჯარის სხვადასხვა სახის ნაწილებისათვის. ახალგაზრდობა არ უნდა შეაშინოს იმისთანა სახელწოდებამ. როგორიც არის მაგ. სამხედრო-საინჟინერო სასწავლებელი. ეს სასწავლებელი ამზადებს მხოლოდ და მხოლოდ მეთაურებს საინჟინერო ნაწილებისათვის.

იმ ახალგაზრდებს, რომელთაც აქვთ სურვილი გახდენ წითელი ჯარის მეთაურებათ, სკოლაში შესვლამდე კარგად უნდა გაითვალისწინონ მომავალი მუშაობა, გაუწიონ ანგარიში თავის მომზადებას, ძალას და მხოლოდ შემდეგ, სრულის შეგნებით, ამოირჩიონ ესა თუ ის სამხედრო სასწავლებელი.

ელ. ხ.

ვის მიიღებენ სამხედრო სკოლებში

სამხედრო სასწავლებელში შესვლის უფლება აქვს ყველა მშრომელს, წლოვანებით არა ნაკლებ 17-სა და არა უმეტეს 21 წლისა.

სამხედრო სასწავლებელში შესვლისათვის საჭიროა სრული ჯანმრთელობა და ნორმალური ფიზიკური განვითარება, საერთო საგანმანათლებლო და პოლიტიკური მომზადება სათანადო პროგრამის მიხედვით და დადებითი რეკომენდაცია იმ ორგანიზაციიდან, რომელიც აგზავნის კანდიდატს.

ყველა მსურველს სამხედრო სასწავლებელში შესვლისათვის უნდა ჰქონდეს შემდეგი დოკუმენტები: 1) ექიმის მოწმობა, რომ იგი კარგია სამხედრო სამსახურისათვის, 2) ცნობა წლოვანების შესახებ, 3) მოწმობა განათლების შესახებ, 4) მოწმობა სამხედრო სამსახურისადმი მოკიდებულების შესახებ და 5) მივლინება გამგზავნი კომისიისაგან.

მისაღები გამოცდების წარმოება მიმდინარე წელს დაიწყება 15 ენკენისთვიდან. (სამხედრო სასწავლებლების სია ცალკე იქნება გამოცხადებული).

მუშათა ცხოვრება

ჩვენი მუშკორების საყურადღებოდ

დღეს, საღამოს 5 საათზე შესდგება საგაზეთო წრის მეცადინეობა. ექვს საათზე გაიხსნება მუშკორთა საერთო კრება, რომელზედაც ამხ. ს. ფარნიევი გააკეთებს მოხსენებას ბიუროს მუშაობისა და მდგომარეობის შესახებ.

მუშკორებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

რა გააკეთა ჩვენმა ქარხკომმა

(კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი“)

ჩვენი ქარხკომი აერთიანებს 324 მუშა - მოსამსახურეს ამათში ათის გარდა ყველა პროფკავშირის წევრები არიან.

ქარხკომთან არსებობს შემდეგი კომისიები: საწარმოო, შრომის დაცვის, შემფასებელი-საკონფლიქტო, კულტკომისია და აგრეთვე ურთიერთ დამხმარე სალარო, რომელიც მუშებს გაჭირვების დროს დახმარებას უწევს.

როგორც გამოირკვა, საწარმოო კომისიის გარდა, ყველა კომისიებს ნაყოფიერად უმუშავნიათ. საწარმოო თათბირი საანგარიშო პერიოდში მოწვეული იყო ერთხელ. ქარხანაში არსებობს წითელი კუთხე, სადაც კულტკომისია აწარმოებს მუშაობას.

საწევრო გადასახადის 80 პროც. გროვდება წესიერად. კოლხელშეკრულების ყველა პუნქტებს ადმინისტრაცია ცხოვრებაში წესიერად ატარებს. ხელფასი ურიგდებათ მუშებს თავის დროზე, თვეში ორჯერ.

ამას წინად მოხდა ქარხკომის გადარჩევა. ქარხკომის ანგარიშის დამთავრების შემდეგ, მუშებმა მომხსენებელს მრავალი შეკითხვები მისცეს და კამათშიც მიიღეს მონაწილეობა. კამათში მონაწილეობა მიიღეს კავშირის წარმომადგენლებმაც.

საერთო კრებამ ქარხკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა, და შემდეგისათვის ახალ ქარხკომის შემადგენლობას დაავალა გაძლიერებულ იქნეს მუშებს შორის პროფაღმზრდელობითი მუშაობა. მოწვეულ იქნეს ხშირად საწარმოო თათბირები, მოწესრიგდეს კავშირთან ერთად, ახალგაზრდა მუშა - მოწაფეების მუშაობის პირობები, მიექცეს სათანადო ყურადღება კულტურულ მუშაობას ქარხანაში და სხვ.

შემდეგ, ანგარიშით გამოვიდა სარევიზიო კომისია.

ბოლოს, საერთო კრებამ პერსონალურად კენჭის ყრის შემდეგ ამოირჩია ქარხკომის ახალი შემადგენლობა, სადაც შედის ექვსი მუშა ქალი და ხუთი მამაკაცი, მათში ოთხი უპარტიოა. არჩეულ იქნა აგრეთვე ხუთი კაცისაგან შემდგარი სარევიზიო კომისია.

მუშკორი—ვანო.

ქაღალდი მოგზაურობს

რკინისგზების სამმართველოს უზარმაზარი შენობის ნახევარ სარდაფიან შენობაში მოთავსებულია სამასალო განყოფილების საწყობი, რომელსაც აქვს მთელი რიგი განყოფილებები და უჭირავს დიდი მოედანი. ამ უამრავ ქაღალდებში და მტვერში მუშაობს 7 კაცი, რომელთა მდგომარეობა შრომის დაცვის მხრივ ფრიად უნუგეშოა. საწყობის შენობა ნესტიანია, ჰაერი მძიმე, განსაკუთრებით დილაობით, როცა საწყობს აღებენ. იატაკი ცემენტის, ხოლო ხის ფიცრული არ არის საკმაო. თითქმის ყველა იქ მომუშავე დაავადებულია რევმატიზმით და ფილტვების ავადმყოფობით. ელექტრონის მავთული ყველგან არის, მაგრამ არ არის ნათურები, ფანჯრები კი სინათლეს არ უშვებენ. საპონი საკმაოა, ხელსახოცი კი ერთია ყველაზე. ქაღალდები სავსეა მტვერით. ვენტილიაცია არ არის, ჰაერს სწმენდდეს.

ოდესღაც, წარსულ წელში საწყობს ეწვია შრომის დაცვის კომისია და ექიმი. კომისიამ დიდი დრო მოანდომა საწყობის გამოკვლევას და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სარდაფი საკმაოდ მავნებელია მომუშავეთათვის. მან მოისმინა მუშების საჩივარი მორიგ შვებულების სიმცირეზე და შეპირდა ახლო მომავალში საკითხის მოგვარებას. ყველა ამაზე კომისიამ შეადგინა აქტი და გადაგზავნა სამმართველოს ადგილკომში, რომელმაც თავის მხრივ გადაგზავნა სათანადო ორგანიზაციებში, მაგრამ შემდეგ მის ბედ - იღბალზე არავინ არაფერი იცის.

ადგილკომის ახალი შემადგენლობა და შრომის დაცვის კომისია შეუდგეს ამ საკითხის მოგვარებას.

მუშა.

ექსკურსია რადიო-სადგურში

კვირას, 15 მაისს მოეწყო სად. თბილისის მოძრაობის დარგის მუშათა ექსკურსია რადიო-სადგურში.

დილის 11 საათიდან ექსკურსანტები სადგურზე იკრიბებიან. ისინი დაინტერესებულნი არიან დაათვალიერონ რადიო-სადგური და გაეცნონ მას. ექსკურსიის ხელმძღვანელია ამხ. მასურაძე.

დაიძრა მატარებელი, მუშები ერთი მეორეს ესაუბრებიან:

— ნეტავ იქნება რაიმე საინტერესო?

— საინტერესო რომ არ იყოს შე კაი კაცო, ამდენი ხალხი წამოვიდოდა?!...

— ამას წინათ მეც დავათვალიერე და ძალიან მომეწონა.

— თუ მომეწონა რადიოს სახლშიაც გამოვიყვან.

მატარებელი გაჩერდა რადიო სადგურთან. სადგურის გარეგანი სანახაობა დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს ექსკურსანტებზე. 120 საჟენზე აღმართული რკინის ბოძები სიმაღლეში მთას ეჯიბრებიან. დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე სადგურის მოწყობილობაც. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს მთელი სადგური. მათ გასაგებ ენით უხსნიდა ყველაფერს სპეციალური პირი.

სადგურმა იმდენად დააინტერესა ყველა, რომ 1 საათზე დაწყებული ექსკურსია ნაშუადღევის 4 საათამდე გაგრძელდა. ფრიად ნასიამოვნები და კმაყოფილი დაბრუნდა ექსკურსია რადიო სადგურიდან.

საყურადღებო წვრილმანი

— **ქუთაისის ტუბდისპანსერი.** ქუთაისის ტუბდისპანსერში შექმნილია შესაფერისი ჰიგიენური პირობები. მოვლენ თუ არა ავადმყოფები, მიიღებენ აბაზანებს და დისპანსერის სპეციალურ ტანისამოსს. სადილი ეძლევათ კარგი ღირსების. მოწყობილია სამკითხველო.

აქვე არსებობს ბავშვების დისპანსერი, სადაც შეკრებილია მუშების და გლეხების ბავშვები, რომლებიც იკურნებიან ამ სენისაგან.

ექიმები და თანამშრომლები არ იშურებენ ენერგიას, რისთვისაც უთუოდ მადლობის ღირსი არიან.

ა. გოიაშვილი.

— **კანდელაკი თავხედობს.** თბილისის საქონლის სადგურის უფროსი მოჯ. იონა კანდელაკი უდიერად ეპყრობა მუშა - მოსამსახურეებს. იგი ყოველთვის უმიზეზოდ უყვირის თავის თანამშრომლებს და შეურაცხყოფას აყენებს.

მიუხედავათ იმისა, რომ ამ მოქმედებისათვის მას შენიშვნა გამოუცხადეს, იგი დღესაც არ იშლის თავის ჩვეულებას.

მუშკორი—თბილისელი.

— **ექსპლოატატორი.** ვერის ახალ ბაზარზე ვაჭრობს ვინმე გიორგი ოგანეზოვი. მას ყავს ოჯახში მოსამსახურეთ ობოლი ქალი, რომელსაც დუქანშიც ამუშავებს. ქალს მოსვენება არა აქვს. ის არც დაზღვეულია და არც ხელფასს იღებს.

შრომის ინსპექტორო, შეიხედე.

მ—ძე.

— **კბილის ექიმით ვერ ვსარგებლობთ.** რკინისგზის ხაზზე საჩხერიდან შორაპანამდე თანამშრომლებს ემსახურება ერთი კბილის ექიმი, რომელიც მუშაობს შორაპანში. ის მუშაობს ორის ნახევრიდან ხუთ საათამდე. ჭიათურის შტოზე მომუშავე მოსამსახურეები დაცილებული არიან საექიმო პუნქტიდან 30 და 40 ვერსის მანძილზე, ამიტომ სამუშაოს გათავების შემდეგ ისინი ვერ ასწრებენ კბილის ექიმთან ჩამოსვლას თავის დროზე. საჭიროა კბილის ექიმი დაინიშნოს უფრო მახლობელ პუნქტშიაც.

ვ. ქ.

ჩვენი მიწერ - მოწერა

— **ბათომი. ბ. ლომაძეს.** მიმართეთ „ფუხარა“-ს.

— **კოკი.** (ზუგდიდის მაზრა) თქვენი წერილი არ დაიბეჭდება საკითხი რკინისგზის შტოს გაყვანის შესახებ გადაწყვეტილია. ხარჯი მართალია იქნება, მაგრამ მთავრობას მხედველობაში აქვს მიღებული ქალაქის და მაზრის მოსახლეობის ინტერესები.

— **ხაშური.** „ჯანსაღს“. ამხ. კვალიაშვილის იუბილეს შესახებ უკვე დაიწერა გაზ. „კომუნისტში“.

— **გორი.** „ვინ დაიმსახურა გორის გამსახლის პატიმრების ნდობა“ არ დაიბეჭდება. წერილი ხელმოუწერელია. მოათავსეთ ადგილობრივ კედლის გაზეთში.

— **საგარეჯო.** „ახალს“. რკინისგზის სადგურზე გამართულ ქეიფის შესახებ მოათავსეთ წერილი ადგილობრივ კედლის გაზეთში.

ექსკურსიები

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ გამოიმუშავა საზაფხულო ექსკურსიების მარშრუტები, რომელთა მიხედვით წელს გაიმართება: ექსკურსიები თბილისში და მის რაიონებში, სასოფლო-სამეურნეო ექსკურსიები სახალხო მამულებში, საწარმოო ექსკურსიები როგორც ამიერ-კავკასიის ფარგლებში, ისე საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში (მოსკოვი, ლენინგრადი, დონის ბასეინი და სხვა) და ეტნოგრაფიული ექსკურსიები ხევსურეთში და სამხრეთ-ოსეთში. ექსკურსიის ჩასატარებლად ხევსურეთში მოწვეულია სპეციალისტი ჩურსინი.

ამას გარდა ექსკურსიები მოწყობილი იქნება საქართველოს სამხედრო გზაზე, რისთვისაც მოლაპარაკება სწარმოებს „ზაკავტოპრომტორგ“-თან ექსკურსანტებისათვის ავტობუსების მისაწოდებლად.

საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფარგლებში ჩატარებულ ექსკურსიებში მონაწილეობას მიიღებენ დაახლოვებით 5.000 კაცი; აქედან—ბაქოში გაიგზავნება დაახლოვებით—500 კაცი, ბათომში—1.000 ექსკურსანტი, ბორჯომში—წაღვერი—ბაკურიანი—1.000 კაცი, სომხეთში—300, ჭიათურა—ტყიბულში—500, წინანდალი—ახტალა—500 კაცი; დანარჩენი გაიგზავნება სხვა მარშრუტებით.

მასიურ ექსკურსიებში ქალაქ-გარეთ მონაწილეობას მიიღებს დაახლოვებით 35—40.000 კაცი.

პოლიტგანის მთავარ მმართველობასთან დადებულ ხელშეკრულების ძალით უკვე ეწყობა საექსკურსიო ბაზები თბილისში, ბათომში და ბორჯომში.

ამ დღეებში პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ხსნის კურსებს ექსკურსიების ხელმძღვანელთა მოსამზადებლად.

უმუშევრები

საქართველოს შრომის ბირჟაში ამჟამად აღრიცხულია 22.303 უმუშევარი, მათ შორის 7.341 ქალია და 1.834 მოზარდი. უმუშევართა საერთო რიცხვიდან ქალები შეადგენენ 33 პროცენტს, მოზარდები 8.2 პროცენტს.

შრომის დარგების მიხედვით უმუშევართა შემადგენლობა ასეთია: 401 სას.-სამ. დარგის მუშა, 1.467 სამთომადნო მუშა, სხვადასხვა ქარხნების — 3.951, ტრანსპორტის და სახალხო კავშირის — 1.308, გონებრივი შრომის — 6.680; დანარჩენი დარგების — 6.872 კაცი.

საგზაო მშენებლობა

სამხრეთ ოსეთი

მიმდინარე სამშენებლო სეზონში გზატკეცილების სამმართველო ანახლებს გასულ წლებში დაწყებულ საგზაო მშენებლობას სამხრეთ ოსეთში. პირველ რიგში დაიწყება ჯავა-რო-კის გზატკეცილების გაყვანა და ცხინვალ-გორის გზატკეცილის შეკეთება. ამ სამუშაოებისათვის ჯერ-ჯერობით გადადებულია 32 ათასი მანეთი.

ამ სამუშაოებთან დაკავშირებით მშენებელთა კავშირის საოლქო განყოფილების ხელმძღვანელობით სოფელ წუნარში შენდება ბარაკები მუშათა დასაბინავებლად, ეწყობა სამზარეულო და პურის საცხობი.

ჯავახეთი

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა მიიღო საგზაო მშენებლობისათვის საჭირო იარაღ-ხელსაწყოები, ორს მოზრდილ თემში—ხერთვისის და ხიზაბავრითის თემში უკვე დაიწყო საგზაო მშენებლობა, რომელიც ტარდება საგზაო ბეგარის წესით. საგზაო მუშაობას გლეხობა დიდი ხალისით აწარმოებს. დანარჩენ თემებში გზების გაყვანა და შეკეთება დაიწყება საგაზაფხულო მუშაობის დამთავრებისთანავე.

ვე.

პროფკავშირებში

მეცნიერების მუშაკების დასასვენებელ სახლებში

საქ. პროფსაბჭოს დადგენილებით დასასვენებელ სახლებში არ იგზავნებიან ის მუშა -მოსამსახურენი, რომელთა თვიური ხელფასი აღემატება 120 მანეთს.

განათლების მუშაკთა კავშირის ც. გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს პროფსაბჭოს წინაშე, რათა მეცნიერების მუშაკებისათვის დაშვებული იქნეს გამონაკლისი.

ექსკურსია მოსკოვ - ლენინგრადში

განათლების კავშირის ც. გამგეობა ახლო მომავალში აწყობს განათლების მუშაკთათვის ექსკურსიას მოსკოვ-ლენინგრადში.

აღნიშნულ ექსკურსიაში თითო უფასო ადგილი დაეთმო სიღნაღის და ლეჩხუმის მაზრებს და ერთი ადგილი დაეთმო აგრეთვე აჭარისტანის განათლების კავშირის გამგეობას აჭარელ მასწავლებლისათვის.

მასწავლებელთა მოძრაობის ისტორია საქართველოში

განათლების კავშირის ც. გამგეობამ უკვე დაამტკიცა მასწავლებელთა მოძრაობის ისტორიის გამოცემათა საერთო ხარჯთაღრიცხვა 2.133 მანეთის რაოდენობით.

— **განათლების კავშირის ც. გამგეობამ** აღძრა შუამდგომლობა განსახკომის წინაშე, რათა დამსახურებულ მასწავლებელს ამხ. სერგო მამალაძეს, რომელსაც ამას წინად ქ. თბილისში ვადაუხადეს 50 წლის იუბილე დაენიშნოს გადიდებული პენსია.

— **მეცნიერულ - ტეხნიკურ მუშაკთათვის** ერთი თვის შვებულების მიცემის შესახებ (ობსერვატორია და სახელმწიფო არქივი) განათლების კავშირის ც. გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა განსახკომის წინაშე.

— **ჟურნალი „განათლების მუშაკი“.** განათლების კავშირის ც. გამგეობის დადგენილებით სექტემბრიდან განახლდება ჟურნალ „განათლების მუშაკის“ გამოცემა.

— **ექსკურსია.** განათლების კავშირის ც. გამგეობა ამ ახლო მომავალში მაზრებში მომუშავეთათვის აწყობს ექსკურსიას ქალაქ თბილისში თავის ხარჯზე 40 ექსკურსანტისათვის.

— **საკავშირთაშორისო კლუბის ასაგებათ.** განათლების კავშირის ც. გამგეობამ ნება დართო ლეჩხუმის განყოფილებას საკავშირთაშორისო კლუბის ასაგებად გადარიცხოს თავის კულტფონდის 25 პროცენტი.

რკინისგზის პროფკავშირში

— **დასასვენებელ სახლებში.** ა.-კ. საგზაო კომიტეტი მოლაპარაკებას აწარმოებს საგზაო დამზღვევ სალაროსთან, რათა დასასვენებელ სახლებში გაგზავნილ იქნან სტიპენდ. სტუდენტებიც.

— **რონოდები — კლუბები.** ა.-კ. რკ. გზის ხაზების მუშა - მოსამსახურეების კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საგზაო კომიტეტი შეუდგა 5 რონოდის კლუბათ მოწყობას. აღნიშნული რონოდა - კლუბები ხაზებზე აწარმოებენ იმავე მუშაობას, როგორსაც ამჟამად აწარმოებენ სადგურების კლუბები. თვითეულ რონოდის აუდიტორიაა დაიტევს 60 კაცს. ამ დღეებში დამთავრდა ერთი რონოდის მოწყობა, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას ბაქოს ხაზზე.

— **საგზაო პლენუმი.** ა.-კ. საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით ივნისის დამდეგს მოწვეული იქნება ა.-კ. საგზაო კომიტეტის პლენუმი. დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1. პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება, 2, საგზაო შრომის ინსპექტორის მოხსენება, 3. საგზაო დამზღვევ სალაროს და საგზაო ჯანმრთელობის მოხსენებები, 4. ა.-კ. სატრ. მომხმარებელ საზოგადოების მოხსენება.

— **დედათა და ბავშვთა კონსულტაცია.** ხაშურის საუბნო კომიტეტმა დაადგინა მოაწყოს რკინის გზის საავადმყოფოსთან დედათა და ბავშვთა კონსულტაცია.

— **ახალი ადგილკომი.** მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის გადიდების გამო სადგურ სურამში დაარსდა ადგილკომი.

ახალი ავია-ლატარია

საკავშირო ავიაქიმმა გადასწყვიტა გამოუშვას ახალი ავიო-ლატარიის ბილეთები 3 მილიონის რაოდენობით. თითო ბილეთი ეღირება 50 კაპ.

ამ ახალ ლატარიის მოგებაში შედის:

ერთი მგზავრობა მთელ დედამიწის გარშემო (ღირს 7.500 მან.),

ორი—მსოფლიოს ირგვლივ (ღირს 5.000 მან. თითო მოგება).

ორი მგზავრობა მოსკოვ—ათინა—მოსკოვს შორის—1.500 მან. თითო.

სამი მოგება მოსკოვ—პარიზ— მოსკოვს შორის—1.350 მან. თითო.

ორი მოგება მოსკოვ—ვენა—მოსკოვს შორის 1.300 მან. თითო.

ორი მოგება მოსკოვ—სტამბოლ—მოსკოვს შორის—1.150 მან. თითო.

სამი მოგება მოსკოვ—ბერლინ—მოსკოვს შორის—1.350 მან. თითო.

ხუთი გადაფრენა მოსკოვი — მინერალური წყლები—მოსკოვი (ერთი თვით დარჩენით სანატორიუმში)—750 მან. თითო,

ხუთი მგზავრობა მოსკოვი—მინერალური წყლები—კავკავი—თბილისი—სოხუმი —ტუაპსე —მოსკოვი—750 მან. თითო,

ხუთი მგზავრობა მოსკოვი—სევასტოპოლი—მოსკოვს შორის (ერთი თვით დარჩენით სანატორიუმში) 750 მან. თითო,

სამოცი მოგება—ორი კვირით მგზავრობა მოსკოვი—ნიჟნი—ნოვგოროდი—ასტრახან — მოსკოვის მარშრუტით—300 მან. თითო.

ხუთი გადაფრენა მოსკოვი—ხარკოვი—მოსკოვს შორის—200 მან. თითო.

ხუთი ათასი მოგება ქალაქებზე ფრენა—10 მან. თითო,

გარდა ამისა, ლატარიაში ჩაგდებულია 3973 ელექტრონული რადიო-მიმღები, 250 სამეცნიერო ხელთსაწყობი ქიმიისათვის და ავიაქიმიისათვის, 5 ველოსიპედი, 500 ჰაეროპლანის მოდელი და სხვა.

მომგებელს შეუძლია თითო კვირა დარჩეს სტამბოლში, ვენაში, პარიზში და სხვა. შეუძლია აგრეთვე მოგება აიღოს ფულათ.

ლატარიის ბილეთების გაყიდვა დაიწყება წლის ზაფხულში—14 ივლისს. ბილეთების გათამაშება მოხდება 1928 წ. თებერვალში

ლატარიიდან შემოსული მთელი თანხა მოხმარდება საბჭოთა კავშირის ავიო-ქიმიურ მშენებლობას.

ახალი დისპანსერი

ჭლექის სამდღიურის ჩატარების პირველ დღეს, 27 მაისს, მელიქიშვილის ქუჩაზე ((კობის ქუჩის კუთხე, საბებიო ინსტიტუტის პირდაპირ) საძირკველი ჩაეყრება ჭლექის ახალ დისპანსერს. დისპანსერს ექნება სამი განყოფილება—პროფილაქტიური, კლინიკური და სანიტარული. პროფილაქტიურ განყოფილებაში იწარმოებს ამბულატორიული მუშაობა; პროფილაქტიური განყოფილება მოწყობილი იქნება, როგორც დარბაზი—მუზეუმი სადაც იწარმოებს ლექცია-საუბრების კითხვა ჭლექის გაჩენისა და მასთან ბრძოლის შესახებ.

კლინიკურ ნაწილში მოეწყობა 50 საწოლი ვერანდებით და მზის აბაზანებით. ამ ნაწილში საექიმო დახმარებას გაუწევენ სტაციონალურ ავადმყოფებს.

სანიტარულ ნაწილში (დღე-ღამის სანატორიუმი) განზრახულია მოეწყოს 40—50 საწოლი ვერანდებით. მზის აბაზანებით ტანვარჯიშობის განყოფილებით და სხვა. აქვე მოეწყობა საზაფხულო სასადილოები და სასეირნო ხეივნები. დისპანსერს აგებს თბილისის აღმასკომი. შენობა აგებული იქნება ქართულ სტილზე.

პედაგოგიური ინსტიტუტი
ბათომში

ბათომის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა მეორე გამოშვება უნდა მომხდარიყო მიმდინარე სამოსწავლო წლის დასასრულს, მაგრამ განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით სწავლის კურსი გადიდებულ იქნა კიდევ ერთი წლით. ეხლა ინსტიტუტში სწავლის კურსი სამწლიანია. ამჟამად ბათომის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობს 237 მოწაფე, აქედან 187 მოწაფე ცხოვრობს პანსიონში ინსტიტუტის სრულ კმაყოფაზე. ინსტიტუტმა პირველი კურს - დამთავრებულნი გამოუშვა გასულ წელს, (ინსტიტუტი დაარსდა 1923 წელს) კურს - დამთავრებულებმა გაიარეს სწავლების ორი წლის კურსი. შარშან ინსტიტუტი დაამთავრა 11 კაცმა. აქედან 7 იყო აჭარელი, რომელნიც მიმდინარე წლის დამდეგს გაგზავნილ იქნენ მაზრებში სკოლის გამგეებად.

რკინისგზეგზე
საწარმოო თათბირების წინადადებათა განხორციელება

საწარმოო თათბირების წინადადებათა განსახორციელებლად ა.-კ. რკ.-გზაზე შექმნილია სპეციალური ფონდი, რომელიც მიზნად ისახავს ხელის შეწყობას მუშათა გამომგონებლობისათვის და წარმოების გაუმჯობესებისათვის.

ამ ფონდში გადადებულია 79.400 მან. ფონდის შევსება შემდეგში მოხდება ასეთი წესით.

იქ შევა ანარიცხები იმ თანხებიდან, რომელსაც გზა მიიღებს განხორციელებულ წინადადებიდან მიღებულ მომჭირნეობით.

ფონდიდან თანხებს ხარჯავენ განყოფილებათა გამგეები, მაგრამ მათ უფლება აქვთ ერთ წინადადებაზე არ დახარჯონ 500 მან. მეტზე გაუმჯობესებათა გასატარებლად. თუ საქმე მოითხოვს მეტი თანხის დახარჯვას, იმ შემთხვევაში საკითხი უნდა შეუთანხმონ გზის გამგეობას.

ფონდი სავსებით არ იხარჯება წინადადებათა განხორციელებაზე. ამ მიზნისათვის იხარჯება 50 პროც., ხოლო დანარჩენი 50 პროც. იხარჯება პრემიებზე და სახუქრებზე, მუშათა გამომგონებლობის წასაქეზებლად.

ბენზინის გადაზიდვა

თბ. მთავარ სახელოსნოებში გადააკეთეს 100 ცისტერნა, რომლებიც საჭირო იყო გზისათვის ბენზინის გადასატანად.

უახლოეს ხანში სახელოსნოები გამოუშვებენ კიდევ 30 ცისტერნს.

ხელფასის გაცემის ახალი წესი

გზის გამგეობამ დააწესა მუშა-მოსამსახურეთათვის ხელფასის მიცემის ახალი დრო.

ახალი წესის თანახმად გზის სამმართველოს თანამშრომლები ხელფასს მიიღებენ ყოველ თვის 12-დან—15 რიცხვებ შაუ. ნარდათ მომუშავე მუშები და ოსტატები თვიურ ხელფასს მიიღებენ მომდევნო თვის 12 რიცხვში, ხოლო ისინი, რომლებიც ხელფასს ღებულობენ სატარიფო ცხრილის მიხედვით—მომდევნო თვის 23 რიცხვში. მაგალითად, პირველნი ივნისის ჯამაგირს მიიღებენ 12 ივლის და მეორენი კი—23 ივლისს.

მომავალში ხელფასის გაცემა რკ.-გზაზე ამგვარი წესით იწარმოებს.

ქრონიკა

სადაფის ქარხანა

სადაფის ფოლაქების და სადაფის სხვა ნაწარმოებთა წარმოება დღემდე საბჭოთა კავშირში არ არსებობდა. სადაფის ყოველგვარი ნაწარმოები უმთავრესად შემოჰქონდათ საზღვარ-გარეთიდან მიუხედავათ იმისა, რომ საამისო ნედლი მასალა ჩვენშიც ბლომათ მოიპოვება.

ამას წინედ ს. მ. უ. საბჭოში გამოცხადდა მოქ. გინსბურგი,რომელმაც იშუამდგომლა მისცენ მას უფლება მოაწყოს თბილისში სადაფის ქარხანა. ს. მ. უ. საბჭომ გინსბურგის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. და ახლო ხანში გინსბურგი შეუდგება ქარხნის მოწყობას.

ქარხნის მოწყობილობა და ყველა საჭირო მანქანები მიღებულია გერმანიიდან. ქარხნის მოწყობა ჯდება 60,000 მანეთი.

სახ. სასწორის ტრესტის ლიკვიდაცია

ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე იქონია მსჯელობა სახ. სასწორის მდგომარეობის შესახებ და მიზანშეწონილად სცნო მოახდინოს მისი ლიკვიდაცია. სახ. სასწორის ყველა ფუნქციები გადაეცემა ლითონის ტრესტს.

სახსასწორის სალიკვიდაციოთ ს. მ. უ. ს. მიერ გამოყოფილია კომისია, რომელშიაც შედიან ლითონტრესტის, ს. მ. უ. ს. საწარმოო-საგეგმო განყოფილების და სახსასწორის წარმომადგენლები.

სესხი „სახელგამს“

განათლების სახ. კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად ეკონომიურმა საბჭომ ნება მისცა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას აიღოს სესხად, სახელმწიფო ბანკიდან 25.000 მან. საქართველოს ფინსახკომის გარანტიის ქვეშ.

მოსახლეობის რაოდენობა

1 აპრილისათვის თბილისში მოსახლეობის რაოდენობა უდრიდა 292,155 სულს.

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

—შრომის ბირჟის კვალიფიციურ მუშაკთა 1-ლი სექცია სამუშაოზე გზავნის შემდეგ პირებს: 1) ლეონტი პაპაზიანი, 2) რუბენ მერკუმიანც, 3) ერზოკიანი კარაპეტ, 4) იოსებ ოგანეზოვი, 5) კარაპეტ არუთინოვი, 6) ვაგან სტეპანიანი, 7) აზო ბადოიანც; 8) არჩილაძე, 9) ასრატ კაზაროვი, 10) ბიქტორ გიორგობიანი, 11) არსენ სტეპანოვი, 12) ზალიაშვილი ივანე; 13) ათაბეგ ხაჩატუროვი; 14) ალექსი კოქლამაზაშვილი, 15) კაშინინ ალექსანდრე, 16) ივანე კოტერი, 17) მაცაშვილი ზაქარია.

შავ მუშათა მე-3 სექცია გზავნის: 1) ყუსატაშვილი ალექსანდრე, 2) აიკანუშ კარაპეტიანი, 3) ქნინია კაპელნიკოვა, 4) ევდოკია კისილოვა.

საექიმო მუშაკთა სექცია გზავნის: 1) ჰეჰინაძე ოლღა, 2) გიორგი ხარტიშვილი; 3) ივანე დემეტრაშვილი, 4) ლავრენტი ჩაჩიბაია.

საბინაო მშენებლობა

თბილისში საბინაო მშენებლობისათვის გადადებული 1.245.000 მანეთი, თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე გაანაწილა შემდეგნაირათ: 700.000 მანეთი გადაიდო ტრამვაის მუშათა სახლის 6 კორპუსის ასაგებათ; 250.000 მანეთი ავლაბრის მუშათა სახლების ასაგებათ; 50.000 მანეთი გაღებული იქნა ავლაბრის მუშათა თეატრის ასაგებათ; 80.000 მანეთი მოხმარდება წყალსადენის მუშათა სახლის აგებას; 45.000 მანეთი გადაიდო მეთოხე რაიკომის სახლის აგებათ; ხოლო 120.000 მანეთი ღამის თავშესაფარის ასაგებათ. ყველა ეს თანხები დაიხარჯება მიმდინარე წელს.

მიკრობიოლოგიური
სადგური

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ბათომის კარანტინთან მოაწყო ჭირის საწინააღმდეგო მიკრობიოლოგიური სადგური. ჯერ-ჯერობით ამ სადგურის მოსაწყობად დახარჯულია 6 ათასი მანეთი. სადგურის შესაფერისად იარაღებით და საკვლევი ინსტრუმენტებით მოსკოვში შეკვეთილია 6.000 მანეთის სხვადასხვა ინსტრუმენტები. სადგურის გამგეთ და ეპიზოოტიისათვის თვალყურისადევნებლად მოწვეულია სპეციალისტი-ბეითალი, რომელიც ამ საქმის შესასწავლად მივლინებული იყო საფრანგეთში. მიკრობიოლოგიურ სადგურის [illegible] სამეთვალყურეოდ, გამოსაკვლევად და შესასწავლად მოიწვევიან შავი ზღვის ყველა ნავთსადგურები, მასალის გამომკვლევი შედეგების მიხედვით გამომუშავებული იქნება სათანადო ზომები ეპიზოოტიის წინააღმდეგ.

პურის საცხობი ქარხნები

პურის საცხობი ქარხნების მოსაწყობად თბილისსა, ბაქოსა და ერევანში გადადებულია 296 ათასი მანეთი. ამიერ-კავკასიის შინა ვაჭრობის კომისარიატის მიერ ეს თანხა რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად არის განაწილებული: აზერბეიჯანი მიიღებს ამ თანხის 52 პროცენტს, საქართველო—29 პროცენტს და სომხეთი 16 პროცენტს. ქარხნების აგება დაკისრებული აქვთ მუშათა კოპერატივებს. თბილისის მუშკოოპი გაცემული თანხით აგებს ქარხანას, რომელიც ყოველდღიურად გამოაცხობს 2000 ფუთს. ქარხნის მოწყობილობის ნაწილი მუშკოოპს უკვე შეძენილი აქვს. ქარხანა აგებული იქნება კლარა ცეტკინის (ყოფილი ელისაბედის) ქუჩაზე—იმ ადგილას სადაც ამჟამად მუშკოოპის ფურნეა.

ბაქოს პურის საცხობი ქარხანა ყოველდღიურად გამოაცხობს 3 ათას ფუთს, ერევნის 1000 ფუთს.

სასოფლო-მეურნეობის
რაციონალიზაცია

მიმდინარე გაზაფხულის დამდეგს აფხაზეთის მეთამბაქოების კოოპერატ. კავშირმა სოფელ მერხეულში მოაწყო საცდელ-საჩვენებელი პლანტაცია, რომლის მთავარ დანიშნულებას შეადგენს მეთამბაქო გლეხური მეურნეობის რაციონალიზაცია. თამბაქოს მცენარის გარდა საცდელ პლანტაციაში გაშენებულია მანდარინების, საზეთე ვარდის, ლიუფის (გოგრა); საკვები ბალახების და ეთეროვანი მცენარეების კულტურები. თამბაქოს მცენარეთაგან გაშენებულია დიუბეკი და სიგარის თამბაქო. უკანასკნელად გლეხობაში ფეხი მოიკიდა კომბინატორული მეურნეობის წარმოებამ. გლეხობამ წელს შეიძინა ძვირფასი კულტურის დიდი ძალი ნერგები და თესლი. მარტო მეთამბაქოთა კავშირმა დაარიგა 4 ათასი მანდარინის ნერგი, 2 ათასი ატმის ნერგი და სხვა.

თბილისის აღმასკომში

◆ **საანგარიშო კამპანია.** მაზრის ზოგიერთ თემში ამჟამად მიმდინარეობს საანგარიშო კამპანია. მასიურ კრებებზე პასუხისმგებელი ამხანაგები აკეთებენ მოხსენებებს თემსაბჭოების მუშაობის შესახებ.

◆ **წყალსადენი.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა სოფ. საგარეჯოს გაღმა - უბანში გაიყვანოს წყალსადენი.

◆ **საქონლის ფარეხები.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა სტიქიურ უბედურებისაგან ცხვრების და მსხვილ ფეხა საქონლის ჯოგების დასაცავათ სართიჭალაში, ზარმაქსიზმში და პრიუტში მოაწყოს ფარეხები.

◆ **მოხეტიალე ძაღლების** მოსასპობათ აღმასკომმა გადასწყვიტა გამოსცეს ძაღლების რეგისტრაციის შესახებ სავალდებულო დადგენილება.

◆ **აგურხანების** სამმართველოს გამგეთ დაინიშნა ამხ. მიშა ჯაფარიძე.

◆ **აბანოები იმუშავებენ კვირა - უქმე დღეებში.** თბ. აღმასკომის დადგენილებით ქალაქის აბანოები იმუშავებენ კვირა-უქმე დღეებშიც.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **თესლეულობა.** საზღვარგარეთიდან მიღებული იქნა აკაციის, ევკალიპტის და სხვ. ჯიშიან მცენარეთა თესლეულობა.

◆ **მერძეობის კურსები.** ბორჯომის რაიონში ციხისჯვარის მერძეობის ფერმასთან ეწყობა მერძეობის და მესაქონლეობის ორკვირეული კურსები გლეხებისათვის.

კრებები და მოხსენებები

◆ **ექიმების კრება.** ოთხშაბათს, ა. წ. 25 მაისს საღამოს 8 საათზე ჯ. ს. კ. სანგანათლების დარბაზში (ევანგულოვის ქ., № 12). შესდგება ქ. თბილისის ყველა ექიმებისა და კბილის ექიმების საერთო კრება. დღის წესრიგი: 1. ჯ. ს. კ. სანეპიდგანის მოხსენება, 2. ქალ. ჯანმრთელობის განყოფილების სანეპიდგანის მოხსენება, 3. ექიმთა სამუშაო დღე, 4. და სხვა.

სახელგამის ახალი გამოცემანი

ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“ № 4, 145 გვ., ფასი 70 კ.

ჟ. „პიონერი“ № 9, 24 გვ., ფასი 25 კ.

ჟ. „ნაკადული“ № 5, 32 გვ., ფასი 35 კ.

ნ. ბუხარინი — „ჩინეთის რევოლუციის პრობლემები“. 87 ., ფასი 50 კ.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე — „ფაუსტი“, თარგმანი გერმანულიდან **დ. ინიაშვილისა,** მთარგმნელის წინასიტყვაობით და კომენტარიებით. 272 გვ., ფასი 1 მ. 50 კ.

ბრძოლა ხანძართან

გუშინ, რესპუბლიკის სახანძრო საქმის ინსპექტორი ამხ. **ალ. ბერიძე** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მივლინებით გაემგზავრა როსტოვში, საიდანაც გაემგზავრება ხარკოვში და მოსკოვში. ამავე დროს ამხ. ბერიძეს აღმასკომის კომუნალურ განყოფილებისაგან დავალებული აქვს გაეცნოს ხანძრის ელექტრონულ სიგნალიზაციას, სახანძრო მექანიკური სახელოსნოების მოწყობას, საკვამლე მილების საწმენდ ორგანიზაციების საქმიანობას და სხვა.

ამჟამად.—განაცხადა ამხ. ბერიძემ—ჩვენ მხოლოდ ხანძრის სატელეფონო სიგნალიზაცია გვაქვს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სახანძრო კოშკებს.

სატელეფონო სიგნალიზაციის მეოხებით არ ხერხდება სახანძრო რაზმის თავის დროზე გამოძახება.

სახანძრო ელექტრონულ სიგნალიზაციის შემოღების საკითხი ჩვენში დადებითად არის გადაწყვეტილი. ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილია 36.000 მანეთის რაოდენობით.

ელექტრონული სიგნალიზაცია შემოღებული იქნება ამ 5-6 თვის განმავლობაში.

ელექტრონულ სიგნალიზაციის მეთოდი სრულიად მარტივია; ქალაქის სხვადასხვა ადგილას დადგმული იქნება ელექტრონული სიგნალიზაციის გადამცემლები. პირველი ცეცხლის მქრობელთა რაზმში მოეწყობა მიმღები სადგური. ამ გადამცემლებზე თითის დაჭერით სადგური იმწამსვე მიიღებს ცნობას ხანძრის გაჩენის შესახებ, საპარატო ქნოპკები ერთი მეორისაგან დაშორებული იქნება 60—80 მეტრით. თბილისში მოეწყობა 80-მდე გადამცემლები.

სახანძრო საქმის გაუმჯობესების მიზნით, მოწყობილი იქნება სახანძრო სახელოსნოები. ამ სახელოსნოებში ჩქარი ტემპით იწარმოებს დაზიანებული სახანძრო მანქანების შეკეთება.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან ამხ. ბერიძეს დავალებული აქვს შეიძინოს 2 სახანძრო ავტომობილი ქუთაისის ცეცხლისმქრობელ რაზმისათვის.

ხელოვნება

◆ **მუშა-მსახიობის გ. ჯაბაურის იუბილე.** საიუბილეო კომიტეტის დადგენილებით მუშა-მსახიობ გ. ჯაბაურის იუბილე უნდა გამართულიყო მაისის 29-ს, მაგრამ საიუბილეო კომიტეტის 22 მაისის სხდომამ დაადგინა: ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო მუშა-მსახიობ გიორგი ჯაბაურის იუბილე გაიმართოს ამ წლის შემოდგომაზე, ხოლო საიუბილეო კომიტეტმა და მისმა პრეზიდიუმმა განიზრახა, რომ იუბილეს მიეცეს უფრო ფართო ხასიათი.

◆ **რუსთაველის თეატრის სცენის შეკეთება.** ამ ზაფხულს რუსთაველის თეატრის სცენას შეაკეთებენ მომავალ სეზონის ახალ დადგმების მოთხოვნილებისამებრ.

◆ **კარლო კალაძის წიგნი.** დაიბეჭდა და იყიდება ყველგან კარლო კალაძის „ძახილი აღმოსავლეთს“. ამავე ავტორის „ოქრო“ ცალკე წიგნად. გამოცემა — საქ. პროფკავშირთა გამომცემლობა „შრომის“. ამ დღეებში გამოვა გასასყიდათ ამავე ავტორის „რჩეული ლექსები“. გამოცემა სახელგამის.

◆ **ოქტომბრის დღესასწაულისათვის.** ოქტომბრის რევოლუციის 10 წ. თავისთვის აკადემიური დრამის აქტივი კოლექტიურად ამზადებს პიესას, რომელიც დაიდგმება ოქტომბრის დღესასწაულების დროს.

◆ **„პროფესორი ბუბუსი“.** მეიერხოლდის თეატრის უკანასკნელი პრემიერა იქნება „პროფესორი მუმუსი“, რომელიც იდგმება 26 მაისს.

◆ **სახალხო მომღერლების კონცერტი.** უახლოეს მომავალში ნაძალადევის კლუბში მუშათა კლუბში გაიმართება დედას ლევანას სახ. სიმღერების კონცერტი.

ფეხბურთი

თბილისის „დინამოს“ და ფოთის „დინამოს“ შეჯიბრი, რომელიც 15 მაისს გაიმართა, ჟიურის დადგენილებით ჩაითვალა 1 : 1.

სასამართლო

ქობულეთელ კომბინატორების პროცესი

27 მაისს, აჭარისტანის უზენაეს სასამართლოს გამსვლელი სესია ქობულეთში გაარჩევს ქობულეთის მაზრის აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარის **ხასან თხილაიშვილის,** პრეზიდიუმის წევრის **დურსუნ ტაბიძის,** სამაზრო პარტიული კომიტეტის ყოფ. მდივნის **მეჯიდ კაკალაძის,** მილიციის უფროსის **რიზა ბეჟანიძის,** ტყის გამგის თანაშემწის **მემედ თხილაიშვილის,** აჭარისტანის წითელ-ნახევარ მთვარის პრეზიდიუმის ყოფ. მდივნის **ხუსეინ შარაშიძის,** მოქ. **რამიზ კაკალ-ოღლის, პლატონ შოშიტაშვილის** და **ხასან ანანიძის** საქმეს.

ზემოთ ჩამოთვლილ პირებს ბრალდებათ ძალაუფლების გადამეტება, ხელისუფლების პრესტიჟის დაცემა და მიწის ყიდვა - გაყიდვა.

გამოწვეულია 40 მოწმე და ექსპერტები.

ბრალს სდებს რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე ამხ. **გ. მიროტაძე,** საზოგადო ბრალდებულათ გამოდის აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარი ამხ. **სელიმან ლორთქიფანიძე,** ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: **გ. ლალიძე, ა. ბებურიშვილი** და **ა. ცქიტიშვილი.**

გასამართლება საზოგადო საჩვენებელი ხასიათისაა.

ფუხარა.

ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა პროცესი.

სასამართლოს მორიგი სხდომა გაიხსნება დღეს, დილის 9 საათზე; სხდომაზე მოსმენილი იქნება ბუღალტერ - ექსპერტების დასკვნა.

ექსპერტების დასკვნის მოსმენის შემდეგ გაიმართება მხარეების კამათი.

ვატმან ვართანოვის საქმე

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლო ამხ. მიხა ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში გაარჩევს ვატმან **სერგო ვართანოვის** საქმეს.

21 თებერვალს, ტრამვაის ვაგონი (მარშრუტი პირველი), ჟორესის და პლეხანოვის ქუჩის კუთხეში დაეჯახა 9 წლის **ელენე ჯავოშვილს** და გასრისა.

გამოძიებით გამოირკვა, რომ უბედური შემთხვევის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო ვაგონის დამუხრუჭებით, მაგრამ ვატმანმა ვაგონი არ დაამუხრუჭა.

გასამართლება საზოგადო - საჩვენებელი ხასიათისაა.

ძმის მკვლელი

სოფ. შემოქმედის (სიღნაღის მაზრა) მცხოვრებმა **გიგა თვაურმა** ცოლათ შეირთო **კატო ვ-ი,** რომელთანაც პირველ ხანებში კარგ განწყობილებაში იყო.

გავიდა ხანი. ცოლ-ქმარს შორის დაუსრულებელი ჩხუბი და დავიდარაბა დაიწყო, რომელიც ზოგჯერ ცემა-ტყეპამდისაც მიდიოდა.

ბოლოს ისინი განშორდენ ერთმანეთს სასამართლოს წესით.

შვილი სასამართლომ დედას აკუთვნა. ამით თვაური კიდევ უფრო გაბრაზდა.

მოქ. თვაურის ყოფილი მეუღლე ცოლათ შეირთო მოქ. **სიკო კულუმბეგაშვილმა.**

გ. თვაური რამოდენიმეჯერ მიუხდა ბინაზე მოქ. კულუმბეგაშვილს ბავშვის წასართმევად, მაგრამ მისი ცდა უშედეგოთ დასრულდა.

ამის შემდეგ კულუმბეგაშვილმა გადასწყვიტა თვაურის მოკვლა და დახმარებისათვის მიმართა თვაურის ძმას **ბესოს.**

ბესო დასთანხმდა ძმის მოკვლაზე და განუცხადა მას:

— „მე ჩემი ხელით მოვკლავ ძმას, რადგან შენ; რომ მოჰკლა, სისხლის აღება დამჭირდება“.

ა. წ. 10 აპრილს, ისინი მივიდნენ გიგას ბინაზე და აღუთქვეს მას ბავშვის დაბრუნება. გიგამ „სტუმრები“ მიიპატიჟა სადილზე და აქეიფა.

ვ. თვაური და კულუმბეგაშვილი მოულოდნელად წალაპარაკდენ.

ჩხუბის დროს ბესომ შემდეგი სიტყვებით მიმართა ძმას:

—„ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს შენი მოკვლა, მაგრამ მე უნდა გამოგჭრა ყელი, რომ შემდეგში სისხლის აღება არ დამჭირდეს“. გიგა შეაშინა ძმის სიტყვებმა, ამოიღო ხანჯალი—გადასცა მას და მიუგო:

— მე არავის ვერჩები და გთხოვთ განაგრძოთ ქეიფი. ამ სიტყვებზე ბესომ მოულოდნელად ხანჯალი ჩასცა გულ-მკერდში ძმას და შემდეგ მიაყენა 18 ჭრილობა. გიგა გარდაიცვალა.

ბესო თვაური და სიკო კულუმბეგაშვილი დაპატიმრებულია.

გლეხების თხოვნით, საქმე ამ დღეებში გაირჩევა ადგილობრივათ.

* * *

ამას წინად ჩვენი გაზეთის შემთხვევების განყოფილებაში მოთავსებული იყო ცნობა, ქურდობისათვის შეიპყრეს ევგენი ნიკოლოზის ძე დვალი.

თბილისის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ გაარჩია მოქ. დვალის საქმე და სისხლის სამართლის დანაშაულობის უქონლობის გამო— საქმე მოსპო.

შემთხვევები

მტკვარში დახრჩობა

გუშინ, დილის 11 საათზე, ვერის პარკთან მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო მე-8-ე შრომის სკოლის მოწაფე **შალვა ქუთათელაძე** (15 წლისა).

ნაქურდალი ნივთების პოვნა

სისხლის სამართლის მილიციის მიერ აღმოჩენილია ნაქურდალი ქალისა და კაცის ლაქის ფეხსაცმლები და ტანისაცმლები.

პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 14, **ამხ. ტ. კოპალეიშვილთან.**

◆ **სალესი ჩარხის მოპარვა.** 23 მაისს თავისუფლების მოედანზე მდებარე სასადილო „მოსკოვი“-ს წინ მოიპარეს დანების სალესი ჩარხი. ბოროტმოქმედი ვლადიმერ დატვიანი შეიპყრეს.

◆ **ქურდი სტუმარი.** ქ. ლენინაკანში დააპატიმრეს ლეონ გეურქოვი, რომელმაც თბილისში სამსონ სარქისოვს სტუმრათ ყოფნის დროს მოჰპარა 137 მ. ნივთები.

◆ **ცენტრალურ ბაზარში.** გორის მაზრის მცხოვრებ გლეხს შაქრო ჩიტაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს ფული.

◆ **ქალის გატაცება.** 23 მაისს დააპატიმრეს მაცაკა არუთინოვი, რომელმაც 12 მაისს ალბულაღის რაიონში ორი ამხანაგით თავს დაესხა არუთინ ულიხანოვს და მოსტაცა ქალიშვილი.

◆ **თვითმკვლელობა.** სოფ. ძირხვნისში (ერწოს სამილიციო რაიონი) ბერდია მამიაურმა თავის ძმის ღვთისო მამიაურის მძიმე ავადმყოფობის გამო თოფით მოიკლა თავი.

◆ **ცეკავშირის სამკითხველოდან** წიგნების მოპარვისათვის დააპატიმრეს არზაის ხაჩატუროვი.

ახალი აფხაზური ალფავიტი

აფხაზური ენისა და ლიტერატურის აკადემიამ, რომელიც სოხუმში არსებობს, ძველი, რთული და მეტად ძნელად შესათვისებელი აფხაზური ალფავიტის ნაცვლად, გადასწყვიტა შემოიღოს ახალი, აკადემიკოს ნ. მარრის მიერ შემუშავებული ალფავიტი. ზაფხულში დაიწყება ახალი შრიფტით დაბეჭდილ გამოცემათა გამოშვება.

სწარმოებს მზადება ანბანის, ქრესტომატიისა და სხვა სახელმძღვანელოების გამოსაცემად. აკადემიამ გახსნა სპეციალური კურსები, სადაც წერა - კითხვის მცოდნე აფხაზი - გლეხები ეცნობიან ახალ ალფავიტს.

აფხაზური ენისა და ლიტერატურის აკადემია დაარსდა ერთი წლის წინათ აკადემიკოს ნ. მარრის უახლოესი მონაწილეობით.

კოლოკვიუმები

განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებით საქართველოს ყველა ტიპის ტეხნიკუმებში კოლექვიუმები დაიწყება 7 ივნისს და გაგრძელდება იმავე თვის 20 რიცხვამდე. პედაგოგიურ საბჭოს თავისი საკუთარი შეხედულების მიხედვის საშემოდგომო კოლოქვიუმებზე ხელმეორედ გამოსაცდელად შეუძლია დაუშვას ის მოწაფეები, რომელთაც ვერ გამოიჩინეს სათანადო წარმატება საზაფხულო კოლოქვიუმებზე. იმავე კლასში მეორე წლიწადს დატოვებული იქნებიან ის მოწაფეები, რომელნიც სუსტი აღმოაჩნდებათ რომელიმე ოთხ საგანში. მოწაფეები რომელნიც დამაკმაყოფილებლად ჩაბარებენ წერილობით გამოცდას განთავისუფლებული იქნებიან ზეპირი გამოცდისაგან.

კინო

„ქალის გამარჯვება“.—ისტორიული ანეკდოტი 7 ნაწილად. სცენარი—ზარხის. რეჟისორი და ოპერატორი **ჟელიაბუჟსკი,** გამოშვება „მეჟრაბპომ-რუს“-ის.

მთელი ერთი თვის განმავლობაში „კინომინიონში“ მაყურებლებს თავი მოაბეზრეს შემდეგი ანონსით:

რეჟისორი ჟელიაბუჟსკი გაჭირვებულ მდგომარეობაშია (უჩვენებენ დაფიქრებულ რეჟისორს) „რა ვქნა, რა დავდგა“? უცებ უკვე „სასოწარკვეთილებამდი“ მისული რეჟისორი კედელზე შეამჩნევს ძველი „ბოიარინების“ სასახლეს და მყისვე დაებადება იდეა—დასდგას სურათი წარსულიდან თავგასულ მემამულეთა ცხოვრებიდან.

კარგი რეჟისორისა და თანამედროვეობის გულწრფელი მეგობარის ხელში წარსულიდან აღებულ თემასაც შეუძლია სარგებლობის მოტანა თანამედროვეობის მოთხოვნილებათა ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილებით.მაგრამ ამას „მეჟრაბპომ-რუსის“ახალ სურათში ვერ ვხედავთ რათ ესაჭიროებოდა რეჟისორს ამდენი ფიქრი ასეთი სოციალურ შინაარს და მხატვრულ ღირსებას მოკლებული სურათის დასადგმელათ.

მდიდარი თავგასული მემამულის პლოდომოსოვის სასახლე. უსაქმო მემამულემ არ იცის დრო რითი მოჰკლას და თავისი ამალით დაძრწის ხან-აქეთ და ხან იქით. გადაიჯირითებს მინდვრათ, სადაც მისი ყმები ქართობილს თხრიან და ერთ-ორს მათრახს გადაუწყვიტინებს მათ. გზაზე ვაჭრები შეხვდება, ვაჭრებსაც აუწევას ზურგს, იმისათვის, რომ მათ გზა არ დაუცალეს. პლოდომოსოვს ამალა კარეტიდან გადმოათრევს გრაფ ტატიშჩევს და თოვლში აგუნდავებს. ამ სცენას წააწყდება პეტრე 1-ის ოფიცერი, რომელიც აღშფოთებული ამ საშინელი „უპატივცემლობით“ მეფის კარისკაცისადმი, მიბეგვავს პლოდომოსოვის ერთ-ორ ერთგულ ყმას.პლოდომოსოვი უბრძანებს თავის ყმებს ტატიშჩევის ამ არამკითხე დამცველს გრაფ მგვასავს გაუმასპინძლდენ, მაგრამ ოფიცერი გაიქცევა, დაჯდება თავის მარხილზე და სახლს მიაშურებს. პლოდომოსოვი თავისი ამალით გამოედევნება. ოფიცერი და მისი ცოლი მრისხანე თავადს „პურ-მარილით“ შეხვდებიან. პლოდომოსოვი მთელი გაბრაზება დაცხრება, როგორც კი თვალს მოჰკრავს ოფიცრის ლამაზ ქალიშვილს, რომელიც წინათ შემთხვევით ენახა გზაზე და მოეწონა. სთხოვს მშობლებს ცოლათ მისცენ თავისი ქალიშვილი. ისინი უარს აცხადებენ. მაშინ უბრძანებს თავის ყმებს შეკრან ოჯახის ყველა წევრები. ქალს იტაცებენ. ოფიცერი საჩივლელად მიდის გუბერნატორთან. ჩივილიდან არაფერი გამოდის. გუბერნატორთან მიდის აგრეთვე პლოდომოსოვის მიერ შეურაცყოფილი ტატიშჩევი. მეფის კარისკაცისადმი გუბერნატორი არაჩვეულებრივ ყურადღებას იჩენს. გუბერნატორის სასახლის კარებში ტატიშჩევი შეხვდება თავის ქომაგს—პეტრეს ოფიცერს, გაიგებს რაშია საქმე და უბრძანებს გუბერნატორს დახმარება აღმოუჩინოს მას. გუბერნატორი პლოდომოსოვს უგზავნის ბრძანებას თავგასულობას თავი დაანებოს და გატაცებული ქალი გაანთავისუფლოს. პლოდომოსოვი ძალით იწერს ჯვარს გატაცებულ ქალზე. ამ დროს მოდის გუბერნატორის მიერ გამოგზავნილი ჯარის ნაწილი პლოდომოსოვის მიერ გატაცებული ქალის მამის მეთაურობით. პლოდომოსოვს აპატიმრებენ. გუბერნატორის წარმომადგენელი სთხოვს ქალს დაადასტუროს, რომ მასზე ჯვარი ძალით დაიწერეს. ქალი უარყოფს და უღიმის პლოდომოსოვს. უკანასკნელი გაკვირვებულია. იმართება ლხინი. ყველაფერი კარგათ თავდება. ქალმა გაიმარჯვა—მოსტეხა აგზნიან თავადს ურჩი და თავგასული ბუნება,—ასეთია სურათის ფაბულა.

მაგრამ საეჭვოა, რომ ეს სურათი გამარჯვებათ ჩაეთვალოს „მეჟრაბპომსა“ და რეჟისორ ჟელიაბუჟსკის. წარსული სურათები მთლიანად მოქცეულია პლოდომოსოვის ქეიფის და მის [illegible] ქალის გატაცების რკალში. ხალხი, ბატონყმობა, ბატონ-ყმობის საშინელებანი, მექრთამე გუბერნატორი, ყველაფერი ეს მოცემულია **სხვათა შორის, გაკვრით.** ეს არის უდიდესი ნაკლი შინაარსის.

რათ, რისთვის, ვისთვის იყო საჭირო ამ სურათის დადგმა? „ქალის გამარჯვება“ უსათუოდ არ ჩაითვლება სურათად, რომელიც დადგმულია მშრომელ-მაყურებლისათვის, რადგან უკანასკნელისათვის არაფერი საინტერესო. ამ სურათში არ არის, რადგან უკანასკნელს სულ სხვა კულტურული მოთხოვნილებები და საჭიროებები აქვს, ვიდრე „ქალის გამარჯვების“ მსგავსი სურათების დამდგმელები ფიქრობენ.

ეს არის სურათი მეშჩანურათ განწყობილი მაყურებლისათვის, რომელსაც უსათუოდ სიხარულის ცრემლს მოგვრის სურათის ბოლო—მრისხანე თავადის მოთვინიერება.

რაც შეეხება შესრულებას—რაიმე მიღწევით ამ მხრივაც ვერ დაიტრაბახებს რეჟისორი. ასეთმა დიდმა მსახიობმაც, როგორიც ბაკშეევია, ვერ ჰპოვა გასაქანი ამ სურათში და ვერ გვიჩვენა თავისი ნიჭი. რაც შეეხება სუდაკევიჩის ქალს—ის პირდაპირ უსუსურია ეკრანზე. ლამაზი გარეგნობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ გასწევს კარგი თამაშის მაგიერობას.

„პოტიომკინის“, „დათვის ქორწილის“ და მრავალი სხვა სოციალური შინაარსით სავსე და მხატვრულად გამართლებულ სურათების შემდეგ—„ქალის გამარჯვება“ უსათუოდ დიდი ნაბიჯია უკან.

კინოსმოყვარული.

ბიბლიოგრაფია

„ახალგაზრდა ბოლშევიკი“ № 1 და № 2

საქ. კომპარტიის ცეკას და კომკავშირის ც. კ. ყოველთვიური პოლიტიკური ჟურნალი.

კომკავშირის როლი და დანიშნულება რევოლუციის მსვლელობასთან ერთად თანდათანობით იზრდება და ღრმავდება. ახალგაზრდა ლენინელთა წინაშე იშლება მთელი რიგი ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანებისა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და მასთან დაკავშირებით ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ასაწევათ, ფართო მუშურ-გლეხური მასის აქტივობის უდიდესი ამოძრავება და მათი ჩაბმა მუშაობაში პარტიის გენერალური ხაზის განსამტკიცებლად, ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ—ყველაფერი ეს მოითხოვს კომკავშირისაგან თანამედროვეობის პრაქტიკული და თეორიული საკითხების ღრმა შეთვისებას, ფხიზელ პოლიტიკურ ორიენტაციას—რაც უნდა გამოიხატოს დაუღალავ ბრძოლაში ყოველგვარ დაბრკოლების წინააღმდეგ.

ლენინიური თეორიის და პრაქტიკის ზედმიწევნით შეთვისება—აი, კომკავშირის მორიგი ამოცანა. რასაკვირველია; ყოველივე ამის დაძლევა მოითხოვს ენერგიულ მუშაობას კომკავშირის რიგებში, მისი აქტიური კადრებისათვის თეორიული და პრაქტიკული იარაღის მიწოდებას.

ყოველთვიურ ჟურნალის „ახალგაზრდა ბოლშევიკის“ გამოცემა ბევრად აადვილებს ამ საქმეს.

ჟურნალის პირველი ნომერი ცხადყოფს, რომ იგი მართლაც თანდათანობით შესძლებს გადაიქცეს მძლავრ თეორიულ და პრაქტიკულ იარაღათ.

კომკავშირის აქტივისათვის ჟურნალის მიზანს წარმოადგენს იდეოლოგიური სიმტკიცის დამკვიდრება კომკავშირის რიგებში—ამის გამო პირველ ნომერში ფართოთ არის წარმოდგენილი კონტრ-რევოლუციონური, განსაკუთრებით მენშევიკური, იდეოლოგიის კრიტიკა; სათანადო ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე კომკავშირის მორიგ პრაქტიკულ ამოცანების გაშუქებას—როგორიცაა. მასიურ კულტურული მუშაობის, კლასობრივი აღზრდის; ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხები და სხვ. კარგია კრიტიკო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება.

მასალის შერჩევის მხრივ დამაკმაყოფილებელია აგრეთვე „ახალგაზრდა ბოლშევიკის“ მეორე ნომერი. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ამხ. **რატნეკის** წერილი, რომელიც სავსებით დროულად აყენებს კომკავშირის წინაშე ქვეყნის „გასამხედროების“ საკითხს.

შექმნილი მდგომარეობის გამო, ამხ. რატნეკის აზრით, აუცილებელია მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის ღრმა დამუშავება სამხედრო ძლიერების და თავდაცვის ამოცანების გარშემო.

ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კომკავშირმა. ამხ. რატნეკი იძლევა საყურადღებო ცნობებს კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ ნებაყოფლობით ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც წვრთვნიან და აიარაღებენ მოსახლეობას საჭირო თავდაცვისათვის.

საკმაო ვრცლად არის გაშუქებული ჟურნალში ჩინეთის რევოლუციის საკითხი. ამ საკითხს არკვევს ორი წერილი: **ვ. იმ—ძე** „ჩინეთის რევოლუცია და მსოფლიო მენშევიზმი“ და **დ. გვაზავას** „ჩინეთის რევოლუცია“. ამხ. გვაზავა იხილავს ჩან-კაი-შის გადატრიალების ფაქტს, ანალიზს უკეთებს შექმნილ მდგომარეობას, და ნათელყოფს პარტიის შეხედულებას ჩინეთის რევოლუციისა და მისი პერსპექტივების შესახებ, ამხელს ამასთანავე ოპოზიციის მოთხოვნილებათა უსაფუძვლობას. ამხ. **გუს რახმანოვი** თავის წერილში „სოციალისტური რაციონალიზაციის გზაზე“, ეხება წარმოების რაციონალიზაციის საკითხს და მასთან დაკავშირებით იხილავს ახალგაზრდობის შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ამოცანას.

ვრცელი წერილი აქვს ჟურნალში მოთავსებული „სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კომკავშირი“-ს შესახებ **მ. კოხალეიშვილს.** შემდეგ მოდის **დ. ილმელის** წერილი „გამოცდების შედეგები“—საბჭოთა არჩევნების შესახებ და **ვ. კ—ძე** „კიდევ რეცეპის და უნდობლობის რეციდივებზე“.

ორიგინალური წერილების გარდა ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე თავი—„პოლიტიკა“ და „კულტურისთვის“—თარგმანი **ა. გუმედინის** წიგნიდან „საით მივყვებით ტროცკიზმს“. სამწუხაროდ ყველა იმ დადებით მხარეებს, რომელიც ახასიათებს ახლათ გამოსულ ჟურნალის მეორე ნომერს, ბევრად ასუსტებს სრული კორექტურული დაუდევრობა, ჟურ. იმდენად დამახინჯებულია კორექტორის მიერ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სავსებით გაუგებარი ხდება აზრი. მაგალითისათვის, აიღეთ მეორე წერილი „განვლილი ეტაპი“, რომლის პირველი გვერდი ისე დამახინჯებულია კორექტურული შეცდომებით, რომ მისი აზრის აღდგენა გაუჭირდება თვით ავტორს.

გაუგებარია თუ რაზეა ლაპარაკი საკავშირო კომკავშირის მეხუთე კონფერენციაზე, მე-14 პარტყრილობაზე; თუ კომკავშირის მე-7-ე ყრილობაზე. ეს გამონაკლისს არ შეადგენს. დამახინჯებულია აგრეთვე ამხ. დ. გვაზავას წერილი კორექტურული შეცდომებით და მრავალი სხვა.

აჭრელებულია მთელი ჟურნალი.

სუსტია აგრეთვე თარგმანი და ეს მაშინ როდესაც ჟურნალში მრავლათ მოიპოვება თარგმნილი წერილები. საერთოთ თარგმნილი წერილების ენას სჭირდება უფრო მეტი სტილისტიური დახვეწა, რომ აზრი უფრო გარკვევით იქნეს გადმოცემული. აღსანიშნავია ზოგიერთი წერილის ავტორის ერთგვარი გადამეტებითი გატაცება „აზღვავებული სიტყვიერი ნიაღვრით“ და გადაჭარბებული პათოსი. რაც სერიოზულობას უკარგავს ახალგაზრდობის ჟურნალში მოთავსებულ წერილებს. საერთოდ ჟურნალის გამოცემა გამართლებულია, მაგრამ მის გაუმჯობესებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

მკითხველი.

ნარევი

მცურავი თეატრი

ერთ მდიდარ გენუელ თეატრალის ინიციატივით, გენუას ნავთსადგურში სპეციალურ გემზე აწყობენ მცურავ თეატრს. ამჟამად სწარმოებს სასწრაფო მუშაობა გემზე სცენის, საცეკვაო დარბაზის, რესტორანის და მსახიობებისათვის ოთახების მოსაწყობათ. თეატრის დარბაზი 1.500 კაცს დაიტევს. დასი, ორკესტრი და მთელი თეატრალური პერსონალი იცხოვრებს გემზე. შემუშავებულია ფართე რეპერტუარი. მცურავი თეატრის მარშრუტია—დედამიწის გარშემო შემოვლა. თეატრი საბჭოთა კავშირსაც ესტუმრება. მოგზაურობა დაიწყება ორი თვის შემდეგ.

ყველაზე მაღალი და მსუქანი ადამიანი

მსოფლიოში ყველაზე მაღალი და ყველაზე მსუქანი ადამიანი ცხოვრობს ნიუ-იორკში. ეს არის—არტურ ვუდმანი. მისი სიმაღლე უდრის ორ მეტრს, წონა—თორმეტ ფუტს.

ძველი გემები—ბინებათ

ნიუ-იორკის გარეუბნები ძლიერ მჭიდროთ არის დასახლებული. ახალი სახლები მრავლათ შენდება, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ბინის კრიზისი არ ნელდება, ამან აფიქრებინა, ძველი სანაოსნოთ გამოუსადეგარ ბარჟების და წვრილი გემების პატრონებს გამოეყენებიათ ეს ბარჟები და გემები ბინების მოსაწყობათ. გემებზე ხსნიან მილებს, მანქანებს, შესაფერად აკეთებენ და მიჰყავთ მდ. გუძონზე მრავლად გაფანტულ გემთსადგურებში, სადაც აქირავებენ. თუმცა საბინაო ქირა ამ გემებზე არ არის დიდი, მაგრამ საბინაო შემოსავალი ჩქარა ფარავს გემის გადაკეთებაზე გაწეულ ხარჯებს.

ძველი ქაღალდის გამოყენება

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩატარებულ გამოკვლევის თანახმად, შეერთებული შტატები ყოველწლიურად 50.000.000 დოლარს იგებს ნაგავში გადაყრილ ძველი ქაღალდის გამოყენებით. მარტო ნიუ-იორკში მენაგვეები ყოველ კვირაში აგროვებენ და აწვდიან გადამყიდველებს 5.000 ტონა ძველ ქაღალდს. გადამყიდველები ამ ქაღალდს იძენენ ქაღალდის ფაბრიკებისათვის.

ინგლისის მეფის ნაცვალი და პიანისტი პადერევსკი

ცნობილი პიანისტი-ვირტუოზი პადერევსკი ამჟამად ავსტრალიაში იმყოფება გასტროლებზე. ქ. სიდნეიში მას ასეთი ამბავი შემთხვა. ავსტრალიის გუბერნატორმა ლორდმა **სტონშევენმა,** რომელიც ინგლისის მეფის ნაცვლად ითვლება, განაცხადა ცნობილი პიანისტის მოსმენის და მის კონცერტზე დასწრების სურვილი. პადერევსკის შეატყობინეს „ბრწყინვალე“ ლორდის ამ სურვილის შესახებ და გააფრთხილეს, რომ ის „ვალდებულია“ გამოვიდეს სცენაზე ლორდ სტონშევენის მოსვლამდი, დაიცადოს როიალთან და მხოლოდ მაშინ დაიწყოს დაკვრა, როცა მეფის ნაცვალი თავის ადგილს დაიჭერს დარბაზში. მაგრამ, როცა გუბერნატორი მოვიდა თეატრში, პადერევსკი ესტრადაზე არ აღმოჩნდა და ის მხოლოდ მას შემდეგ გამოვიდა და მიუჯდა როიალს, როცა ლორდმა თავისი ადგილი დაიკავა. მეფის ნაცვალმა თავი შეურაცხყოფილად სცნო და სასწრაფოდ მიატოვა დარბაზი. მეორე დღეს პადერევსკიმ მიიღო წერილი, რომელშიც მას აძლევდენ შენიშვნას, რომ მან თავისი „უტაქტო“ მოქმედებით ლორდ სტონშევენის სახით შეურაცხყო „თვით“ ინგლისის მეფე, რომლის წარმომადგენელი არის ლორდი. შეშინებული პადერევსკი გაეშურა გაბრაზებულ ლორდთან და თითქმის მუხლზე ხოხვით მოიხადა ბოდიში. სხვათა შორის, ეს პადერევსკი მცირე დროის განმავლობაში პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო.

იურიდიული დახმარება

პროფკავშირების წევრთა ბინებიდან გამოსახლების შესახებ

პროფკავშირის წევრებს (წიგ. № 7922 და 661) ირაკლი თაოძიშვილს და ლევან [illegible]

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ [illegible] ქ. თბილისის [illegible] ქარხანაში, რომელიც [illegible] ქალაქის ბანკიდან კერძო მოიჯარადრეს. ამავე ქარხნის ეზოში კანტორის გვერდით, მოიჯარადრეს თქვენთვის მოუცია საცხოვრებელი ბინები—1926 წლის 1 დეკემბრიდან. 1927 წ. 5 მარტიდან ქარხანაში მუშაობა შეწყდარა და ქარხანა მოიჯარადრეს გადაუბარებია ქალაქის ბანკისათვის, რომელსაც სადგომი გადაუცია „ქალაქის ვაჭრობისათვის“. ამ უკანასკნელს სურს გადააკეთოს ქარხანა საწყობათ. რის გამო ბანკი და „ქალაქის ვაჭრობა“ მოითხოვს თქვენგან ბინების დაცლას. ყველა ამ გარემოებათა გამო გვეკითხებით, აქვთ თუ არა ბანკს და „ქალაქის ვაჭრობას“ უფლება გამოგასახლონ ბინებიდან სამაგიერო ბინის მიუცემლად.

გიპასუხებთ

საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. 20 მარტის დეკრეტში, რომელიც გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ში 7 მაისიდან № 101-1846-ში, პირდაპირ ნაჩვენებია თუ ვისი, რა წესით და რა სადგომებიდან დაიშვება გამოსახლება სამაგიერო ბინების და სატრანსპორტო საშუალება აუცილებლად მიცემით. თქვენ კი, როგორც თქვენი შეკითხვიდან სჩანს—1) ცხოვრობთ არა მომქმედ ფაბრიკის ტერიტორიაზე, წინააღმდეგ აღნიშნულ დეკრეტის მუხ. 4-ის აბზაცი „ბ“-სი, 2) ფაბრიკა უნდა გადაკეთდეს საწყობად და 3) თქვენ ხართ უმუშევრები, პროფკავშირის წევრები და დაზღვეულებიც, ამიტომ მთქვენი გამოსახლება ადმინისტრატიული წესით დაუშვებელია და სრულიად უკანონო. მაშინაც კი, რომ მათ შესძლონ კიდეც თქვენი გამოსახლება საბინაო სასამართლოს დადგენილებით, ისინი ვალდებული არიან მოგცენ სხვაგან ვარგისი საცხოვრებელი იგივე ღირსების ბინა და სატრანსპორტო საშვალებები ახალ ბინაზე გადასასვლელად. (იხ. დეკრეტის მუხ. 5-ის აბზაცი „გ“. იხ. „კომუნისტი“-ს № 99 1927 წ. 5 მაისიდან და იგივე გაზეთის № 101—1927 წ. 7 მაისიდან).

სარეწაო გადასახადის შესახებ სოფ. საჭამია-სერში (გურია) მცხ. მოქ. ისიდორე ვაჩეიშვილს

პასუხი

სარეწაო გადასახადს (პატენტისა და სათანაზრო გადასახადებს) იხდიან სავაჭრო-სამრეწვ. წამოწყებათა და დაწესებულების პატრონები წარმოების საბრუნავი თანხის რაოდენობისა ან და სავაჭროს ხარისხის მიხედვით და არა იქ მომუშავე დაქირავებული პირები. თუ მართლაც, თქვენ იყავით „სასადილოს გამგეობის“ მიერ დაქირავებული—ნოქარი, რის გამო იღებდით სათანადო ჯილდოს, ხართ კავშირის წევრი და დაზღვეული და არა სასადილოს პატრონი, მაშინ სათანაზრო გადასახადი გადახდება სასადილოს გამგეობას, როგორც სასადილოს პატრონს და არა თქვენ.

ჭიათურის მაღაროს მუშას სამთა-მადნო კავშირის წევრს (წიგნ. № 6214)

პასუხი

ბინის ქირას, როგორც თვიურად 51 მან. 25 კაპ. მიმღები, თვიურად თვითეულ კვადრ. არშინზე გადაიხდით არა უმეტეს თოთხმეტი კაპ. (14 კაპ.) სახლის პატრონს არა აქვს არავითარი უფლება სახლიდან გამოგასახლოს იმის მომიზეზებით, რომ მას სჭირდება ბინა, თუ კი თქვენ კეთილსინდისიერი მდგმურის მოვალეობას ასრულებთ, როგორც წესი და რიგია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **წინადადება** ეძლევათ ამხ. ამხ. ალექსი ალექსანდრესძე ლომაძეს და დავით პავლესძე ფანცულაიას ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ც. კ. სააღრ. განმ. განყოფილებაში ამხ. კვირკველიასთან.

— საქართ. ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს შალვა ირაკლისძე ჭეიშვილს გამოცხადდეს 26 მაისს დილით 8 საათზე კომისიაში (რუსთაველის პროსპ.) 24, მესამე სართული, ოთახი № 12.

— **დღეს, 25 მაისს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში** შესდგება საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი უჯრედთა მდივნების, მდივნების მოადგილეების და საორგანიზაციო კომისიების თავმჯდომარეების თანადასწრებით.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი** იტყობინება, რომ დღეს, 25 მაისს, საღამოს სრულ 5 საათზე, მე-3-ე რაიკომის შენობაში შესდგება მე-3-ე რაიონის სამოქალაქო და სამხედრო უჯრედთა მდივნების თათბირი.

— **საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის** საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 25 მაისს, დილის 10 საათზე განყოფილების შენობაში მოწვეულია აგიტწრეების და მიმდინარე პოლიტიკის წრეების ხელმძღვანელთა თათბირი.

— **საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება** იტყობინება, რომ დღეს, 25 მაისს, საღამოს 6 საათზე. მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება არსენალის რაიონის ქალთა სადელეგატო კრება.

ყველა დელეგატი ქალები აუცილებლად უნდა გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

ოთხშაბათს ა. წ. 25 მაისს საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. (ბ) ც. კ. შენობაში შესდგება ც: კ: ორგკოლეგიის მორიგი სხდომა.

ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: **1. ლოლობერიძე (ც. კ.), 2. მაშკევიჩი (ც. კ.), 3. ინსტრუქტორები: ა) მირიმანოვი, ბ) აკოპოვი, გ) სვანიძე; დ) გაბუნია; 4. ინფორმატორები: ა) ვოლხოვსკოი, ბ) ელისაბედაშვილი, გ) ნემჩანოვი, დ) ენუქიძე, ე) ტოროიანი, ვ) მარტიროსოვი, 5. ლიცინოვი (ც. კ.), 6. ვ. ჯაფარიძე; ქალთა განყ. ინსტრუქტ.: ა) ესაიანი, ბ) ჩერქეზიშვილი, გ) დელიბაში, 7. თათარიშვილი (ც. კ. აგიტპრ.); 8. იმედაძე (ც. კ. აგიტპრ.); 9. ხაცკევიჩი (თბ: კომ:); 10 ფანცხავა (საქ. პროფკავშ.); 11 რუბენი (ა.-კ. საოლქო კომ.), 12. შოგირაძე (ა.-კ. საოლქო კომ:); 13. ჩალიანი (ა.-კ. საოლქო კომიტ.), 14. ჯავახიძე (ს. ა. ლ. კ. კ. ც: კ:), 15: სიხარულიძე (ქართ. დივიზ.), 16. პეტროვი (ა.-კ. არმიის პოლიტსამ.), 17. არტო (საკავალერიო ბრიგადის პოლიტგანყ.), 18. ოლინი (ა.-კ. მთავარ პოლიტსამ. სანაპირო თავდაცვა), 19. მათიკაშვილი (საქ. ცენტრ. აღმ. კომ.), მოწვეულია ამხ. ვასილიევა (ა.-კ. საოლქ. კომ. სააღრ. განყ:).** ,

— ლენრაიონის მ:-გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, 26 მაისს, საღამოს 5 საათზე საალ. დარგის მე-6-ე უბნის კლუბში შესდგება რაიონის ქალთა სადელეგატო კრება ქალ. ორგანიზატორებისა და ქალთა აქტივის მონაწილეობით. დღის წეს-ჩანოვი, დ) ენუქიძე, ე) ტოროიანი, ვ) მარტირო რიგი: რკინისზელთა კავშირის თბილისის უბნის მოხსენება პროფ-ხაზით ქალთა შორის მუშაობის შესახებ.

— **საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება,** რომ დღეს, 25 მაისს, საღამოს 6 საათზე, აგიტპროპმუშაობის კაბინეტში შესდგება უჯრედთა აგიტპროპკომისიების და აგიტპროპორგანიზატორების თათბირი.

— **საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ - განმანაწილებელი განყოფილება** სთხოვს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, რომ ორი დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ - განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან (ოთახი 24).

1) ივანე სპირიდონის ძე მარდალეიშვილი, 2) შალვა სიმონის ძე ჩხეიძე, 3) გალაქტიონ პავლეს ძე იობიძე, 4) ნიკოლოზ აღაჯანის ძე აკოპჯანიანი, 5) გერასიმე ქიშვარდის ძე კილაძე, 6) ადამი ლეონტის ძე მარხვაიძე, 7) მიხეილ პავლეს ძე ქეპაშვილი, 8) ვრიგოლი ავთანდილის ძე გარაგანიძე, 9) შალვა ანტონის ძე ნუცუბიძე, 10) ვლადიმერ ბართლომეს ძე ლეჟავა, 11) იონა ფარნაოზის ძე ჯავახია, 12) ვასილი ნიკოლოზის ძე ფანცულაია, 31) სევასტი გერასიმეს ძე თალაკვაძე, 14) იპოლიტე ლუკას ძე ბახტაძე, 15) ნიკიფორე ბესარიონის ძე ენუქიძე, 16) მიხეილ მიხეილის ძე ბახტაძე, 17) ანტონ სტეფანეს ძე აუშტროვი, 18) ვლადიმერ მათეს ძე თენეიშვილი, 19) ბორის (ბესარიონი) ალექსის ძე კევლიშვილი, 20) ოგანეს ხაჩატურის ძე ხაჩიკიანი, 21) ვასილი ეფიმის ძე დუმბაძე.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილება** წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ დაწესებულებათა უჯრედების მდივნებს გამოცხადდენ საორგანიზაციო განყოფილებაში დღეს, 25 მაისს, დილის 11-დან 2 საათამდე.

1) ცეკავშირის სტამბა, 2) მეხანძრეთა რაზმი, 3) საქართველოს ფინსახკომი, 4) თბილისის აღმასკომის სტამბა № 1, 5) აგურის ქარხანა, 6) ოჯახებში მოსამსახურეები, 7) გზატკეცილების სამმართველო, 8) პოლიგრაფტრესტის მე-3-ე სტამბა, 9) მშენებლები, 10) სოფლის კავშირი, 11) საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, 12) „ბოეც კ. კ. ა“, 13) განათლების სახალხო კომისარიატი, 14) სახალხო კომისართა საბჭო, 15) სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მე-8-ე პოლკი, 16) სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, 17) ქართული მუშფაკი, 18) სომხური მუშფაკი, 19) რუსული მუშფაკი, 20) ცენტრალური პარტიული სკოლა, 21) საბჭოთა პარტიული სკოლა, 22) ამიერ - კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, 23) სახელმწიფო კონსერვატორია.

აპოლლო
ტელ. 7—61.
არფასტო
ტელ. № 19—22.
სოლეი
ტელ. 20—44.
დარგაზი
ტელ. 14—03.
0—19 ნ. 1094

ბარბარა ლა მარ განსაკუთრებულ მხატვრულ სურათში
„მეკობრეთა შთამომავალნი“
ყველამ უნდა ნახოს ბარბარა ლა მარის საუკეთესო სურათი

დადგმის მეორე კვირა საუკეთესო სურათი
„დეკაბრისტები“ 8 ნაწილად
რეჟისორი—ივანოვსკი
(ცნობილი სურათის „სასახლე და ციხე“-ს დამდგმელი)
სურათი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს
ყოველ დღე ანშლაგები!!!

ცნობილი სურათის
„ნიუ-იორკის საიდუმლოებანი“-ს
ახალი ეკზემპლიარი 6 სერიათ 35 ნაწ. 1 და 2 სერია
ერთად. მთავარ როლში პირლ უაიტ

ანონსი: ამ დღეებში „ქალი ნიღაბში“ კოვანკოს, რიმსკის და კოლინის მონაწ.

სურენ ჩოხატაურის შარა-გზის გარშემო

ოთხშაბათს 25 მაისს საღამოს სრულ 6 საათზე შრომის სასახლის მცირე დარბაზში (რუსთაველის გამზირზე)

მოწვეულია—ამ ჟამად ქალაქში მცხოვრებ ბუკისციხის თემის და სურების სამივე თემების მუშა-მოსამსახურეთა

საერთო კრება

კრებაზე დასწრება სავალდებულოა ქალაქ თბილისში მყოფ ყველა ზემოდ აღნიშნულ თემების პირებისათვის. აგრეთვე ვთხოვთ კრებას დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

1. გიორგი რამიშვილი
2. ან. დოლიძე
3. თ. დოლიძე
4. გერ. მგალობლიშვილი
5. გრ. მგალობლიშვილი
6. ტ. მგალობლიშვილი
7. სერგ. მეგრელიშვილი
8. თ. ჩიჩუა

აგრეთვე დასწრება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირთ. სხდომა გაიხსნება სრულ 6 საათზე; თხოვნაა გამოცხადდენ დაუყოვნებლივ.

3—1 ნ. 1221 კრების მომწვევი კომისია

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი!

გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 27 მაისს 1927 წლ. დღის 1 საათზე სახლში № 152 კლარა ცეტკინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის „ტრიოხგორნი ამხანაგობა“-ს მოძრავ ქონებას 98147 გრ. პურის სპირტს, შეფასებულს გრ. 3 კაპ. უაქციზოთ, ერთი სპილენძის კუბი 1000 ვედროიანი თავის მოწყობილი მილებით, ერთი რეფტიფიკაციის კუბი 350 ვედრიანი თავისი მოწყობილი მილებით სულ შეფასებულს სპირტიანად 16.774 მან. 49 კაპ. სურსაღ სანოვაგის კავშირის და სხვების დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბ. შრომის სასამართლოს მიერ ა. წ. გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა №№ 5004, 71, 92, 638, 1221, 1172, 1705. 990, 1512, 1527, 1558, 1556, 1559 და 1518.

ნ. 1236

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სახ. სასამარ. აღმასრულებ.

კ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 28 მაისს 1927 წლ. დღის 2 საათ. სახლში № 9 ლოჩინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გარდაცვალებულ დავით ჯანდიერის უძრავ ქონებას: სახლს შეფასებულს 10.000 მან., თამბაქოს ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის აღმ. საქ. ოლქის სახალხო სასამართლოსაგან 5 აპრ. 1927 წ. თარიღით, № 23796 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექსის.

2829

ქ. თბილ. მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი

კ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 27 მაისს 1927 წლ. დღის 12 საათ., სახლში № 14 ხოჯევანქის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის რუბენა აკოფოვის და სხვა უძრავ ქონებას: სახლს, შეფასებულს 1.200 მან., თამბაქოს ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-6 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 17 თებერვ. 1924 წ. თარიღით, № 1177 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა, ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313, 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექსის. 2828

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი

შ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის ა | წ. 28 მაისს დღის 2 საათზე სახლში № 64 გოგოლის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ვასილ ლაფიაშვილის მოძრავ ქონებას: კამოდს, ტანისამოსის შკაფს, ბუფეტის შკაფს, ხალიჩას და სხ., შეფასებულს 150 მანეთად, თანახმად თბილისის მე-4 უბნის სახ. სასამართლოს მიერ ა | წ. 15 მარტს № 3023 გაცემულ ბრძანებისა.

ნ. 1236

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

პროფესორმა
გრ. მ. მუხაძემ
ლენინგრადში გამგზავრების გამო
შესწყვიტა
ავადმყოფების მიღება 15 ივნისამდე. 10—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—21

ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8ს. ქალების და ბავშვების. 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—5

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი
კონსტ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო ორგანოების, ვენერიული, სიფილისი, კანის ავადმყოფობანი და ქირურგიული ავადმყოფობანი (სიმსივნე, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, სიფილისი, სუსუნატი). ელექტრონით წამლობა. პლეხანოვის გამზ. 10, ვორონცოვის მახლობლათ. ავადმყოფები მიიღება დილის 7 საათიდან შუადღის 12-მდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ქალები მიიღება 2-დან 3 საათამდე. 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ



ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—1

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის 13 მარტის № 12 ცირკულიარისა, ადმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. არმენუი ამაიაკის ასული ვართაპეტიანმა თავისი გვარი გამოიცვალა ახალ გვარზე ანა ადოლფის ასული „პლაინიც“-ზე.

საერთო-საადმ. ქ | განყ. უფროსი (ხელმოწერილია).
მმაჩის ბიუროს გამგე (ხელმოწერილია).
2830

დაეკარგა 1922 წელში საბჭოთა მუშაკების კავშირის საწევრო წიგნაკი № 103 პელაგია პავლეს ასული დიასამიძის სახელზე, ჩ. გ. 2836

დაეკარგა აღმასრულებელი ფურცელი № 812, ივანე გულიაშვილისაგან მიღებული 27 მარტს 25 წ. ნადეჟდა ზაქარიას ასული დავითაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2834

დაეკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 92 ზ. ბუაჩიძის სახელზე, ჩ. გ. 2836

დაეკარგა სამხედრო აღრიცხვის პირადი წიგნაკი (ფ. № 4) № 847 ალექსანდრე ნიკოს-ძე მილორავას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1226

დაეკარგა პასპორტი ისაკ მიხეილის ძე ლუარსაბოვის სახელზე, ჩ. გ. 2832

დაეკარგა სახალხო კვების კავშირის წიგნაკი № 2753, ლიდა ელისბარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2831

დაეკარგა კავშირის წიგნაკი № 1574 და დაზღვევ სალაროს წიგნაკი № 100—თამარ ელისაბედაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2807

დაეკარგა მეტრიკული მოწმობა და ჩხარის 7 წლ. მე-2 ჯგუფის მოწაფის მოწმობა ვანიკო კონსტანტინეს-ძე ყვავაძის სახელზე, ჩ. გ. 2827

დაეკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი ფ. № 4, ივანე ჩაჩანიძის სახელზე, ჩ. გ. 2826

დაეკარგა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი ქეთევან გიორგის ასული რომელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2832

დაეკარგა ფოთის სამხედრო მაგიდის მიერ გაცემული სააღრიცხვო ბარათი № 831—ანდრო ივანეს-ძე გარუჩავას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1235

დაეკარგა პირადობის მოწმობა № 4. ხუსეინ ომერისძე ქვახულოღლის სახელზე, ჩ. გ. 2837

დაეკარგა პირადობის მოწმობა № 275 ნინა დიმიტრის ასული ანჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 2838

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.